ქართული მწერლობა



1926-1930



1990



2009-

1
2009

ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული მწერლობა

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

1

იანვარი
2009

თეგერვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მიწიშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ნინო ყულოშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008-2009.

ISSN 1512 - 4444
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008-2009.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F12217

პოეზია

თათია ჯგუშია. ლექსები 5
ია კოპლატაძე. ლექსები 5

მხატვრული პროზა

ზაირა არსენიშვილი. მიწის მიმყრელები 11

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

რეზო ადამია. ტრაპიზონული დღიურიდან 29

ახალი თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. სცენები „ფაუსტიდან“
(თარგმანი **დავით წერედიანისა**) 34
ბერნარდ შლინკი. ქალი ბენზინგასამართი სადგურიდან
(თარგმანი **ბელა სურგულაძისა**) 44

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეცენზია

58 **ლეილა მესხი.** შენი სტუმარი ვარ, ნუგზარ!

უნივერსიტეტი

71 **გივი შეყილაძე.** ორი ეპიზოდი რექტორის ცხოვრებიდან

წარწერიანი ეგზემპლარები

77 **მეხეილ კოპალეიშვილი.** რამდენ საფიქრალს აღძრავს!..

წიგნები

79 „ინტელექტი“ გთავაზობთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია

თათია ჯგუშია

ქალაქის სახელით

რატომ არ მითხარი, აქ მზე რომ არ იცის,
რატომ მაძალებდი ზურგისკენ მეყურა?!
ბუდეებს ლუქავენ და ისე არაზეს,
რომ ფრთებით ვატარებ დღენაკლულ ბელურებს.

ჰუუ! როგორ დანისლა ქალაქი სიჩუმემ
და კი არ თენდება, ღამე მშობიარობს.
ქუჩაში გასვლასაც რომ აღარ ვიჩემებ,
იქნება არ ვიცი, სად უნდა ვიარო.

ნეონის ჩრდილები ტერფებით გავჭყლიტე
და შობას ვულოცავ ცარიელ ვიტრინებს.
თმებში რომ ჩიტებმა თვალები დაჭყიტეს,
ქვემოდან არ წვიმდა, – თავდაღმა ვიტირე.

კედლები გრაფიტებს ოცნებად ამხელენ,
მზე ასფალტს მიფშვნილი ყვითელი ცარცია.
ბავშვები აქ თვითონ ირჩევენ სახელებს
და დედას თოჯინას კაბები აცვია.

ქალაქის მთავარი საათის დათრობით
ლოთები იყოფენ თითო წუთ ციფერბლატს.
შენ ისე არ გინდა შეხედო რა დროა,
რომ უკვე სიგარეტს თვალებში იფერფლავ.

რატომ არ მითხარი, აქ სულ რომ იწვიმებს,
ქალაქის სახელით მე ვეღარ ვთბები და
შენ ისევ კალთაში იბუდებ, იძინებ,
მე მკვდარი ჩიტები გამომაქვს თმებიდან.

* * *

„გაზაფხული შემოსულა, ლენ!"

მურმან ლებანიძე

მაპოვნინე ჩემი ცალი საყურე,
როცა დები სასეირნოდ წავლენ,
დარაბები მიუხურავთ მსახურებს,
გაზაფხულმაც მიგვატოვა, ლენ!

და ღრუბელი, როგორც დედის ბალიში,
ვერ იშორებს მის სუნსა და სენს,
ამ ბარდნაში მარტო როგორ გაგიშვებ,
მეშინია, არ დაგკარგო, ლენ!

დაათოვოს ჩრდილოეთის ქალაქებს,
სადღაც კატაც მიკუნტულა, თვლემს,
შენთვის სათქმელ სიტყვებს ველარ ვალაგებ,
შენ ხომ მაინც მიმიხვდები, ლენ!

დარაბები გაუღიათ მსახურებს,
ალბათ დებიც წუთიწუთზე მოვლენ,
დაიკარგა ჩემი ცალი საყურე
და შენც სადღაც დამეკარგე, ლენ...

ციეგა და იეგი

მზე ცაზე მიიწვა პურივით,
მთაში სუნს იყოფენ ვერძები,
ღამე რძეში უნდა ურიო,
რადგან აქ უმზეოდ ვერ ძლებენ!

და წვიმაც მძივებად დავშალოთ,
მაისში ავაწყოთ თავიდან.
დედის ნაჩუქარი თავშალით
ყველა სისულელეს ჩავიდენ.

მალე მოხშირდება ციება,
შენს გულს ფოთლებს ვაყრი, ვუბედავ.
მე ვერ დაგიხატე იები, –
იებს ვერ ხატავენ უდედოდ.

* * *

ქალაქის მთავარი საათი
გაჩერდა და შენთან ვბრუნდებით
მე და ჩემს ნაცრისფერ უბეში
გამოზამთრებული ხუნდები.

მე ის ვარ, მტირალა კლოუნი,
თუნუქის ნიღბებით მოვაჭრე,
სანამ შენ ჩემს სახეს ინიშნავ,
მე გრიმში გაქცევას მოვასწრებ.

ქალაქის საათი მომართეს,
მომარგეს მთავარი ნიღაბი,
შენგან მერამდენედ მოვდივარ,
გეგონა პირველად ვიყავი.

ᲨᲔᲜᲡ ᲡᲘᲒᲘᲭᲔᲔᲑᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲠ ᲣᲩᲐᲜᲡ...

მე არ ვისწორებ არც სახელოს და არც საყელოს,
მე არ ვშლი ქოლგას, წვიმას რომ არ გაუსკდეს გული.
ვიქნები ასე, უპირსახო და უსახელო,
ქალაქის მტვერი, ანაც ღრუბლის პატარა ქულა.
შეეშვი ქარებს, დაგავონ ქუჩა
და ჩვენი ფეხის ანაბეჭდები.
„შენს სიგიჟეებს ბოლო არ უჩანს!" –
მეტყვი და წამით არ დაეჭვდები,
რა უნდა თმაში შალის გვირილებს,
ან ფერად ფანქრებს რა უნდა თმაში,
რომ შეუძლიათ გემებს ყვირილი,
თუ იმსხვრევიან სხვა ზღვაში, მაშინ.
ცამ მოიწმინდა სისხლი და შხამი,
სალაპარაკოდ ძალას თუ იკრებს,
რომ ვიღაც დადის ბაღებში ღამით
და მზისგულება გვირილებს მიკრეფს.

ია კოპლატაძე

●

დაუსაბამო ნათლისაკენ მცურავ ხომალდებს
ჩემი სალამი...
მე გამოვფინე თეთრი ალამი
და თეთრ ველებზე დამეკარგა სულის სიმშვიდე.
შორი ქვეყნიდან გამოგზავნილ ძოწს, იაგუნდებს
უკან გავატან მტრედების გუნდებს.
დღეს გადავწყვიტე: – უნდა გამოგყვეთ.
დაუსაბამო ნათლისაკენ მცურავ ხომალდებს
ჩემი სალამი...
ბროწეულებმაც გამოფინეს თეთრი ალამი –
ნიშნად წარსულთან დაზავებისა
და ბროლის კოშკებს მკერდზე ჰკიდიათ ზანზალაკები –
შიშგარეული მოლოდინი მთის ზავებისა.
ამ დაჟინებულ წინათგრძნობას რა შეაჩერებს,
ხვლიკისფერ თვალებს ელანდებათ ყრუ გარინდება...
და თუ ზარების გუგუნისგან ცა ადიდდება
ამაო არის სიმშვიდის ნატვრა.
და ხომალდები შორდებიან ერთმანეთს ზღვაში
(სიმბოლო აქაც ვერგაგების თუ არგაგების).
მზეს დაემსხვრევა ოცნებები – ცის გასაყართან
თეთრი გედების კოშკის აგების.
და ხომალდები დაკარგავენ გზას ნათლისაკენ
(სიმბოლო აქაც არშეძლების თუ ვერშეძლების).
ათასი სარკე დაიმსხვრევა და მოღლილ ხელებს
დაეკარგებათ ძალა შეგრძნების...
თუ ხომალდები შორდებიან ერთმანეთს ზღვაში.

●

ამ გაზაფხულზე გადამთვრალ მთვარეს
შემონთებია გულს სიძულვილი,
დავიწყებია ყველა ოცნება,
ცეცხლში დაუწვავს ყველა სურვილი...
აუტეხიათ ვარსკვლავებს მოთქმა

და ცას გოდება...
ბროწეულების დგას გაოგნება.
ახანძარდება ხვალ ყველა ერთად,
ცის კოცონისგან ნასესხებ ცეცხლით...
მოირთვებიან ძოწით და ვერცხლით...
თქვენ დედოფლები ხართ ჭეშმარიტად...
უნდა გაგიღოთ სულის კარები.
შემომეღვრება ძოწების ბანგი
და თქვენს სურნელში დავიკარგები.

●

მელნისფერ ტბორებს წამოწვიმს ცა...
მე არ მაკვირვებს არცა
ქარი და წვიმა, არცა ფეხმძიმე ღამე...
ვიცი, რომ ვეღარ ვიხილავ
ვარსკვლავთა სადარ თვალებს...
დამეწყრილია გზა, აღარც ელიან დარებს.
ამობრუნდება ცა, ტბორებში დაივანებს,
ახლა თბილისის ღამეს
უდგას დარაჯად მთვარე...

●

იქ თეთრ მინდორზე გაყურსულა ჩემი მოლოდინი და წვიმით გალეშილ ტყეებს გასქერის უნდოდ.

იის ნამქერი ეფინება ყანებს, მდელოებს... იქნება ვენდო დაპირებებს ციდან მოდენილს...

თუმცა რუხ დღეთა უნდილ ფეთქვით მიიზლაზნება და სივრცეს ერთვის. ო, რაღა მეთქმის! თვით ვაქციე ზურგი ხომალდებს და საიდუმლო, სასოებით მე რომ მომანდეს, ბაირაღივით გამოვფინე ქარიან დღეში და ექოებს დავუნაწილე.

ო, ეს დღეები... რარიგ მსურდა ბედნიერებით მათი გახედნა... თუმც წუთისოფლის შავ ფარდაზე მიმსხდარ ოცნებებს არ უწერიათ თურმე ახდენა.

იქ, თეთრ მინდორზე გაყურსული ჩემი მოლოდინი, სევდით გაბანგული, სულსაც დაღაფავს.

ვიცი, წვიმები გალეშავენ ტყეებს ამაღამ.

●

კვლავ მომენატრა ბროლის კოშკთა დაღვრილი ნისლი
და ჩქერალებად დაჩეხილი, მქრქალი სინათლე...
ვარსკვლავთა წვაში კაბა ისევ ცას დაეფლითა
და შენ გინატრე...
მინდა ჭიხვინი ბედაურის ჰგავდეს ცის გრუხუნს,
იყოს სასახლე სპილოს ძვლებით ნაგები უშგულს.
თეთრმა ცხენებმა გამოფატრონ ფლოქვებით მთვარე...
და დაილვაროს ჩვენს კოშკებზე ოქროს მდინარედ.
კვლავ მომენატრა ბროლის კოშკთა დაღვრილი სევდა...
მქრქალი სინათლე, ხაზთა სილბო და სინარნარე.

მხატვრული პროზა

ზაირა არსენიშვილი

მიწის მიმყრელები

ვუძღვნი ჩემი დროის პედაგოგთა ხსოვნას, რეპრესიებით დათრგუნულნი, ომითა და სიღარიბით შეიწრებულნი, უანგარო თავდადებით გვაზიარებდნენ ცოდნას, გვიფხიზლებდნენ სინდისს, გვინერგავდნენ მოყვასის სიყვარულსა და თანაგრძნობას და ღიმილიანი მადლობით ჩვენი ეზო-ბაღის ყვავილებს თუ მიიღებდნენ საჩუქრად. მხოლოდ და მხოლოდ. სხვას არაფერს და არასდროს!

ბოლოს ისე გამოვიდა, მიწის მიმყრელებიც ჩვენ უნდა ვყოფილიყავით, ეთერი, მე და ბ-ნი ირაკლი, ჩვენი ყოფილი ისტორიის მასწავლებელი. და აგრეთვე ბერდოც, ჩვენი სკოლის ამხანაგი, ბერდო, რომელმაც თავი ველარ დაგვანება... წინასწარ იმდენ რამეს ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რაც შემდეგ აუცილებელი და ჩვეულებრივიც კი შეიძლება გახდეს. ჰოდა, მეტი რა გზა გვქონდა, მიცვალებული ხომ თავისას მოითხოვს, დაუმარხავს ხომ ვერ დავტოვებდით, მერე ისეთ გულსაკლავ და პატივსაცემ ქალბატონს, როგორიც ჩვენი ყოფილი გეოგრაფიის მასწავლებელი, ქ-ნი ქეთევანი იყო.

ვიდექით გახსნილ სამარესთან და ზევითკენ გავიყურებოდით, სასაფლაოს თავში, იქვე გალავანთან ჩადგმულ მესაფლავის ქოხისკენ. თვითონ მესაფლავე ვითომ მთავარ ჭიშკართან უნდა დაგვხვედროდა დამხმარე ბიჭებთან ერთად, მაგრამ ბუზის ტოლადაც არ ჩანდა არავინ.

„ოოჰ, ის ყიბლა ისა!“ შესძახა ბერდომ, „თუნდ სანაძლეო, მთვრალი ეგდება!“

„რა დროს სიმთვრალე აქვს, დღეს დასაფლავების დღეა...“, თქვა ეთერმა.

„ჭირისუფლებს ხომ სასმელი მოაქვთ და გადაყლურწავდა... მოდით საქმე წინ წავიგდოთ, ჩვენ თვითონ როგორმე ჩამოვასვენოთ მანქანიდან, სამარეც ხომ შორს არ არის, მივასვენოთ და ამასობაში ისინიც გამოჩნდებიან“.

ოდესღაც, ცხადია, ვერც ამას წარმოიდგენდა ქ-ნი ქეთევანი, რომ როცა გარდაიცვლებოდა, დანგი-დუნგით არ დაასაფლავებდნენ, სამგლოვიარო მიტინგს არ გაუმართავდნენ და გულისამაჩუყებელ სიტყვებს არ წარმოუთქვამდნენ. რადგან იმსახურებდა. მაგრამ მძიმე დრო ჩამოდგა, ძალიან მძიმე, სიცივე და უპოვრობა... სროლა... სროლა... და თავზეხელაღებული ყაჩაღობა... სახლში იყო შებუდებული ყველა... ერთი-ორი მეზობელი შემოვიდა გამოსვენებისას და ისინიც ჩქარ-ჩქარა წავიდ-წამოვიდნენ, სასაფლაოზე არავინ გამოჰყოლია.

„ეგრე ცეცხლი რო არ მეკიდოს, დღეს რაღა წამიყვანდა, მაგრამ თავზეიით ძალა რო არა მაქვს?!“ ამბობდა ბერდო და მართლა ისე ჩქარობდა, სასაფლაოსკენ ისე მიარბენინებდა მანქანას, ჩვენ ლა-

მის ჭენებით მივდევდით. მერე ეთერი გაიქცა წინ, ცოტა სიჩქარეს მოუკელიო, ხო იცი, ბ-ნ ირაკლის სირბილი არ შეუძლიაო. მაშინვე შეანელა სვლა და ცოტა ხანში მივედით კიდეც.

ბერდო ძარაზე ავარდა: „გვერდითა ბორტს ცერად გადმოვხსნი, კუბოს ნელა ჩამოვაცურებ და თქვენც მაქედან იმარჯვეთ, ხელი არ გაგეშვათ და მიწაზე ზღართანი არ მოადინოს“. ბ-ნი ირაკლი შუაში ჩადგა, მე და ეთერი აქეთ-იქიდან და, კუბო რომ ჩამოაცურა ბერდომ, ჩვენ სახელურებს ვტაცეთ ხელი, ბ-მა ირაკლიმ ხელებს მუხლებიც მიაშველა, ბერდო გადმოხტა ძარადან, თავთან ჩაავლო ხელი სახელურებს და როგორც იყო ჩამოვასვენეთ. კუბო ძალიან მძიმე იყო. ქ-ნ ქეთევანს, გამომშრალსა და გამოფიტულს, რა ნონა უნდა ჰქონოდა, მაგრამ კუბოს ნუღარ იტყვით... თან ქარიც მაგრად უწუწუნებდა, სუდარას, ანუ თეთრი ტილოს ზეწარს, აფრიალებდა, საკვირველია, გაჭირვებისა და ხანდაზმულობის მიუხედავად, მძიმე შესახედი სულ არ იყო, პირიქით, ისიც კი გავიფიქრე, ალბათ ასეთი ფაქიზი და გადანათებული სახე, სანთლისაგან გამოძერწილივით, წმინდანობისთვის თავდადებულ მარტვილებს შეიძლება ჰქონოდათ-მეთქი, ისე... რომ ბუმბულივით იქნებოდა და ჯოხებივით ფეხებთან ამობურცული მომცრო გლობუსიც რა წონას მისცემდა?!

„არა, არა, წარმოუდგენელია, არასგზით არ შეიძლება ქ-ნი ქეთევანის დასაფლავება გლობუსის გარეშე“. ამბობდა ეთერი და გლობუსს ფეხებთან უდებდა.

„ხომ იცით, ჩემო გოგოებო“, გვეუბნებოდა ბ-ნი ირაკლი, „სულ ბოლოს, ქეთევანს მეხსიერება რომ დაერღვა, გლობუსს გვერდიდან არ იშორებდა, თავისი მნირი ტრაპეზის დროსაც, თეფშის წინ ედგა და რაღაც უცნაურ, ნეტარ მზერას შეავლებდა ხოლმე“.

„მე იმ აზრისა ვარ, ეგ გლობუსი სამარეში ჩასვენებისას თავთან გადმოვიტანოთ, დიდი არ არის და სახურავს ხელს არ შეუშლის“.

მიუხედავად იმისა, რომ ბერდომ კუბოს სახურავი ძარაზე დატოვა, მერე ჩამოვიღებ და ჩასვენებისას დავხუროთო, კუბო ტყვიასავით იყო. სიღარიბისა და საჭირო მასალის უშოვნელობის გამო, ზოგჯერ მიცვალებულებს ცელოფანში გამოკრულს ასაფლავებდნენ. „არავითარ შემთხვევაში“, თქვა ეთერმა და თავისი მშვენიერი, მუქი თვალები და გრძელი, დაცრემლილი წამწამები დიდი ოთახის ერთ კუთხესთან მიდგმული უშველებელი ტახტ-სკივრისკენ მიმართა, „აგერ, საუცხოო კუბო გამოვა, ვიცი წალოდ ჰქონდათ, ლოგინს ინახავდნენ, დავცალოთ და ბერდო წაიღებს სახელოსნოში“. „უჰ, რამსიმძიმეა!“, თქვა ბერდომ, სახურავი რომ ახადა, „რა სქელი ფიცრებისაგან არის შეკრული, თან რა სუფთად არის გარანდული, ბიგ კი აღარაფერია, ისეთი კუბო გამოვა, თქვენი მოწონებული, ჩვენი კარგი მასწავლებლის საკადრისი“. მერე ძლივს-ძლივს გაახრიგინა სახელოსნოში წასაღებად.

მაინც რა ბედზე შეგვხვდა ბერდო, რა ბედზე, თელავის ავტობუსში. ეთერმა დამირეკა, ასე და ასეო, დედაჩემმა შემატყობინა, ქეთევანი მომკვდარაო, თანაც ორი დღე ვერავის გაუგიაო. მერე ბ-ნი ირაკლი გვეუბნებოდა: „მე სწორედ სამი დღის წინ ვიყავი, შეშა მივუტანე, ავუნთე კიდეც ღუმელიო, მეორე დღეს მთელი ექვსი საათი ვიდექი ცომის რიგში (პური დიდი ხანია აღარ ცხვებოდა), იქ შემამცივნა და ეს ორი დღე ვეღარ მოვინახულეო, მაგრამ სიკვდილისა თითქოს არაფერი ეტყობოდაო“.

მეც იმ დღეებში ვაპირებდი თელავში წასვლას. მამიდაჩემმა ტატანომ ჭკუა მოიხმარა, თელავის ჩვენს სახლში ერთი ოთახი სტუდენტ გოგოებზე გვქონდა გაქირავებული და, მოდი, ამ გაჭირვებაში ქირა პროდუქტით გამოვართვათო, ადგა და სია ჩამოწერა: თუ ლობიო, თუ კარტოფილი, თუ ფქვილი, ცხიმი და სხვა ასეთები. გოგოებს ძალიანაც გაუხარდათ, სოფლებიდან იყვნენ, ღონიერი ოჯახებიდან, დეკემბრის ბოლოსათვის უნდა დაეხვედრებინათ სურსათის მორიგი ნაწილი და მე სწორედ ამის ჩამოსატანად ვაპირებდი თელავში წასვლას, თან სახლსაც დავხედავ-მეთქი. ჰოდა, ეთერი გეორგინების დიდი თაიგულით ხელში ნავთლუღში, ავტობუსების გაჩერებასთან დამხვდა, და ის იყო ავტობუსი უნდა დაძრულიყო, ბერდო მოვარდა, შოფერმა კარი გაუღო, სწრაფად ამოვიდა და იქვე შოფრის გვერდით, ტაბურეტზე მოწყვეტით დაჯდა. თავი რომ აიღო და სარკეში დაგვინახა, მაშინვე ჩვენკენ შემობრუნდა. თურმე ცოლი ეწვა ნევროლოგიურში საოპერაციოდ, დისკის ოპერაცია უნდა გაუკეთოს მაღალაშვილმაო. ცნობებისთვის მივდივარ და მაშინვე უნდა გამოვბრუნდე უკანო. ქ-ნი ქეთევანის ამბავი რომ გაიგო, შეიცხადა და როგორ შეიცხადა: „ვინა, კაცო, ვინა, ქეთევანი გარდაიცვალაა, ქეთევანი, აბა იმას უნდა ეთქვა მასწავლებელი ვიყავიო! გახსოოვთ, გოგოებო, არცერთი გაკვეთილი რომ არ მესწავლა, ქეთევანის საგანს უსწავლელს არ გავუშვებდი... აი, თუ გინდათ მკითხეთ, ეკვატორი რამდენი კილომეტრია და გეტყვით, დედამიწის გრაფუსის ესელი, მერიდიანები და პარალელები, მთები, მდინარეები და ყველაფერი, მთელი დედამიწა, ჩაბეჭდილი მააქვს თავში! ოო, რა გაფრთხილება უნდა დედამიწას, რა გაფრთხილებაო, გეგონებათ თეატრალურ რეპლიკას ამბობსო, ისე იტყოდა და მზერას ჭერს მიაპყრობდა, რომ როგორც დაიბადა მილიონი წლების წინ, ოდესმე ასევე არ გარდაიცვალოს, არ გაიბნეს სამყაროშიო...“

„მართალია, მართალია“, გაიცინა ეთერმა, „ძალიან არტისტული იყო და ლამაზიც....“

„მიკვირდა, მიკვირდა“, განაგრძო ისევ ბერდომ, „თქვენც ხომ გეხსომებათ, შოლტივით ხელს მხარუკულმა გაჰკრავდა და საჩვენებელ ჯოხს პირდაპირ მოახვედრებდა და დაარჭობდა საჭირო ადგილს, ქალაქი იქნებოდა, სრუტე თუ კუნძული, მთა თუ მდინარე... მართლა ნამდვილი არტისტი იყო, მიდი და ნუ დაუგდებდი ყურსა, გაკანკულები ვისხედით, ბუზის გაფრენას გაიგონებდით“.

მართლაც, ეს ასე იყო, ჩვენც მხარი ავუბით ბერდოს და მოვიგონეთ ქ-ნი ქეთევანის წარმტაცი გაკვეთილები. ის არ დაგიდევდათ ოფიციალურ სასწავლო გეგმას, მეტად მწირი და შეზღუდულიაო, თვითონ უნდა შეედგინა, რა და როგორ ესწავლებინა და ყველამ იცოდა, მის სწავლებას წუნი არ დაედებოდა. „ოო, რომ იცოდეთ, გოგოებო“, მოგონების ეშხში შევიდა ბერდო, „კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფიის სწავლებისას, მათ ლიდერებზეც ხომ გვიამბობდა ხოლმე და თქვენც ხომ გახსოვთ, დიდ ბრიტანეთზე და ჩერჩილზე რომ გვიამბო, ჩვენი დროის დიდი პოლიტიკოსი უწოდა. ჩვენთან სახლში სტალინს წყევლა-კრულვას უთვლიდნენ, ის მეჯღანის შვილიო, ის სასტიკი და დაუნდობელიო, ის უპირველესი მტერი თავისი ხალხისაო, და მე გული მწყდებოდა, რატომ ჩვენც, მაგალითად, ინგლისისნაირ ქვეყნად არ ჩამოვყალიბდით-მეთქი და ლორდი უინსტონ ჩერჩილი არ არის ჩვენი ლიდერი-მეთქი, თავისი სიგარითა და ვისკით-მეთქი. საწყალი ქეთევანი კი გამოიძახეს

განათლებაში და ერთი დღე აყარეს თურმე — როცა ჩვენ გვყავს უდიდესი ბელადი და ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩერჩილს როგორ ახსენებთო. არ დაიხია თურმე უკან, ეს ჩემი მოვალეობაა. მაგარი ვინმე იყო. ან არადა დიდი მოგზაურებისა და კონტინენტების აღმომჩენთა შესახებ რომ გვასწავლიდა, უდიდესი მდინარეების, კუნძულებისა და კონცხების შესახებ, — აკი საკონტროლოებსაც გვაწერინებდა და მახსოვს ტასმანის მოგზაურობაზე ისე დავწერე, ისე გავაჭრელე, ხუთი პლიუსით მივიღე, — ჰოდა, გული მწყდებოდა, რატომ ჩვენი წინაპრებიდან ერთი არავინ გამოჩნდა, ვინც გადალახავდა ზღვებსა და ოკეანეებს და რაიმეს აღმოაჩენდა-მეთქი, თუნდაც ოკეანეში ჩაკარგულ პატარა კუნძულს-მეთქი, ჩვენც ხომ ზღვისპირას ვიყავით ჩამომსხდარი, „ვეფხისტყაოსნის“ ნამკითხველი ხომ მაშინვე იგრძნობს, რა მჭიდროდ ვართ დაკავშირებული ზღვასთან, და თუ პატარაა ჩვენი ქვეყანა, განა დიდია პორტუგალია ან ჰოლანდია-მეთქი? და წარმოიდგინეთ, ქეთევანის გაკვეთილების შემდეგ სიზმარში ვხედავდი ხოლმე ვროტ-მაჩტაზე აღმართულ საქართველოს დროშას, ქარიშხლებს რომ არ ეპუებოდა და ამაყად ფრიალებდა ოკეანეთა თავზე...“

„მე ვფიქრობ“, თქვა ეთერმა, „ვაჟა-ფშაველასა და საერთოდ სიტყვაკაზმული მწერლობის დიდ გავლენას განიცდიდა, ისეთი დახვეწილი ქართულით გადმოსცემდა და ისეთი ემოციის აღმძვრელი იყო ქ-ნი ქეთევანის გაკვეთილები, მართლა სიტყვის მადლით იყო ცხებული“. „აბა, რაა“, თვალები დააჭყიტა ბერდომ, „პრერიებსა და პამპასებზე როგორ ჰყვებოდა?! იმ გადამწვანებული ველების სურნელს ვგრძნობდი და ცოცხლად ვხედავდი ჟირაფებსა და სპილოებს“.

„ჩვენები ხომ ოჯახურად იყვნენ დაახლოებულები, მშობლებიც და შვილებიც. თან ახლოსაც ცხოვრობდნენ. მამა ჰყავდა თურმე დიდად განათლებული და კარგი მჭევრმეტყველი, ნაციონალ-დემოკრატი, ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტი კახეთის ზონიდან, საჭირბოროტო და გონივრული წერილების ავტორი“, განაგრძობდა ეთერი, „პაპაჩემის მეზობელი და მეგობარი, და აკი ერთადაც დახვრიტეს ოცდაოთხ წელს. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ასპარეზი მოეშალა და მთელი გულისყური შვილებისკენ მიმართა, მათი აღზრდისკენ. განსაკუთრებით მეტყველების კულტურას აქცევდა ყურადღებას და საზოგადო ინტერესების გაღვივებასა და ჩანერგვას. ყულაბა ედგა თურმე მაგიდაზე და რამდენ შეცდომასაც დაუშვებდნენ ლაპარაკისა და ამბობის დროს, იმდენჯერ ყულაბაში თავისივე მოცემული წვრილი ხურდა უნდა, ჩაეყარათ. ამბობდა თურმე: ის კაცი რა კაცია, ვინც მშობლიურ ენას ხეირანად არ ფლობს და ვისაც საზოგადოებრივი ინტერესები არ ამოძრავებსო, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსო, თანაც დარწმუნებული იყო თურმე, რომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილი, გამომხატველი ქართველი კაცის ბუნებისა და სულისკვეთებისა ნაციონალ-დემოკრატობა იყო, ჩვენი მეფეებიც ხომ სწორედ ნაციონალ-დემოკრატები იყვნენო, და როგორიც ბერიო, ისეთიც ერიო, და განა ჩვენი მიმართულების სისწორეს, ჩვენი გზის სიმართლეს ჩვენი ისტორია და ჩვენი წარსული არ ადასტურებსო? ერთი სიტყვით, ისეთი კაცი იყო, ჭკუა ეკითხებოდაო, სულ ამას ამბობდა ბებიაჩემი. ოჯახიც სანიმუშო ჰქონდათ, ნამდვილი ძირძველი, თელავური

ოჯახი, მშვენიერი ბავშვების ჟრიამულით სავსე, ბედნიერი და მხიარული ოჯახი... და რა გამოვიდა... ოთხი შვილიდან ქეთევანილა დარჩა და ყველა უშვილძიროდ გადაეგო, ვერავინ მოასწრო ბედს სნეოდა. უბედურება ფეხდაფეხ სდევდათ... 21 წელს რუსები რომ შემოვიდნენ, თელავის ყმაწვილკაცობა და შედარებით ახალგაზრდა მამაკაცები წავიდნენ ვითომ საომრად, გურჯაანთან ყოფილან უკვე რუსები, შევებრძოლებით და გავაბრუნებთო. პაპაჩემიცა და ქეთევანის მამა, ნიკო, წინამძღოლთა შორის იყვნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, რუსები როგორც გააბრუნეს. დაბრუნდნენ თელავში ხელში დაჭრილები და ამ შეტაკების სამახსოვროდ ბურჯთან სურათიც გადაიღეს. 24 წელს, არეულობის დროს ესეც მოსდეს შარად, ჯერ პაპაჩემი დაიჭირეს თურმე. ნიკო ქვემო ხოდაშენში ყოფილა ჩასული, ვენახი ჰქონდათ და იმის მისახედად, პატარა სახლაკიც ედგათ იქა, რთვლის დროს რამდენიმე დღით ჩადიოდნენ ხოლმე. ვენახიდან ამოსვლისთანავე ცოლს უთქვამს, კატოს, თუ ხათრი გაქვს, ახლავე უკან გაბრუნდიო, ხომ ხედავ, არეული დროა, აგერ ილიეო დაიჭირესო, გაერიდე აქაურობას, შენც ხელი არა გტაცონო. მტაცონ და მტაცონ, როგორცა მტაცებენ, ისევე გამათავისუფლებენო, დავსხდებით მე და ილიკო და ყმაწვილკაცობას მოვიგონებთო“.

„ვაი, ვაი, ვაი“, ჩაერთო ბერდო, „რა გულუბრყვილოები იყვნენ, რა გულუბრყვილოები, არ იცოდნენ, არა, ვისთანა ჰქონდათ საქმე ... აი, ეხლა, ჩვენ ხომ აქ სამნი ვართ და სამივეს რამდენი ხალხი გვყავს დაკარგული, რამდენი...“

ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე დავეთანხმეთ ბერდოს.

„ჰოდა“, განაგრძო ეთერმა, „ისინი უკვე დახვრეტილები იყვნენ, ჯალათი გარეგინა რომ მოდიოდა ხოლმე და ბებო ნინოსა და ბებო კატოს თურმე ფულსა და სანოვაგესაც ართმევდა, ვითომ იმათთვის გადასაცემად“.

„ხო იცით, ჯალათი გარეგინა რა ტანჯვით მოკვდა, განგრენა ჰქონდა და ორივე ფეხი მოალპა და ყველა იმას ამბობდა თურმე, ცოდვებმა უწიაო“, თქვა ბერდომ.

„ოოჰ, მე არასდროს არ მამშვიდებს მაგათი ტანჯვა“. ჩავურთე მე, „ჯანდაბამდისაც უვლიათ“.

„მაგრამ მე მინდა 24 წლის ამბავი დაგიმთავროთ“, ეთერმა დაეჭვებით გადმოგვხედა და ჩვენც მაშინვე შევძახეთ გვიამბე, გვიამბეო...

„სწორედ იმ წელს მათ ოჯახს სხვა უბედურებაც დაატყდა თავს. უფროსი გოგო დაეღუპათ, ანეტა, ცამეტი წლისა, მშვენიერი გოგო, ყელმოღერებულს ეძახდნენ თურმე. უშვილო, შეძლებული მამიდა ჰყავდა კატოს, ანა, რუისპირელ აზნაურზე გათხოვილი. ანეტაზე ჰქონდათ თვალი დადგმული ცოლსაც და ქმარსაც. მოსახელეც იყო, ნათლიაც და თავის მემკვიდრედ აღიარებდნენ თურმე, არდადეგებზე ზამთარს და ზაფხულს გვერდიდან არ იშორებდნენ, საჩუქრებით ავსებდნენ. იმ ზაფხულსაც იქ იყო თურმე. თავადაზნაურობა რომ დაარბიეს და ნიფხავ-პერანგიანები გამოყარეს სოფლებიდან, კისრისტეხით მორბოდნენ და თურდოს რომ მოადგნენ, იძრეს ფეხსამოსები და გამოტოპეს. მაშინ ხომ ხიდი არ იყო, რიყე გაშლილი იყო, ზოგან წყალი, ზოგან ღორღი, ჰოდა, ანეტას ფეხი გასჭროდა წვეტიან ქვაზე. რა ქვა იყო ამისთანა და რა ეცხო ისეთი, ამბად გაუხდა, აბა ექიმები, აბა წამლები, თბილისში წაიყვანეს, საუკეთესო პროფესორები დაახვიეს. ხომ გაგიგონიათ, ჭირს მოგცემ, ჭირს

დაგავიწყებო, ბებო კატო ამბობდა თურმე: ნიკოს დახვრეტას არ ვიგლოვებ, ოღონდ ანეტა გადამირჩესო. მაგრამ ვერ გადაურჩათ, სისხლი ჰქონდა თურმე მოწამლული, ისეთი იწვა კუბოში, თვალს ვერ მოაშორებდითო. დეიდაჩემთან მეგობრობდა, ერთადაც სწავლობდნენ. თურმე ერთი წელიწადი ბებიაჩემმა შავები ვერ გაახდევინა, ანეტასა გლოვობდა. საწყალი ქეთევანი კი, მაშინ თერმეტი წლისა, ისე დაიზაფრა, რამდენიმე ხანი ლოგინად ჩავარდა, მაღალ სიცხეებს აძლევდა თურმე. მაგრამ გარდა მძიმე გლოვისა, ამ უცნაურად თავდატეხილმა სისხლის მოწამვლით სიკვდილმა ის შედეგი გამოიღო, რომ ისედაც ყოველთვის ძალიან სუფთები, აკურატულები (მათ სახლში ყველაფერი კრიალებდა) ნამდვილ მონებად იქცნენ წმენდა-ხეხვისა. ონკანსაც უბრალოდ ხელით, სუფთა ტილოს გარეშე, არ მოუშვებდნენ, და ფილაქანის ბილიკს, ჭიშკრიდან აივნამდე, ლაპლაპი გაჰქონდა, გეგონებოდათ მათთან ჰაერიც კი სტერილურიაო. ერთხელ, ჩვენი მონაფეობის დროს იყო, ალუბალი დავკრიფე და ბებიაჩემმა ბადიით გამატანა, კატოსა და ქეთევანს წაულე, მურაბას მოხარშავენო. მათი ამბავი რომ ვიცოდი, ჭიშკართანავე ცხენის ძუის სქელ და განიერ ტილოს მაგრად გავუსვი ფეხები, ბებო კატომ ბადია ეზოშივე დამატოვებინა ონკანთან, თან მთხოვა: შედი ქეთევანთან, შენი შველაა საჭიროო. შევედი და რასა ვხედავ, ჩაკუნტულია და იატაკზე რაღაცას ეძებს... ნემსს ვეძებო, მითხრა, ჩემი დის ნემსია, ქარგვა უყვარდა კანვით პატარა გოგოს, აგერ ის ბალიშები ტახტზე ჩემი დის მოქარგულია იმ ნემსითო. მე მაშინვე ჩავიმუხლე, ვეძებე, ვეძებე და ვუპოვე ძალზე გალეული ნემსი, ან როგორ დავინახე, ძლივს აჩნდა იატაკს. ისეთი დაწკრიალებული იატაკი ჰქონდათ, ერბო აიკრიფებოდა, მაგრამ მაშინვე დაასველა სპირტით ბამბა, მე ხელები გამიწმინდა, კიდევ აიღო ბამბა, კიდევ დაასველა, ნემსი წმინდა და წმინდა და ხელებიც გაიწმინდა. ამ ნემსის ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ საშინელება დაემართა ამ ორი-სამი წლის წინ. არავინ აღარ ჰყავდა, ერთი დეიდაშვილი ცხოვრობდა თბილისში, ზოგჯერ ჩამოდიოდა და ისიც მოუკვდა. არ ვიცი იმათებმა გადაწყვიტეს თუ ვიღაც შორეულმა ნათესავებმა დაარწმუნეს: მოხუცთა თავშესაფარში იქნება შენი წასვლა მიზანშეწონილიო და დათანხმდა. დასავლეთ საქართველოში წაიყვანეს სადღაც, რომელიღაც თავშესაფარში". ეთერი გაჩერდა, მოიღრუბლა, მშვენიერი თვალები სევდით აივსო, „ისე შეეწუხდი, შენთვისაც კი არ მითქვამს, ისე შემძრა იმ ამბავმა". მომიბრუნდა მე და მერე განაგრძო: „ოთხი-ხუთი თვე იყო გასული და ჩვენი პატარა ჭიშკარი გაიღო, გაიხედა დედაჩემმა, მათხოვარი ეგონა, ჭიშკართანვე გაჩერდა ვიღაც მოხუცი ქალი, ფლასებით შემოსილი, და აპყრობილ ხელებს უწვდიდა დედაჩემს, თან მილეული ხმით ეძახის: სონია... სონია. ძლივს შევიცანი ქეთევანი და გაჩქარებული წამოვედი ჭიშკრისკენო. გაშალა თურმე დედაჩემმა ხელები, რომ მოეხვიოს და ნაიყვანოს სახლში.

„არ მომეკარო, სონია, არ მომეკარო... საშინელება მჭირს... საშინელება... მიშველე რამე, გენაცვალე... მიშველე...." „რა იყო, ქეთევან, მითხარი, შენი ჭირიმე, გიშველი, მაშ, რას ვიზამ, მითხარი". „ტილები დამეხვიაააა... ტილებიიი... გამოვიპარე იმ საშინელი სახლიდან... მთელი ღამე ფეხით ვიარე, ხან სად მივეგდე... ხან სადა, მერე ვიღაცა მადლიანმა ნამომიყვანა... თბილისში კიდევ ავტობუს-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩამსვეს....“ არაფრით არ შეჰყვა თურმე დედაჩემს, თქვენთან ვერაფერს გავაბინძურებო. გასაღები ჰქონია შენახული სამალავში ჭიშკრისაც და სახლისაც, შევიდნენ თურმე, იქაც ჭიშკართან გაჩერდა. გამოიტანა დედაჩემმა მაკრატელი და ტანსაცმელი. სულ მთლად მოკლედ შეჭრა თმები, ნავთი წაუსვა, მერე გააცხელა წყალი, გააბანა, თავი ჩამობანა, გააცალა ყველაფერი, გაასუფთავა. ხელებს უკოცნიდა თურმე, წარმოგიდგენიათ. ჩვენი თავმომწონე ქ-ნი ქეთევანი“. ეთერს ცრემლებით აევსო თვალები.

ჩვენზეც მძიმედ იმოქმედა ამ ამბავმა. ეთერი წამოდგა, გეორგინების დიდი თაიგული ზედა თაროდან ჩამოვარდნაზე იყო და ხელი წაატანა გასასწორებლად. მე ფანჯარაში დავინყე ყურება. მინდოდა სხვა, სხვა, სულ სხვა რაღაც მომეგონა. ამასობაში ჩვენ უკვე ბარჯისხევის დაღმართზე ვეშვებოდით. აი, სადაცაა კავკასიონი გამოჩნდება-მეთქი, გავიფიქრე... და არა „მთვარემ“, არამედ წარსულის ბურუსიდან სწორედ კავკასიონმა „ამოზიდა ლურჯი მოგონება“: ქ-ნი ქეთევანი, ქეთევან-მასწავლებელი, ახალგაზრდა და ლამაზი, მის დახვეწილ სახეს ყველა „კამეას“ ადარებს, მას ღია ლურჯი კრეპდეშინის კაბა აცვია, გაფრიალებული მოკლე სახელოებით, დაბლა დაკეცილი, მაღლა კი მრგვლად ამოჭრილი, ყელზე მომდგარი მარგალიტის რამდენიმე ასხმულათი, იგი თავის გრძელ, შიშველ ხელს ინვდის ჩვენი კლასის ღია ფანჯრისკენ და შთაგონებული კილოთი მოგვიწოდებს: „ბავშვებო, შეხედეთ კავკასიონს! ეს ჩვენი მშობლიური მთებია... კავკასიონი! რა ტკვდია ეს სიტყვა ჩვენთვის, როგორ ავსებს ჩვენს გულებს განცდით და როგორ აფხიზლებს ჩვენს გონებას გაგებისა და ჩაწვდომის წყურვილით! როგორც გიგანტური ცოცხალი ორგანიზმი, დაძარღვულია კავკასიონი მდინარეებით...“ და ჩვენ, მესამე კლასელებს, ზარის რეკვასავით ჩაგვესმის ქეთევან მასწავლებლის ხმა. კავკასიონს ჩვენ სულ ვხედავდით, მაგრამ აქამდე საგანგებოდ არ შეგვიხედავს... მერე გვიამბობს და გვიამბობს კავკასიონზე, იმაზე, რომ კავკასიონი ახალგაზრდა მთებია... რა საოცარია, მთებს თურმე შეიძლება ასაკი ჰქონდეთ... ადამიანივით.

ჩვენ გავიზარდეთ, მეცხრე კლასში ვართ, ქეთევან მასწავლებელი ისევ ახალგაზრდა და ისევ ლამაზია, ახლა მას ნაღებისფერი გიპიურის ფუშფუშა საყელოიანი კაბა აცვია შვინდისფერი ქიშმირისა, კოხტადა აქვს მოყვანილი და ძალიან შვენის. მაგრამ ნეტავ რას უმზერს თავისი გასხივოსნებული თვალებით დიდ რუკაზე, რას? თურმე ანდებს... ამჯერად ანდებს... ოო, ანდები, ანდები... ცადატყორცნილი მწვერვალებით... და მათ წარმტაც სახელებს ისე გამოთქვამს, ისეთი დახვეწილი კილოთი, ალბათ ამ უებრო ქართულის ბრალიცაა, ლამის შშობლიური რომ გვგონია ეს შორეული მთები, და მათ წიაღში, ოთხიათასსამას მეტრზე მდებარე ენითუთქმელი სილამაზის ტბა ლაგო დე ლაურიკოჩა... როგორი სახელია, არა? თვალანთებული, ყურდაცქვეტილი ყმაწვილებისთვის, რომელთაც ოცნება ჰკლავს „დედამიწის სიმღერებით მოვლისა“, ჰგონიათ უპირველესად გაემართებიან ამ ლაგო დე ლაურიკოჩასკენ, რათა იხილონ მდინარის დაბადება, არა რაღაც უმნიშვნელო და სასხვათაშორისო მდინარის, არამედ „მისი უდიდებულესობა“ ამაზონისა, დაბადებისას გამჭვირვალე, მოზრდილი ნაკადული რომაა და მარინიონასი ჰქვია. და მე თვალწინ დამიდგა დედამიწის უდიდესი მდინარეები, ქეთევან მასწავლებლის მიერ ხატოვნად მონათხრობი,

F12217

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი მომაჯადოებელი სახელების წარმომავლობა, მათი წყალუხვი მდინარების მაცოცხლებელი მადლი, წყალდიდობის დროს კი მათი ბორგვა, ბობოქრობა და მრისხანება. „ოო, ჩემო ყმაწვილებო“, ამაღლებული კოლოთი წარმოთქვამს ქეთევან მასწავლებელი, „ცის გზავნილებს უწოდებს მდინარეებს ჰომეროსი“.

...მე და ეთერი წინ დავდექით, ფეხებთან, ბერდომა და ბ-მა ირაკლიმ თავთან ჩასჭიდეს კუბოს სახელურებს ხელი და ნელა დავიძარით სამარისკენ, რომელიც არც ისე ახლოს აღმოჩნდა, ან შეიძლება იმიტომაც მოგვეჩვენა ასე, რომ კუბოს ტარება თურმე ძნელი ყოფილა, მითუმეტეს, როცა ქარი სახეში გცემს და მოყინულ მიწაზე აქა-იქ ფეხიც გისხლტება. ამასთანავე, ზომა არავის აუღია და მეკუბოვეს ცხადია, დაეზარა ზედმეტი შრომა და სკივრის დაპატარავება, ისეთი ხალვათი, ისეთი სიგრძე-სიგანის კუბო შეეკრა, დევკაცი ჩაეტეოდა, და საწყალი ქ-ნი ქეთევანი მთლად რომ არ ჩაკარგულიყო, ცოტაოდენ ტანსაცმელთან ერთად ერთი-ორი გეოგრაფიული ცნობარიც ჩავაყოლეთ. მე ნაბიჯებს ვითვლიდი, ვითომ შეღავათისათვის, და ზუსტად ცამეტი ნაბიჯი გვქონდა გავლილი, ბ-მა ირაკლიმ მობოდიშებით გვთხოვა, მოდით, ცოტა შევისვენოთო, და ჩვენც კუბო იქვე, გზის პირას, ძველთაძველი საფლავის ლოდზე დავდგით, და სიამოვნებითაც.

„ცემით გავხეთქავ მაგ მამაძაღლს მაგას!“ დაიძახა ბერდომ და ბ-ნ ირაკლის შეხედა.

„ალბათ, ვიღაცას ასაფლავებენ და იქ შეაგვიანდა...“, თქვა ეთერმა და ჩვენც აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედეთ, მაგრამ გაძრცვნილ ცაცხვებსა და შიშველ ბუჩქებს შორის, და თუნდაც კვიპაროსებიანად, მთელი სასაფლაო მშვენივრად ჩანდა და არსად არავინ ჭაჭანებდა, არცერთი სულიერი.

„რომ იცოდეთ, რაზე მწყდება გული“, თქვა შეცვლილი კილოთი ბერდომ, „მექელეხეთა კოჰორტა რომ არსად ჩანს და გალავნიდან არა აქვთ თავები ამოყოფილი“.

რაც გაჭირდა ცხოვრება, ქალაქში უცხო მექელეხეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი გაჩნდა, გაიხედადეთ და პროცესიას ბოლოში ჭრელაჭრელა ძონძმანებში გამოხვეული ბომჟებისა და მათხოვრების ამალა მოსდევდა. გალავანს შემოეჯარებოდნენ და უთვალთვალებდნენ, პროცესიის ხალხს არც დაუცდიდნენ, სულ სირბილით დაეშვებოდნენ სასაფლაოდან პირდაპირ ქელეხისკენ, და ჭირისუფლები მათ ცალკე უშლიდნენ სუფრას.

„შეგნებული ხალხია, იციან სად გაჰკრავენ კბილს ხაშლამას“, ცალყბად გაიცინა ბერდომ.

„ხაშლამისა რა მოგახსენოთ და“, თქვა ეთერმა, „რეჯიბმა ცოტაოდენი ცხვრის ხორცი გამომატანა, შილაფლავი მაინც გააკეთეთო, ორი ბოთლი თავკვერი, ავადმყოფს მიერთმია, გუშინაც ხომ გეუბნებოდით, აი, ზაირამაც მდგმურების ნობათიდან ლობიო და ხორბალი შემოაწია ქ-ნ ქეთევანს... დედაჩემმა თქვა, როგორმე თავს მოვაბამო, შეუძლოდ არის... ასეთი ახლობელია ქეთევანი და ვერც კი შემოიარა“.

„მეც ერთ-ორ ბოთლ ღვინოს დავამატებ“, თქვა ბერდომ. „მაგრამ აღსაწერი ამბავი კია...“, ბოლმიანად დაუმატა, „ღმერთმანი, შენ რაღაცა უნდა დაწერო“. მომიბრუნდა მე და ხელი გამომიწოდა, „Вашу честную руку“.

„ყოველ შემთხვევაში, ვეცდები“, და მეც ხელზე ხელი მოვკიდე.

„ეცდები კი არა, კარგად უნდა გააჭრელო და ყველაფერი ჩაწერო“, მომიწოდა ეთერმა.

„მე ჯერ თითქოს ცოცხალი ვარ“, ბ-მა ირაკლიმ, გეგონებათ, სწორედ სიცოცხლის ნიშნად, ბერეტი გაისწორა, „მაგრამ ჩემს შემდეგ იქნებ მეც შემომაწიო ორიოდ სიტყვა, ჰაა, ქალბატონო, ხომ არ დამზარდები?“

„მაშ, ვიღას უნდა შეაწიოს, პატმასწ, თუ თქვენ არა?! ღირსმსახურებდით ჩვენს სწავლებას, რაი გადარდებთ? გასწიეთ იგი ნეფერტიტიდან ფერდინანდამდე“. პათეტიკურად წარმოთქვა ბერდომ და ალერსიანი მზერა შეავლო ბ-ნ ირაკლის.

„ოჰ, ღმერთო ჩემო, იმ დროს, როცა ჩვენი კარგი ქეთევანი დასასაფლავებელი გვყავს!“, თავი გაიქნია ბ-მა ირაკლიმ და ქარის მიერ ამოფუყული სუდარას კიდეები ჩაუწია. ბერდო კი ისევ პათეტიკური კილოთი ცდილობდა სიტუაციის გაქარვებას.

„იმ დროს, როცა შვილიშვილები უნდა მიაფრიალებდნენ ბებიის კუბოს, მსუბუქად და მედგრად, შეხნიერებული ყოფილი მოსწავლეები და ენდარტერიტითა და, როგორც ჩანს, გულითაც შეიწრებული ხნიერი კოლეგა და მეგობარი ცდილობენ გაუმკლავდნენ დეკემბრის ქარს, მოყინულ მიწას და ღირსეულად მიხანხალდნენ ფინიშამდე, ანუ სამარემდე! მაგრამ რას ვიზამთ? ასეთია ნაზი ბედი, ბედი რჩეულ ფერის“.

„არა, მაინც რა გულსაკლავია ქეთევანის, და საერთოდ მათი ოჯახის გადაშენება, მე მახსოვს, ერთხელ ეთერმა დიდი ამბით, საიდუმლოდ გვითხრა, — ბავშვებს ხომ ძალიან უყვართ საიდუმლოებები, — თურმე ჩვენს მასწავლებელს საქმრო ჰყავდაო, ძალიანაც უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ რატომღაც სწორედ ქორწინების წინ დაშორებიან ერთმანეთსო და დაე, ამიერიდან ეს იყოს ჩვენი საიდუმლოო“. მე ბ-ნ ირაკლის გადავხედე, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, მას ეცოდინებოდა ეს ამბავი. ბ-მა ირაკლიმ, საწყალმა, ეტყობა იფიქრა, ამით მაინც გამოვისყიდო ჩემი გამოისობით ასეთი შეფერხებაო, — თანაც ისიც სათქმელია, უფრო უკეთ დაასვენებდა ფეხებს და მოიკრებდა ძალას, — ლამის აიტაცა ქეთევანის ჩაფუშული გათხოვების ამბავი და ხალისიანად შესძახა: „შესანიშნავი საქმრო, ყოველმხრივ შემკული, თუ ოჯახიშვილობით, კისისხველი თავადების ჩამომავალი, ბიძინა ჩიჯავაძე, თუ გარეგნობით, თუ სწავლა-განათლებით, მთელი ახალგაზრდობა ხელჩაკიდებული დადიოდნენ და ვერავინ იფიქრებდა მათ დაშორებას, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა მოხდა“, ბ-ნი ირაკლი ერთი წამით გაჩერდა და გადმოგვხედა სათითაოდ, სწორედ ისე, მოწაფეობის დროს კლასს რომ გადახედავდა, აბა, ყურადღებით უგდებდნენ ყურს ბავშვები თუ არა, ჩვენ კი უკვე აბუზულები ვიდექით, სიცივემ მოუჭირა და დაინტერესების მიუხედავად, სრულიად შეუძლებელი იყო ამბის გაჭრელება... მაგრამ ერთბაშად არ გაიტეხა იხტიბარი და მართლაც პედაგოგივით მოგვმართა: „ეს ამბავი 37 წელს შეეხება და ვიცი, თქვენთვის ეს ნელი კარგად არის ცნობილი“.

„ამ წლის შესახებ, პატმასწ“, მოწაფესავით უპასუხა ბერდომ, „ჩვენ ყველას ძალიან კარგად მოგვეხსენება... მაგრამ, გთხოვთ ნუ დაივიწყებთ, წინ დიდი გზა გველის...“ და ბერდომ ბ-ნ ირაკლის მხარზე მოხვია ხელი, ვითომ არ გენწყინოთ, რომ გაგაწყვეტინეთო.

„მართალია, მართალია“, გაიცინა ბ-მა ირაკლიმ, „დრო გვექნება და კარგად გიამბობთ“.

„აუცილებლად, დღესვე დაწვრილებით უნდა გვიამბოთ, ბ-ნო ირაკლი“, და ეთერმა კუბოს სახელურს კვლავ ჩასჭიდა ხელი. ფართე ბილიკი ზევით, ეკლესიისკენ უხვევდა, და ჩვენ სწორედ იქითკენ ავიღეთ გეზი, ასე უფრო მარჯვედ მივალთ საფლავამდეო, ბ-მა ირაკლიმ გვითხრა. თავდახრილები, ჩუმად შევუდექით მცირე აღმართს, დაკვირვებით ჩავჩერებოდით მოყინულ მიწას, ზოგან მაინც ყინული სქლად იდო. მაგრამ ისევ იმდენივე გვქონდა გავლილი, ანუ ცამეტი ნაბიჯი, ბერდომ რომ მოგვიწოდა გავჩერდეთ, გავჩერდეთო... უცებ დავდგით დაბლა კუბო. ბ-ნი ირაკლი ძლივს სუნთქავდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და სულს ვერ იბრუნებდა, პირი მთლად გალურჯებოდა, სახეზე კი ფერი აღარ ედო, იქვე რკინის ჯაბირი იყო რომელიღაც საფლავისა და იმას მიეყუდა, ნელა, ნელა ამოძრავებდა ტუჩებს: „ეხლავე... გამივლის... არაფერია....“ ტყავის ხელთათმანიც ნელა წაიძრო, პალტოს ჯიბიდან აბების ფირფიტა ამოიღო, ბერდოს მიაწოდა, სწრაფად გამოაძრო ერთი აბი ბერდომ: „წყალს რა ვუყოთ, ბ-ნო ირაკლი!“ მაგრამ თავი გაიქნია ბ-მა ირაკლიმ და აბი პირში ჩაიდო. ჩვენ გაშეშებულები ვიდექით და შევყურებდით. მერე ეთერმა ხელი გაიწოდა, პულსს გაგისინჯავთო, ვინ იცის, წნევამაც აგიწიათო. მაგრამ ბ-მა ირაკლიმ არ დაანება: „ცოტა...მომეშვა...“ და სანყალმა დამნაშავესავით გადმოატრიალა თვალები, „ვგრძნობ... რომ... შევძლებ...“

„არც იფიქროთ!“ ხმას აუწია ბერდომ, „მე ფეხები მეგონა, ენდარტენიტიო და თქვენ თურმე გულიც გაწუხებთ, რატომ არ თქვით, რატომ, ვინ იცის, მალხაზსაც არ ატყობინებთ, რომ ამერიკიდან კარგი წამლები გამოგიგზავნოთ!“

„მიგზავნის... მიგზავნის...“ ამოიკნავლა ბ-მა ირაკლიმ. „აი, ახლა კი... ნამდვილად შევძლებ... ერთი წუთიც და...“

„კარგით რაა, ხომ ხედავთ, ისედაც ситуация не из легких, ჩვენ თვითონ მივასვენებთ თქვენი დახმარების გარეშე!“ ლამის დაუტია ბერდომ.

„თქვენ საერთოდ აქ დარჩით, აი, აქ, საფლავის ლოდზე დაბრძანდით და დაგველოდეთ“, თხოვნის კილოთი მიმართა ეთერმა.

„აბა რა“, ჩავერთე მეც, „ეთერი და მე თავისკენ გადავინაცვლებთ, ბერდო ჩვენს ადგილას დადგება და მშვენივრადაც შევძლებთ“.

„როგორ...“ ვითომ წამოყელყელავდა ბ-ნი ირაკლი, სამარემდეც არ მივაცილო ქეთევანი? სულ რომ... სული გამძვრეს... ამას როგორ დავუშვებ?“

„თქვენ თუ მართლა მოგეშვათ, ნელი ნაბიჯით გამოგვყევით... ჭირისუფალივით... მართლაც და მართლაც, ვინმე ნაბიჯითაც ხომ უნდა მოსდევდეს კუბოს“. და ეთერმა ალერსიანად, ჯოკონდას ღიმილით გაიღიმა.

„ოჰ, ღმერთო ჩემო...“ ამოიოხრა ბ-მა ირაკლიმ. „მაგრამ... ვაუბატონო, შენ ხომ გეჩქარებოდა...“

„ახლა ჩემი წასვლა იქნებაა?“ ხელები გაშალა ბერდომ, „თქვენ თავი დაგნებდებათ? გუშინაც იძულებით მოგტეხეთ მხარი, ცნობებისთვის. თანაც არც აღარავინ არ წავა, აგერ გრემიდან თორმეტი ძროხა გამოურეკიათ მხედრიონელებს, პოლიციასთან ამ დილით ცოდვის ტირილი იდგა... იმ კვირას კიდევ ჩემი ქვისლი გადმოსვეს ახალთახალი ნოლ-ოცხდაოთხიდან... ისევ გათენებისას გავყვები რამეს“. ბერდო თავის ადგილას დარჩა, თქვენოდენას კი როგორმე

შევძლებო და ორივე ხელით ქვევიდან ასწია კუბო. ჩვენ მაშინვე ჩავჭიდეთ სახელურებს ხელი, ერთი ამოვიზმუკუნეთ, ჩანდილი ხელების სიმაღლეზე დავიჭირეთ და ტაატით გავუდექით გზას სამარისკენ... რა თქმა უნდა, ერთი-ორჯერ კიდევ შევჩერდით, რომ ადგილები შეგვენაცვლებინა მე და ეთერს, მაგრამ ხელები ჩამოგვწყდა, ჩვენი ქმენი კი ალბათ მთელ სასაფლაოზე ისმოდა... და უცებ, მყისიერად, როცა გაყინულ მიწას ჩავჩერებოდი და ერთი სული მქონდა როდის მივაღწევდით სამარემდე, არ ვიცი, ხსოვნის რა მექანიზმი ამუშავდა, თვალწინ დამიდგა შორეული ზამთრის მოყინული ბილიკზე ჩვენი, ათი-თერმეტი წლის ბავშვების მწკრივი ხელში დიდი გვირგვინებით, ქეთევან მასწავლებლის ძმის პროცესიას წინ რომ მივუძღვოდით, ჩვენ გვერდით წითელარმიელთა ოცეული მოაბიჯებდა მწყობრი ნაბიჯებით, გარემოს ავსებდა ლეგიონის დიდი სასულე ორკესტრის მწუხარე ჰანგები სამგლოვიარო მარშისა. ზოგჯერ მოვიხედავდით უკან, დავინახავდით ჩვენთან სულ ახლოს ცინკის დალუქულ კუბოს, დროდადრო ჩვენს ყურთასმენას სწვდებოდა დედის მდუღარე მოთქმა: „...ჩემო ბიჭო... ჩემო იმედო...“ და ჩვენც, ბავშვებს, გული გვიდუღდა. ქეთევან მასწავლებელი კი სულ ვერ ტიროდა, სულ ვერა, და ჩვენ ვიცოდით: ხმა აღარ ჰქონდა, ვიცოდით, ჩამოსასვენებლად რომ ნავიდა ახალქალაქში თუ ბოგდანოვკაში. სწორედ მისმა ყოველდღიურმა, ხმამაღალმა მოთქმამ, გარიჟრაჟზე რომ იწყებოდა და აღარ თავდებოდა, გატეხა პოლკის უფროსის ნება, „ამ აუტანელი, კუდიანი ქალისთვის, დემორალიზაცია რომ უნდოდა გამოეწვია საბჭოთა მებრძოლებში თავისი გაუთავებელი და აუტანელი მოთქმით“, დაეთმო, ძმის ცხედარი, საძმო საფლავიდან ამოეთხარათ და გამოეტანებინათ. მაგრამ მანამდე თურმე რამდენი იბობოქრა, თავზე კაკალი ამტვრია ქეთევანს: „არა! არა! არა!“ დასძახოდა თურმე, „ვერ დავარღვევთ საძმო საფლავს! უკვე შევუკვეთეთ ობელისკი რუხი ქვისა ზედ ამოტვიფრული სახელებით, თქვენი ძმა ღირსეულად აღესრულა საზღვარზე სამხედრო დავალების შესრულების დროს! თქვენმა ძმამ გამოისყიდა თქვენი ოჯახის წევრების დანაშაული და ეხლა გინდათ შარში გახვიოთ თქვენი ამ ახირების გამოო?!“

„ჩვენს ოჯახს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის სახელმწიფოს წინაშე და ჩემს ძმას არ დავტოვებ! არავითარ შემთხვევაში!“

„მაშ, თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ტყუილად დახვრიტეს მამათქვენი 24 წელს? და თქვენი მეორე ძმა, ხალხის მტერი, ტყუილად დააპატიმრეს და, რა თქმა უნდა, დახვრიტეს 37 წელს? მაგრამ მე ვიამაყებდი ისეთი ძმა მყოლოდა, როგორიც დათა გაგნიძე იყო, ვინც თავის დაღუპულ მეგობრებთან ერთად, დიდი პატივით დაკრძალეთ, სასულე ორკესტრით, ქვემეხის ზალპით, ამ ცივ ზამთარში დაფნის გვირგვინიც კი გავაკეთებინეთ, და თქვენ ახლა, მთელი ორი კვირის შემდეგ, საძმო საფლავის დარღვევას მოითხოვთ? ეს შეუძლებელია! აგიღებთ ბილეთს და წაბრანდით დღესვე!“ „ვერსად ვერ წავალ ჩემი ძმის გარეშე. ჩვენ გვაქვს საძმო საფლავი გიგოს-გორაზე, სადაც მამაჩემი დახვრიტეს! და მეორე საძმო საფლავიც, სოლანლუღის ფერდობზე, ამბობენ 37 წელს იქ ხვრეტდნენ, და მე ვამაყობ ჩემი ოჯახის წევრებით! ახლა კი ვერსად ვერ წავალ ჩემი ძმის გარეშე! დედასთან ხელცარიელი ვერ ჩავალ, ვერა! ჩემს გზას გამოჰყურებს, თავისი მკვდარი შვილის გზას!“

„თქვენ იტყვით ამის შემდეგ, რომ თქვენი ქვეყანა გიყვართ? უცხოეთშია დასაფლავებული თუ რაა, განა ასეთი მნიშვნელობა აქვს, როცა უკვე დასაფლავებულია?!“

„გთხოვთ! მოგიწოდებთ! დამახმარეთ ჯარისკაცები, თუ არა გარწმუნებთ, ჩემი ხელით გავთხრი საფლავს. ვერავითარ შემთხვევაში დედასთან ხელცარიელი ვერ ჩავალ!“

„სირცხვილი თქვენ! სირცხვილი! ველური ხართ? პედაგოგი ქალი! ვინა ხართ ამისთანა, ვინა, მაშ რაღა თქვენ ფრონტზე დაღუპულთა მშობლებმა! თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ საბჭოთა წითელარმიელებს და ვერა გრძნობთ!“

„რომ შეეძლოთ, ისინიც ასე მოიქცეოდნენ!“ და დილიდან იწყებდა საფლავზე გასვლას და მოთქმას. და სულისშემძვრელი იყო ეს დაუსრულებელი მოთქმა. მერე კი ვხედავდით, თავისი დის საფლავის მატკურს იყო მიყრდნობილი, შავი ბერეტი ეხურა, თვალები ჰქონდა დახრილი, თითქოს ეხუჭა, და შეეული, გრძელი წამწამები თვალის უპეებს უფარავდა. თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ გლოვამ შეიძლება ასეთი მშვენიერება შესძინოს ადამიანს. ზოგი ხატს ადარებდა, ზოგი კი ამბობდა, გლოვის სიმბოლოსავით არისო.

როგორც იყო მივასვენეთ, მაგრამ, სიქა კი გაგვძვრა. კიდევ კარგი, მათი საფლავების რკინის მოაჯირის კარი იმ ზომისა იყო, რომ კუბო შეეტია, თორემ ნამდვილად ვეღარ შევძლებდით ზევით აწევას და მოაჯირზე გადატარებას. მოაჯირს შიგნით სამი საფლავი იყო, ქ-ნი ქეთევანის ძმისა, დისა და დედისა, და აგრეთვე მარჯვნივ, დედის საფლავთან, მარმარილოს ოთხკუთხედი, არცთუ ძალიან მაღალი სვეტი პატარა ჯვრით, როგორც მერე შევიტყვეთ, მამისა და უმცროსი ძმის, არჩილის, მოსაგონებლად აღმართული. საქმე ის არის, მამა 24-ში იყო დახვრეტილი, არჩილი კი 37-ში, მათ საფლავები არ ჰქონდათ და სამახსოვროდ ეს სვეტი აღუმართავთ.

იმის გამო, რომ მარმარილოს მატკურები, საიდანაც თეთრ ფაიფურზე აღბეჭდილი ახალგაზრდა კაცისა და ნორჩი გოგონას გაღიმებული სახეები გადმოგვცქერეროდნენ, საფლავების თავთან იდგა, აქეთ საკმაო ადგილი იყო დარჩენილი. სამარე შუაში იყო გაჭრილი, დის, ნორჩი გოგონას, ანეტა გაგნიძის საფლავზე. მიწა დათას საფლავისკენ იყო გადაყრილი, ამიტომ კუბო მეორე მხარეს, დედის საფლავის გასწვრივ, სამარის პირას დავდგით და სული მოვითქვით. გუშინ, სასაფლაოდან რომ დაბრუნდა ბ-ნი ირაკლი, ამბობდა: წარმოგიდგენიათო, ანეტას საფლავი რომ გათხარეს, არაფერი, სულ აღარაფერი არ იყო დარჩენილიო. 70 წელია მისი გარდაცვალებიდან და გაკვირვებას ვარ, ნუთუ რაღაც ნატამალი მაინც არ უნდა დარჩენილიყოო, ამას ჰქვია, მიწა ხარ და მიწად იქეცო. ჩვენც დავრწმუნდით ამაში, სამარეში რომ ჩავიხედეთ, სუფთა, სუფთა, ღია ყავისფერი მიწა იყო მხოლოდ.

ბერდო მაშინვე სახურავის მოსატანად გაიქცა, ბ-ნი ირაკლიც მალევე მოვიდა და მოაჯირის რკინის გრეხილს გარედან მოეყუდა. მე და ეთერმა ზევით გავიხედეთ, მოდის თუ არა მესაფლავე დამხმარეებთან ერთადო. მაგრამ ისევ არავინ ჩანდა. ბ-მა ირაკლიმ მწუხარე სახით შეავლო თვალი ფაიფურის პორტრეტებს: „საბჭოთა კავშირში ჩვენისთანა ხალხს ვის ულხინდა, მაგრამ უბედურებაც არის და უბედურებაც“.

„აბა, აბა“, დაუდასტურა ეთერმა, „ეს დღეები სულ ქ-ნი ქეთევანის მოგონებაში არა ვართ?“. ბ-ნი ირაკლი მოცოცხლებული ჩანდა. ჯეიბირს შიგნით შემოვიდა და სამარის პირას, მიწაყრილზე ჩამოჯდა.

„თქვენ რა საინტერესოდ დაიწყეთ წელან ამბის მოყოლა და აღარ დაგაცალეთ“, ვუთხარი მე, „აი, ჩვენს ბედზე ქარიც ჩადგა და თითქოს კიდევაც ჩამოთბა“.

„სათოვლე პირი უჩანს ამინდს, არ შეგცივდეთ ბ-ნო ირაკლი, სიცივე არ გარგებთ“, თქვა ეთერმა და ისევ გაიხედა ზევითკენ, „არც ვიცი რა გვეშველება, თუ არ მოვლენ“.

„დაიხსომეთ ჩემგან, მაინც თქვენი მასწავლებელი ვიყავი“, მოგვმართა ბ-მა ირაკლიმ. „წინასწარ არასოდეს არ ღირს ნერვიულობა, როგორც იქნება, ისე იქნება“.

ბერდომ კუბოს სახურავი მოიტანა, ჩვენ ხელი შევაშველეთ. სახურავის გასწორებისას ბ-ნი ირაკლი ეუბნება: „სახურავი... მაპატიეთ და, მე მინდოდა ჩასვენებისას ორიოდე სიტყვა მეთქვა“.

„მაპატიეთ, ბ-ნო ირაკლი“, აიქოჩრა ბერდო და სახურავი კარგად მოარგო, „უნდა უთხრათ, აბა რა, მაგრამ მე მგონი დახურულ კუბოშიც ისევე გაიგონებს ქ-ნი ქეთევანი, როგორც თავახდილში, თქვენი სიტყვა ხომ ჩვენთვის იქნება“.

„ვაიმე, ჩემი ყვავილები, როგორ, იქ არ იყო? მე ხომ სწორედ სახურავს დავადე“. შეიცხადა ეთერმა. საწყალი ბერდო უჩუმარი პირით გაიქცა და ასევე სულ სირბილით დაბრუნდა გეორგინების დიდი თაიგულით ხელში: „მანქანის ჯანჯღარში უკან გადავარდნილა თურმე“. თაიგული ეთერს გადასცა, „მე ახლავე იმ მამაძაღლებთან უნდა გავიქცე და სულ კინწისკვრით ჩამოვიყვანო!“ და ბერდო ისევ სირბილით შეუდგა აღმართს.

„ბ-ნო ირაკლი, თუ არსებობს სული, არა მსოფლიო, არამედ ინდივიდუალური, დარწმუნებული ვარ, ამ სულს ყველაზე უფრო სიყვარულის გახსენება ესიამოვნება, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული ხომ ყველაზე უფრო ფასეულია“. მივმართე მე ბ-ნ ირაკლის, რამდენადაც შეიძლებოდა ამ ვითარებაში, ხალისიანად.

„რომ იცოდეთ, ჩემო გოგოებო, ქეთევანი ყოველწლიურად, ბრწყინვალე კვირეულის ბოლოს, ანუ კვირაცხოვლობას, თავისიანების, მამისა და და-ძმების მოგონებისა და ხსენების სუფრას გაშლიდა ხოლმე. დაკიდებდა მათ სურათებს სუფრის გასწვრივ, აანთებდა სანთლებს, მოიწვევდა მამა დავითს, პანაშვიდისათვის კი არა, მოკლე ქადაგების ჩასატარებლად, ხსოვნისადმი მიძღვნილი ქადაგების, და შემდეგ, მშვენიერ ტრაპეზს თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები ესწრებოდნენ. ერთხელ ამ თავყრილობის შემდეგ როგორღაც შემოვრჩი მათთან გვიანობამდე და სწორედ მაშინ მიამბო ქეთევანმა თავისი ჩაშლილი დაოჯახების ამბავი. წელან ტყუილად არ გიხსენეთ 37 წელი, ეს ამბავი სწორედ იმ საბედისწერო, ტრაგიკულ წელს უკავშირდება, რადგან სწორედ იმ სავალალო წლის ბოლოს დააპატიმრეს ქეთევანის უმცროსი ძმა, ოცი წლის არჩილი, უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისა. და დაიჭირეს ახლო ამხანაგის დაბეზღებით. ერთად მოდიოდნენ თურმე უნივერსიტეტიდან, ამხანაგს გაზეთი ეჭირა ხელში, სადაც ეგრეთწოდებული ხალხის მტრების ლანძღვა-გინება იყო დაბეჭდილი, თან თქვენც ხომ გახსოვთ, არ არსებობდა გაზეთი სტალინის ფოტოს გარეშე... ამ ამხანაგმა გაზეთი გაშალა თურმე,

არჩილმა კი ხელი დაჰკრა გაზეთს, თან ბოლმიანად წამოეძახა: ოჰ, ყველგან ამას უნდა ვხედავდეთო, გაზეთი გაიხა სწორედ ფოტოს ადგილას და იმ ვითომ ახლო ამხანაგმა დააბეზღა, ასე და ასეო, სტალინი სძულსო. და დაიწყო ქეთევანის წამების გზა... ქეთევანი და მისი და-ძმა ორ-ორი წლით იყვნენ ერთმანეთზე უფროს-უმცროსი, ჯერ იყო საწყალი ანეტა, მერე ქეთევანი, მერე დათა და სულ ბოლოს — 17 წელს დაბადებული არჩილი. დათამაც იმ წელს დაამთავრა საინჟინრო, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, ჩელიაბინსკში გაანაწილეს, და, ცხადია, წავიდა კიდეც და იქ იყო. მინიმუმ სამი წელი უნდა ემუშავა იქ და მხოლოდ მერე შეეძლო დაბრუნება. არჩილი რომ დააპატიმრეს, ქეთევანი მთელი ოთხი თვის განმავლობაში, სანამ ამანათებს, ანუ „პერედაჩებს“, ღებულობდნენ და სანამ ეტყოდნენ გადაასახლეს „ბეზ პრავა პერეპისკიო“, და ეს დახვრეტას ნიშნავდა, — თუმცა მაშინ ეს ჯერ კიდევ არ იცოდნენ, — ყოველ შაბათს, ღამის მატარებელს მიჰყვებოდა თბილისში, ხელში არჩილისთვის გადასაცემი მძიმე ფუთით, დილით ადრე ჩადიოდა, მაშინვე ჯდებოდა ორთაჭალისკენ მიმავალ ტრამვაიში და მერე მთელი დღე ციხის წინ უზარმაზარ რიგში იდგა. თუ შეატყობდა, რიგი არ მომიწევსო, ყველას სთხოვდა წინ გაეშვათ, ჩამოსული ვარ, აუცილებლად უნდა გავყვე უკანვე ღამის მატარებელსო. დაღლილ-დაწყვეტილი, კვირა ღამესვე გამობრუნდებოდა, ცხადია, ხმელი ვაგონით, რადგან ამდენი წასვლა-მოსვლა და „პერედაჩები“ მეტ საშუალებას არ იძლეოდა, დილით დაბრუნდებოდა თელავში, შეციებული, ამოვიდოდა „ლინეიკით“ ქალაქში და სახლში მისვლას თუ ვერ მოასწრებდა, პირდაპირ სკოლისკენ გასწევდა გაკვეთილების ჩასატარებლად. და მაინც მის გაკვეთილებს წუნს ვერავინ დასდებდა. ქეთევანის დედა კი, დეიდა ნატო, სულ თბილების ქსოვასა და კერვაში იყო, თუ დათასათვის ჩელიაბინსკში გასაგზავნად და თუ არჩილისათვის ვითომ საციმბიროდ“.

„ვაიი... დაიძახა უცებ ეთერმა, „შეხედეთ, ბერდო მორბის თოკითა და ნიჩბებით!“

„ხო ვამბობდი!“ მოგვაძახა შორიდანვე ბერდომ, „რამოდენა ვაჯანჯღარე და ძლივს ჩავაგდე გულისხმაში, გინდ მომკალით, ხელფეხი მაქვს დადამბლავებულიო, არ ვიცი რა დამალევინეს, მთლად მოვწყდიო... ბიჭებიც სუ მიიფანტ-მოიფანტნენო, გალეშილებიო... დღესაო სამი მკვდარი დავმარხეთო... რა უნდა მეთქვა, რა, ერთი მაგარი გავულანწუნე და გამოვიქეცი“.

„მერე რა უნდა ვქნათ!“ ნამდვილად სასოწარკვეთით შევძახეთ მე და ეთერმა.

„ვერაფერსაც ვერ ვიზამთ!“ ბერდომ თოკი და ორი ნიჩაბი მიწაყრილთან დაყარა, „იმიტომ, რომ ყველა სიკეთესთან ერთად, მეორე თოკი და ერთი ნიჩაბი მესამე მკვდართან დარჩენია. სად იყო ის მესამე, სად დაასაფლავეთ-მეთქი და ხელს იშვერდა ტყისკენ. მერე რა რჩევა მომცა იმ ვირმა იმან, დატოვეთ და ხვალ დილით მე დავასაფლავებო. ეტყობა ეგ უნამუსო ფიქრობდა, რომ ასე უპატრონოდ დავტოვებდით მაგის იმედად! ხომ იცით, კუბოებზე რა ამბავია, ალბათ იფიქრა, გავყიდი და ხელს მოვითბობო, წარმოგიდგენიათ? რა დრო დადგა! არ მეგონა, არა, თუ ასეთი ადვილად ფუჭებადი იყო ადამიანი!“ „მაშ რა ვქნათ, კაცო, რა ვქნათ!“ ერთხმად შევძახეთ მე და ეთერმა, ბ-ნი ირაკლი კი სულ თავის ქნევაში იყო.

„რა უნდა ვქნათ!“ დაიძახა ბერდომ ბრაზიანად, „უნდა თავში ქვა ვიხალო, წავიდე იმ ვირის ხელის მიმართულებით და მოვძებნო თოკი და ნიჩაბი!“

“ჩვენც ხომ არ წამოვსულიყავით...“, წამოიკნავლა ეთერმა.

ბერდოს გულიანად გაეცინა, რაც მართალია, მართალი, კარგი ვინმე იყო. შესანიშნავი ტექნოლოგი, საკონსერვო ქარხანა დაუშალეს, გაუძარცვეს, იძულებით „ფრანდულეტზე“ გადასვეს, მაინც სითბოთი და ზრუნვით იყო სავსე და ხალისსაც არასდროს კარგავდა. აკი სანამ მუშაობდა, ქ-ნ ქეთევანს, და არა მარტო მას, ვარდის მურაბასა და უგემრიელეს ატმის კონფიტიურს მიართმევდა ხოლმე. ახლაც უცებ მოლბა: „რას ამბობთ, ჩემო გოგოებო, რასა, თქვენ აი, ბ-ნ ირაკლის მიმიხედეთო“, და გაიქცა. „კი მაგრამ“, თქვა დაბნეულად ეთერმა, „მერე, ესე-იგი, ჩვენ უნდა დავასაფლაოთ?.. ვერ წარმომიდგენია, ჩვენ როგორ შევძლებთ...“

მეც კინალამ უიმედობაში ჩავვარდი, მაგრამ ჩემი საყვარელი ოლა მამიდა გამახსენდა, ვინც შესანიშნავი აფორიზმი დამიტოვა: „შვილო, გენაცვალოს მამიდა, საქმე გასწავლისო“, და ჩვენ ხშირად ვიმეორებდით ამ აფორიზმს. „ეთერ“, შევძახე მე მაშინვე, „შენც ხომ გახსოვს ოლა მამიდას აფორიზმი?“ „რა თქმა უნდა მახსოვს“. „ჰოდა, მოდი ახლა ბ-მა ირაკლიმ დაგვიმთავროს ქ-ნი ქეთევანის გაცრუებული საქმროს ამბავი, არა, ბ-ნო ირაკლი? და თუ იპოვა ბერდომ მეორე თოკი და ნიჩაბი, საქმე გვასწავლის, როგორ მოვიქცეთ“.

„ჩემი ქეთევანი...“, ამოიკვნესა ბ-მა ირაკლიმ, „არ ეყოფოდა, რაც გადაიტანა, რომ მისი დასაფლავებაც ასე გაჯანჯლებულიყო...“

„გთხოვთ, ბ-ნო ირაკლი, შეუდექით თქვენს წმინდა საქმეს და სიტყვა გაგახალისებთ“, მოვუწოდე მე, რაზეც ბ-ნი ირაკლი თავის დაკანტურებით დამეთანხმა და შეწყვეტილი ამბავი განაგრძო: „ჰოდა, საქმროზე რომ გეუბნებოდით ნელან, კარგი ყმაწვილი იყო-მეთქი, როგორც თავადაზნაურობის წარმომადგენელი, უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღეს, ურჩიეს ან ჯარი გიშველის, ან შინსახკომში მუშაობაო. რა თქმა უნდა, ჯარში წასვლა არჩია მთელი სამი წლით და მერეღა შეძლო სამედიცინოზე შესვლა, მანაც 37 წელს დაამთავრა და როგორც ჩანს, ძალიან იყო შეშინებული, ხელი არ ეტაცათ. მაშინ ხომ არ გაიგებოდა ვის იჭერენ და ვის არა. და გადაწყვიტა გარიდებოდა აქაურობას ქეთევანთან ერთად. იმ დროს იყო ასეთი რამ, მოხალისეებად მიდიოდნენ სამუშაოდ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. ადგა და ქეთევანთან შეუთანხმებლად, ვითომ სიურპრიზს მოვუწყობო, მონღოლეთში სამუშაოდ წასვლა გააფორმა და გაბრწყინებული გამოეცხადა საცოლეს, ასე და ასეო, წავალთო, გავერიდებით აქაურობასო, ახდება ჩემი ოცნებაო, ჩვენი ერთად ყოფნისო. გახსოვს, უნივერსიტეტიდან ექსპედიციაში რომ წაგიყვანეს შუა აზიაშიო და შენ აღფრთოვანებული იყავი ყარა-ყუმის უდაბნოთიო. სწორედ გაზაფხულზე იყავით და ამბობდი: საოცარი სანახავია აყვავებული უდაბნოო, და აქლემები, ღმერთო ჩემო, რა მშვენივრები არიანო! ჰოდა, მე ვოცნებობ შენ გობის უდაბნო გაჩვენოო, აქლემზე შეგსვა და სულ რწევა-რწევით შემოგატარო იქაურობაო... და რაც მეტად იტაცებდა მომავალი ბედნიერი ცხოვრების დახატვა, რაც მეტად აღაფრთოვანებდა მონღოლეთში მათი განმარტოებითი და ბედნიერი ცხოვრების წარმოდგენა, მით უფრო იღუშებოდა ქეთევანი, მით უფრო ეკვრებოდა შუბლი და

ეკუმებოდა ტუჩები. ასე მეგონა რაღაც ზღაპარს მიყვებაო, მეუბნებოდა მაშინ, იმ მოგონების ტრაპეზის შემდეგ, რასაც ჩემთან, ჩვენს ოჯახთან, ჩვენს უბედურებასთან არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონოდაო, განსაკუთრებით მწარედ მაცინებდა აქლემზე ჩემი აღჯდომა და რწევა-რხევით უდაბნოში რონინიო.

„და არ იცოდი, რომ ჩემი ძმა დაპატიმრებულია, არ იცოდი, რომ ქვეყანაზე ტერორი მძვინვარებს და სიტყვა სიურპრიზი რაღაც სასაცილო და ყოვლად შეუსაბამოა?"

„სწორედ იმიტომ, რომ ვიცოდი, სწორედ იმიტომ უნდა წავიდეთ აქედან, ჩვენც ხომ გვინდა ჩვენი ცხოვრება გვქონდეს, განა არა გვაქვს ამისი უფლება?" მღელვარებისგან ხმაც კი ჩახშობია, თან ისეთი ლამაზი ყოფილა, ისეთი მშვენიერი, — ახალი ტუჟურკა სცმია, ყავისფერი ველვეტისა, მიგნით ჩალისფერი პერანგი, — ისე ყოფილა შემართული წასასვლელად, შეიძლება ითქვას, გასაქცევად, აღარაფერი ცუდი და უამური აღარ უნდოდა გაეგო, აქ რომ ყოველდღიურად, ყოველწუთიერად ესმოდა, და ერთი სული ჰქონდა, თავის ქეთევანთან ერთად, ლაღსა და ბედნიერ ცხოვრებას მისცემოდა.

„ღმერთო ჩემო...", აღმოხდა ქეთევანს, „შეიძლება? პატარა ძმის მიტოვება... შინსახკომის ჯურღმულში გამომწყვდეულისა?.. ყოველ კვირა შენგან... ნიშანს რომ ელის... მე პაპიროსის ერთი ბეწო ნაგლეჯზე დავწერ ხოლმე, ჩემო ბიჭო, გამაგრდი-მეთქი და წინდის შიგნიდან, ქუსლის ნაოჭში ვაწებებ... ხომ შეიძლება ერთხელ მაინც მიიღოს... აღმოაჩინოს... აღარ მივიდე... აღარ ვიკითხო?.. იმედი მოვუსპო?.. როგორ... და დედაც, ამ მდგომარეობაში უნუგეშოდ დავტოვო? რა ვქნა, რა... ჩვენ... მძიმე ბედის ხალხი ვართ..."

ბიძინამ იფეთქა თურმე, ჩემ მიმართ არა გაქვს არავითარი მოვალეობა? ჩემზე აღარ უნდა იფიქროო? გადასახვეწად რომ მივდივარ და კაციშვილი ახლობელი არავინ მეყოლებაო? შენს ძმას კიდევ ჰყავს მეორე ძმა დათა, კეთილ ინებოს, ჩამოვიდეს ჩელიაბინსკიდან და მიხედოს დედასაც და პატიმარ ძმასაც. ქეთევანსა და დეიდა ნატოს კი უხაროდათ, რომ დათა შორს იყო, ჩამოსვლა არასგზით არ შეეძლო და ეს სწორედ გადარჩენისა და უშიშრად ყოფნის გარანტიად მიაჩნდათ.

თურმე ბევრი იფიქრეს და ივალალეს, ბიძინას საცოლის საქციელი ღალატად მიაჩნდა. ქეთევანს კი, ერთგულებისა და უბედურების ტყვეობაში მოქცეულს, უმალ სიკვდილი ერჩია, თუ ყოველკვირა არ მივიდოდა ორთაჭალის ციხესთან „პერედაჩის გადასაცემად", თავის პატარა ძმის სიახლოვეს, რომელიც რატომღაც სულ უმწეო წარმოედგინა... მერე კი გასავათებული ბრუნდებოდა თელავში, თავის მეორე ოჯახში, სკოლაში, ბავშვებთან... ბოლოს ბიძინამ ასეთი რამ შესთავაზა თურმე: „კარგი, მაშინ ასე მოვილაპარაკოთო, მე ზუსტად დროზე უნდა ვიყო, ჩემთვის გაცდენა შეუძლებელია, და როცა გამოირკვევა არჩილის ამბავი, ან ასე, ან ისე, და შენ განთავისუფლდები ამ საშინელი კირთებისაგან, მაშინ წამოდი ჩემთანო. შევთანხმდებით სად დაგხვდე, ახალდაქორწინებულებს, როგორც ვიცი, შვებულებაც ეკუთვნით და შენ სადაც მოინდომებ, იქ გავატაროთ ჩვენი თაფლის თვეო".

თურმე აღარაფერი უთხრა, მაგრამ ამ „თაფლმაც" ისე გააღიზიანა, თავი ჩაღუნა და ჩუმად ჩაილაპარაკა: ვეცდებიო, თან დაამატა: славны бубны за горами-ო, მაგრამ არც ეცადა და არც წავიდა. ოთხი

თვის მერე ორთაჭალაში აღარაფერი არ მიიღეს, გადაასახლესო. და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ დაუხვრეტიათ. ყველას სწყდებოდა გული ქეთევანისა და ბიძინას დაშორებაზე, ძალიან შვენოდნენ ერთმანეთსო, მაგრამ ქეთევანმა ასე ინება და მე დარწმუნებული ვარ, მარტო არჩილის გულისთვის არა — თავისი მოწოდების გამოც მოიქცა ასე. ქეთევანისათვის ხომ კლასი და ბავშვები ყველაფერი იყო, სცენაც, კათედრაც და ასპარეზიც. მას არ შეეძლო ცხოვრება ბავშვების ჟრიამულის მოსმენის გარეშე, სწავლების გარეშე. რა უნდა ეკეთებინა იმ მონღოლეთში, იქ ხომ საყვარელ საქმეს მოწყდებოდა და მის არსებობასაც აზრი დაეკარგებოდა. განა ასე არ ფიქრობთ თქვენც, ჩემო გოგოებო? ოჯახურ ბედნიერებას რაც შეეხება, მერეც მას, ასე ვთქვათ, ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, ვის აღარ მოსწონდა, მაგრამ ერთი ის, რომ თვითონ სულ აღარ მიესწრაფოდა დაოჯახებას, და თანაც დედამისს საშინელი რამ დაემართა: სისუფთავის მონობაზე უკვე გითხარით და მეორე უარესი უბედურება ის იყო, რომ ნამდვილი დამსმენომანია და შპიონომანია შეეყარა. ყველა დამსმენი ეგონა. ჩემი შვილი მეგობარმა დაასმინა და სხვა რაღას იზამსო. ქეთევანის ყოველ მთხოვნელზე გადაჭრით ამბობდა: სწორედაც ვატყობ, რომ დამსმენი იქნებაო. შენ თუ არ დაგიშლია, გაჰყევი, მაგრამ ეგ ჩემს სახლში ფეხს ვერ შემოაწაწანებსო, და კინაღამ ბიძინაზეც ეჭვი ეპარებოდა.

„მე რა მაინტერესებს, ბ-ნო ირაკლი, მერე აღარასოდეს აღარ უნახავთ ერთმანეთი ქეთევანსა და ბიძინას?" ვიკითხე მე.

„აგერ, უყურეთ, ბერდო მორბის... რაც შეეხება მათ შემდგომ უნაყოფო შეხვედრას, მე მგონი, სულ აღარ არის საინტერესო. უნახავთ ერთმანეთი ვვიდი წლის შემდეგ, ომის შემდეგ, მაშინ ბიძინა გერმანიაში იყო ჯარის ექიმად და ახლა იქ წასვლას ეხვეწებოდა, მაგრამ მათ ერთად ყოფნა არ ეწერათ. როგორც ჩანს, ქეთევანი თელავში უნდა მჯდარიყო და აქედან დამტკბარიყო პლანეტის მშვენიერებით".

ბერდო მართლაც მოგელდა თოკითა და ნიჩბით: „აბა, გოგოებო, მოემზადეთ, ეხლა იწყება თავდავიწყება".

ბ-მა ირაკლიმ აბების ფირფიტა ამოიღო, ერთი აბი კიდევ ჩაიდო პირში. „ბ-ნო ირაკლი, მე თქვენ გულს ვერ დაგწყვეტთ". თქვა ბერდომ. კუბოს სახურავი გადმოაცურა და ქ-ნ ქეთევანს სახეზე სუდარაც ახადა. „გთხოვთ ჩასვენების წინ, სიტყვა რომ გნებავდათ, გამოსათხოვარი, ბრძანოთ".

ბ-ნი ირაკლი წამოდგა, პალტო ჩამოიბერტყა, ბერეტი მოიხადა, მარმარილოს სვეტს მიეყრდნო, რატომღაც ხელთათმანებიც გაიხადა, ჯიბეში ჩაიწყო და ხელები მოიფშვნიტა, მზერა მიაპყრო მიცვალებულის დალეულ სახეს და მკაფიო, მჟღერი ხმით, გეგონებათ ზღვა ხალხი უსმენსო, ისე დაიწყო: „ჩემო ქეთევან, საბოლოოდ დაიწირტა თქვენი საუკეთესო ოჯახი, გაქრა განაგისი თელავის ძირძველ მოსახლეთა, შვინდის ჯოხით გამოიჯარა თქვენი სახლის კარი, მაგრამ ყველა გრიგალისა და მეხთატეხის მიუხედავად, შენ მაინც გერგო შენი ნილი ბედნიერება, საუკეთესო პედაგოგის ჭეშმარიტი ბედნიერება, რადგან შენ ძალგიძდა სიყვარული ჩაგენერგა ბავშვებისათვის, მთელი პლანეტის სიყვარული, და აი, შედეგიც: დღეს შენი მადლიერი მოწაფეები მოგაყრიან მიწას. მშვიდობით ქეთევან, მე ყოველთვის ვამაყობდი შენით". ბ-მა ირაკლიმ ბერეტი დაიხურა და მორცხვად გადმოგვხედა: „მაგრამ მე ვინ მო-

მაყრის მშობლიურ მიწას, საკითხავი აი, ეს არის...“ და ბებრულად ჩაიქირქლა. „ოოჰ, ბ-ნო ირაკლი, აბა, მალხაზი ზემოთ დაგტოვებთ? მაშინ თქვენი შვილიშვილებიც დიდები იქნებიან, ისე გამოგაფრიალებენ, თქვენი მოწონებული“. იხუმრა ბერდომ, და მაშინვე მოგვიწოდა: აბა, ეხლა საქმეს შევუდგეთო, კუბოს სახურავი დახურა და დააჭედა, სასწრაფოდ დაშალა თავისი თოკის ხვეული და თავთან კუბოს ქვევიდან ამოუტარა. მე და ეთერს ჩვენი თოკი გვეჭირა, თან დაკვირვებით ვუყურებდით ბერდოს. და უცებ მივხვდი, რომ ჯობდა თოკი ჯერ ერთ სახელურზე ამოგვედო, ზევიდან გადაგვეტარებინა, მერე მეორე სახელურს მოვდებდით და ასე უფრო არ გაგვიჭირდებოდა ჩასვენების შემდეგ თოკის სამარიდან ამოღება.

„უყურე შენ!“ გადმომხედა ბერდომ, „მართალი ხარ და საიდან მიხვდი?“

„აბა რა გგონია, მე, გენაცვალე, ოლა მამიდას აფორიზმით ვარ შეიარაღებული, და აგერ, ჩემი ოლა მამიდაც აქვეა დასაფლავებული“.

ბ-ნი ირაკლი ბერდოს თოკის ერთ ბოლოს წაეტანა, მერე მტკიცედ ჩაბღუჯა: „ჩემი ცოცხალი თავით არ დავუშვებ, რომ მეც არ ჩავასვენო ჩემი მეგობარი. აი, ახლა ისეთი წამალი დავლიე, ძალიან კარგად შევძლებ... მიწის მიყრისა რა მოგახსენოთ და თოკს ხელიდან ვერ გამაგდებინებთ!“

მე მიწაყრილისკენ დავდექი, ეთერი კი, როგორც წერწეტა, მეორე მხარეს, აქეთ-იქიდან ჩავჭიდეთ თოკს მაგრად ხელი და კუბოს ჩაშვება დავიწყეთ... ეთერი მტკიცედ იდგა თავის წეროს ფეხებზე, ძვრა არ ჰქონდა, მე ცოტა შევინძერი, მაგრამ მეც გავიმაგრე თავი, კუბო ნელ-ნელა ეშვებოდა... და რა საოცარია, როგორც წელან, სწორედ ამ დაჭიმულობის დროს, ცოცხლად დავინახე მოხუცი ქეთევანი როგორ ანთებს ცეცხლს და ვერ აუნთია, სცივა... სცივა... გული უჭრიალებს... წვალობს... ცდილობს აანთოს, ცხელ ჩაის დალევდა, სათბურშიც ჩაასხამდა ცხელ წყალს, იქნებ ჩაიყუჩებდა გულს. აკანკალებული ხელებით წკიმლებს ალაგებს, ნაფოტებიც შემოუწყო... ნავთი... სად არის ნავთი... ასანთს გაკრავს... წკიმლები აალდება და იქვე ქრება... ბოლო დროს ბავშვების ჟრიამული ესმოდა ხოლმე... ეხლა კი სიჩუმეა... სიჩუმე... თვალები დახუჭა... და მერე აღარაფერი გაუგია...

„მადლობა ღმერთს!“ ბერდომ პირჯვარი გადაიწერა, „როგორა ხართ, ბ-ნო ირაკლი?“

„არა მიშავს, არა მიშავს“, ღრმად ამოისუნთქა და მარმარილოს სვეტს მიეყრდნო.

ჩვენ ჯერ მუჭით მივაყარეთ მიწა, მერე კი ნიჩბები ავიღეთ და ნამდვილად გაგვეხსნა მეორე სუნთქვა, ისე ვიქნევდით ნიჩბებს, თითქოს უსიტყვო შეჯიბრი გამოგვეცხადებინოს ერთმანეთისათვის. მე და ეთერს არ გვინდოდა ბერდოს ჩამოვრჩენოდით, და სულ მალე სამარე ამოვავსეთ კიდეც, და ბორცვიც ავამაღლეთ. ეთერმა გეორგინების თაიგული გახსნა და ზევიდან თითო-თითო ლამაზად მოაფინა. და მე არ ვიცი, როდის მიგრძვნია საფლავის ბორცვის დანახვაზე ასეთი შება, როგორიც მაშინ ვიგრძენი, ერთი წუთით რომ შევჩერდით და მდუმარედ დავყურებდით ქ-ნი ქეთევანის საფლავს.

რეზო ადამია



ტრაპიზონული დღიურიდან

28 სექტემბერი, 1999 წელი

„მერსედესის“ მარკის ავტობუსი, თბილისი-ტრაპიზონი-სტამბული, ზომიერი სვლით მიემართება დასავლეთისაკენ. გორი, ქუთაისი და სამტრედიასთან ვუხვევთ მარცხნივ, ვანი, გურია და აჭარა, ბათუმი, თავისი ულამაზესი სანახებით. თითქოს სოციალურად ერთი ურთულესი წყობიდან მეორე ევოლუციურ წყობაზე გადასვლაა. აჭარის ქალაქებს და სოფლებს არცკი შეხებია სამარცხვინო ომათამკველი სამოქალაქო ომი. მადლობა ღმერთს, რომ ჩვეულებრივ მიედინება აქ ცხოვრება. სარფთან მთელი სასაზღვრო პროცედურაა გასავლელი, მერმე – თურქეთის საბაჟოს კონტროლი, და მშვიდობიანად მივემართებით ტრაპიზონისაკენ. ღამეა. ავტობუსის ფართო ფანჯრიდან შესანიშნავად ჩანს გაჩახჩახებული ქალაქები და სოფლები. გზა ზღვის სანაპიროს სარტყელივით გასდევს და გარემო ღამეული მდუმარებით გასუსულა... ზოგჯერ თვითმფრინავი გაიელვებს ციურ ვარსკვლავეთში ციცინათელასავით... ვზივარ მტანჯველი ფიქრებით და მთელი გზა ნატვრაში ვარ, ნეტავი ეს მხარე ძველის დროინდელი ლაზიკია იყოს თავისი ლაზათით, კულტურით და თვითმყოფადობით... ღამის სამ საათზე, ტრაპიზონის შუა ცენტრში ვართ. ავტობუსი ჩერდება, კეთილი სურვილებით ვეთხოვები მგზავრებს, ავტობუსის მძღოლთა ბრიგადას, რომლებმაც იქვე ტაქსში ჩამსვეს. რამოდენიმე წუთში პირველი კლასის სასტუმრო „USTA“ მმასპინძლობს. მისაღებთან ახალგაზრდა ბიჭები დამხვდნენ. ადმინისტრატორს წარვუდგინე პასპორტი, – გადაფურცლა, ყურადღებით ჩახედა, თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და მეუბნება, თქვენთან ყველაფერი წესრიგშია და დღე-ღამის ღირებულება გადაიხადეთ 40 (ორმოცი) დოლარიო. ქვის ცივი ლოდივით დამეცა ეს ამბავი. არა, ბატონო, მე ვეუბნები, მიჯობს ჩვეულებრივ სასტუმროში გადავიდეკ, ეფენდი, – ადმინისტრატორი ოფიციალური ტონით მისტუმრებს. უცებ აზრად მომივიდა: გვიანია, მაგრამ საქართველოს კონსულს, ბატონ გია ჯანჯღავას, დავურეკავ და ვნახოთ რას მირჩევს, მე ხომ მისი მოწვევით ჩამოვედი თურქეთში. ძალიან გვიანია, მაგრამ უნდა გავაღვიძო.

დავურეკე. მისალმებისა და მოკითხვის შემდგომ მოვახსენე, ეს სასტუმრო ძალიან ძვირია, ჩემი შესაძლებლობის მხატვარს აქ არაფერი ესაქმება-მეთქი. დამშვიდდითო, მითხრა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ, – არც მთლად ეგრეა საქმე, ბატონო რეზოო, მეუბნება, ადმინისტრატორს გადაეცით ყურმილიო. რა შინაარსის საუბარი შედგა მათ შორის, არ ვიცი, მაგრამ ვხედავ, ეს ახალგაზრდა კაცი გაწითლდა და სახე აელეწა. პასპორტს მიბრუნებს და მეუბნე-



ტრაპიზონის ნავსადგური.

ბა, აბრძანდით, ეფენდი, მეორე სართულზე, ლუქსში და დაისვენეთო. მეც, გაკვირვებული და აღფრთოვანებული, შევედი ჩემს ნომერში, როგორც შემეძლო მოვეწყვე და მგზავრობით დაღლილი დავწექი.

მეორე დილით ისევ დავუკავშირდი ბატონ გიას – საქმეებს მოვითავებ და გეახლებიო. ადმინისტრატორმა კი სასტუმროს პატრონთან მიმიყვანა, შესანიშნავი პიროვნება გამოდგა. მერმე ბატონი გიაც მობრძანდა და საქმიანი მოლაპარაკებები დაიწყო. თქვენი მხატვარი ორ-სამ თვეს ჩემთან იცხოვრებს, ჭამა ორჯერ დღეში და მისგან საბოლოოდ 50 სურათი უნდა მივიღოო, – განაცხადა სასტუმროს მეპატრონემ.

თქვენ ფოტოგრაფირება ხომ არ გგონიათ ფერწერული ტილოების შექმნა-მეთქი, გაკვირვებით მივმართე. არა, ბატონო გია, აქედან გამიყვანეთ, თუ ღმერთი გწამთ, – ვეუბნები კონსულს... ნუ ნერვიულობთ, ბოლოს და ბოლოს, საკონსულოში დაგაბინავებთო, გიამ მითხრა, მაგრამ მოლაპარაკება ასე დამთავრდა: თვეში ათ სურათს ვაძლევ. ბევრია, მაგრამ რას იზამ... ქართველებმა არ მისპონსორეს თბილისში, თურქებმა კი საკმარისად ხელი მომიმართეს. თან, წინასწარ ვატყობ, დასატოვებელი სურათები ჩემი შესარჩევი იქნება.

29 სექტემბერი

დილიდან რატომღაც უჟმურ გუნებაზე ვარ. რამდენიმე მოტივი მოვიძიე. ტრაპიზონში ბევრი ძალიან კარგი ისტორიული ადგილია, მხატვრის თვალს რომ მიიზიდავს, ისეთი. ცუდ გუნებაზე როგორ არ ვიქნები, ჩემი ოცნების ლაზიკა ხელში შემადნა, სამ უძველეს ცივილიზაციაგავლილი ხალხი გაუმჭვირვალე ბურუსში გახვეულა, ულამაზესი ცისფერთვალა გოგო-ბიჭები უცხო სამოსელით შემოსილან... დიდი დრო უნდა, მათ ფერფლწაყრილ გენის ნაკვერჩხალს ძველებური ელვარება რომ მიეცეს.

საღამოს, სასტუმროს ვესტიბიულში ვდგავარ და სასტუმროს პატრონი, ეფენდი ჰუსეინი, თბილი და ახლობლური ღიმილით შემომყურებს: ბატონმა გიამ მითხრა, ერთ დიდებულ ლაზს უნდა თურმე თქვენი გაცნობა. მეგრული ხომ იცით? – მეკითხება. კი, ბატონო, – ვუპასუხე მე. ჰოდა, მწყურვალედ უნდა თქვენი და თქვენი შემოქმედების ხილვაო.

სანამ ის ლაზი არ გამომცხადებია, ჩემი გაცნობა რომ უნდა, შორეული ვარსკვლავეთისაკენ მაყურებელი კაციკითია ვარ. დღევანდელი ლაზეთის ფენომენის სულიერ ნახატს ვაკვირდები და იგი უსასრულოდ შორსაა ჩემგან. ისეთები ვართ ერთმანეთისთვის, როგორებიც დროისაგან გათიშული მამა და შვილი, ერთმანეთს რომ ვერ

ცნობენ და გულგრილად აუვლიან ხოლმე ერთიმეორეს გვერდს.

მოედანთან სანდომიანი სახის ცისფერთვალება კაცი შემხვდა. თხოვნით მივმართე, საქართველოს საკონსულო მიმასწავლე-მეთქი. უცბად ხელკავი გამომდო და რამდენიმე ქუჩის გავლით საქართველოს საკონსულოს კარებთან მიმიყვანა, კეთილად დამემშვიდობა და გამოლიმა. შეხვედრისას კი მოურიდებლად მივახალე: ქართველი ხარ-მეთქი? იოხთურ, – მეუბნება. მე მაინც ძალიან გამიხარდა მასთან ურთიერთობა.

ჩვენ გვაოცებს კოლხური ისტორიული ძეგლების არქეოლოგიური გათხრები, უძველესი ვანი, საჩხერე, ნოქალაქევი. შეუსწავლელია კოლხეთის აფხაზეთი, სვანეთი და მრავალი სხვა. ნაღვლიანი ფიქრებით დავდივარ ტრაპიზონის ქუჩებში და კოლხეთის შორეულ ლანდებს აქ უფრო ვხედავ, ვიდრე ჩვენთან, საქართველოში. საოცრად მძაფრია აქ წინაპართა გამოძახილი. კიდევ კარგი, აჭარამ მრავალი უნიკალური ლაზური ფენომენი რომ გადაგვრჩინა.

ხვალისათვის ემოციებით დატვირთული მოტივი ავირჩიე ტრაპიზონის ნავსადგურში. ბატონი გია საოცრად ინტერესიანი, გონიერი ახალგაზრდაა. ბატონო რეზო, მოინდომეთ და თქვენი შემოქმედებით როგორმე აიყვანეთ აქაურობაო... რამდენიმე ძლიერი სურათით მოვიზიდოთ ეს ხალხიო. მამხნევებს, მაგულიანებს.

დღეს, 29 სექტემბერს, ოპტიმისტურად შემართული განწყობილებით ზღვის სიღრმეში გამავალ ქვის ლოდებიან გალავანს გავყევი. შეყვარებულთა წყვილი დამეწია. კარგი ახალგაზრდები იყვნენ, გოგოს თავისებური, ალბათ უფრო თურქული, ეშხი ახლდა...

30 სექტემბერი

ამინდი შესანიშნავია, გავარვარებული მზე გახელებულა და მცხუნვარე დღეს გვიმზადებს. სამუშაოდ ის ადგილი ავირჩიე, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში მზე დაჰყურებს. გუშინ რუსულ ბაზართან ახლოს თურქული თხელი ჯინსის ქუდი ვიყიდე და ჩემი პირველი მაყურებლები თურქს ჰგავხარო, მეუბნებიან.

მთელი დღე თავდაუზოგავად გაგგანია სიცხეში ვიმუშავე. ნახატი ყველას მოსწონდა. მერმე ნავსადგურის და საბაჟოს უფროსები და პოლიციელები მობრძანდნენ მწყობრად. არავითარი შევიწროება მათი მხრივ. მიმიღეს შესანიშნავად, ყველა რაღაცით მეხმარებოდა. ერთმა ნავთი და სუფთა ტილოები მომიტანა ხელების გასაწმენდად. მერმე ცივი სასმელი წყალიც მომართვეს. ერთ-ერთი კატარღის კაპიტანი სულ თავს დამტრიალებდა, მეხმარებოდა კიდევაც: ოფლად რომ ვიღვრებოდი, ქაღალდის ხელსახოცები ამოიღო და სახეს თვითონვე მიმშრალებდა, რამდენიმე ცალი

მარცხნიდან: კონსულის მოადგილე ნათე ბანაში, რეზო ადამია, გენერალური კონსული გია ჯანჯღავა.



ნავსადგურის ხატვისას.

ქალალდი მოლბერტზეც დამიდო. ხალხი დინჯად იკრიბებოდა ჩემ გარშემო და გაისმოდა – „იახში ეფენდი!“ (კარგია, ბატონო!), ზოგი რუსულად მეტყოდა – „ხარაშო“, ერთ-ერთმა გერმანულად მომმართა: – „გუთ!“ მათ შორის ქართულის მცოდნეც გამოერია, საბაჟოს მუშაკი, ხშირად მოდიოდა და „სუპერ, რესამ ეფენდი!“, მეუბნებოდა.

შემდეგ სურათზე გარიგებაც დამიწყეს. ამ ნახატის გაყიდვა არ მინდოდა, რათა საღამოს სასტუმროს პატრონისთვის მეჩვენებინა – ნახოს როგორ ვიწყებ აქ მუშაობას. ბოლოს ნავსადგურის ხელმძღვანელობა მოვიდა და ერთ-ერთმა დაკვეთაც მომცა, ნავსადგურის მთლიანი ხედი გემებთან ერთად დაგვიხატეო. მე ხუმრობით ვუთხარი, კი, ბატონო, მაგრამ ადგილზე უნდა იყოს შარაფი და ბოლოს საკმარის ფარას თუ მომცემთ, სურათს თქვენ დაგიტოვებთ სამუდამოდ-მეთქი. არ იქნება პრობლემებიო, მეუბნება. მერმე შებრძანდა თავისი ოფისის კაბინეტში და ვისკი გამომიტანა – ცოტ-ცოტა საღამოობით დალიეო.

რვა თუ ცხრა საათი ფეხზე ვიდექი და ძალიან დავიღალე. საღამოს ნომერში ბატონმა გიამ დამირეკა, სასტუმროში მოგაკითხე და არ იყავიო. უკვე გავედი მოტივზე-მეთქი. სამომავლო გეგმებზეც ვილაპარაკეთ. მგონი ტრაპიზონის მაღალ საზოგადოებას დავიახლოვებთ, – ვეუბნები. მე ხვალ სოჭში მივდივარ საქმეებზე სამი დღითო. თქვენ ჩვეულებრივ განაგრძეთ მუშაობა და რომ ჩამოვალ, გეგმის მიხედვით ყველაფერს მივხედოთო.

გადაწყვეტილი მაქვს ნავსადგურის მთლიანი ხედის მოტივზე ვიმუშაო. თუ დამკვეთებს სურათი ეძვირათ და არ აიღეს, ჩემთვის დავიტოვებ. ან კი ახლადშექმნილი სურათების შეგროვებაა აუცილებელი...

დღეს 30 სექტემბერია და ისევ დიდი თემა მაქვს აღებული. ამ პერიოდში გამოცდილებით, ინტუიციით, გუმანით ვმოქმედებ, ბევრ რამესაც მოტივი მკარნახობს. ნავსადგურის ხელმძღვანელობის თხოვნის შესაბამისად, პეიზაჟის ხედი ავიღე და შევუდექი უმძიმეს შრომას. სიცხეა. უბრალო თხელი ქუდი მახურავს. დღევანდელი პეიზაჟის ხელში ჩაგდება ცოტათი გაჯანჯღდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვიმარჯვე. ამ დილით, სამუშაოდ რომ მოვდიოდი, ნავსადგურის შესასვლელთან პოლიციამ იაქტიურა, მაგრამ ბოლოს უფროსი მხარზე მომეფერა და, მოეშვით ამ კაცსო, – უთხრა ხელქვეითებს, – მიბრძანდით და იმუშავეთო, – დამრთო ნება. დიდი გემის, OLONIA-ს, მეპატრონემ, ჩემი პატარა კატერი დამიხატეო. შესანიშნავი ქართველი კაციც ახლდა, რომელიც დიდი ხანია საცხოვრებლად ტრაპიზონში გადმოსახლებულა. სურათის ფასი 200 დოლარია, ვეუბნები. შემევაჭრა და 100 დოლარზე მოვრიგდით. რა ვქნა, დამკვეთს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავკარგავ, მასალისათვის ფულია საჭირო. ერთ-ერთმა მაღაზიის გამგემაც დამიკვეთა ნახატი, ოღონდ კარგად ვერ გავიგე რა უნდოდა. ხვალ ან ზეგ თარჯიმანს მივუყვან, ახალგაზრდა რუსი გოგო მუშაობს ნავსადგურის სასადილოში და იმას ვთხოვ დამეხმაროს.

გაუგებრობა მოგვივიდა ერთ-ერთი კატარღის კაპიტანსა და მე. დღეს ტილოზე მისი კატარღაც ჩავხატე. გუშინ ვეხუმრე, შენი კატარღა სურათის ცენტრში იქნება და ერთი ბოთლი შარაფი იკისრე-მეთქი. მას უფიქრია, სურათს მოცემსო. ერთი ბოთლი ღვინო მოიტანა, ხილი. ჭიქა ღვინო მასაც დავალევინე. დღევანდელი სურათიც ყველას მოეწონა. როგორც ყოველთვის, ხალხი ფასს მეკითხებოდა, მაგრამ ამ ტილოს არ ვყიდი, ნავსადგურის ხელმძღვანელობის დაკვეთაა. დღის ბოლოს კატარღის უფროსი მოვიდა და, როცა გაიგო, სურათი სასტუმროში მიმქონდა, ეწყინა. ეს ნახატი ხომ ჩემიაო! იქვე ხუთი სერიოზული ბიჭი იდგა და გაეხუმრნენ: – შენ, რა, ეფენდი, ერთ ბოთლ ღვინოდ 300-დოლარიანი სურათი მოგინდაო? როცა გავიგე, საქმის ვითარება, ვუთხარი: – ეს სურათი ნავსადგურის უფროსის დაკვეთაა, არ გეწყინოს და მე შენ ამ დღეებში კარგ რამეს დაგიხატავ და გიფეშქაშებ-მეთქი. გაუხარდა, მაგრამ დღეს საბაჟოს კარამდე აღარ მიმაცილა.

გასასვლელთან სამორიგეოს პოლიცია დამესია, სურათი ხელიდან გამომტაცეს, თავიანთ ოთახში შეიტანეს და აღტაცებით ათვალიერებდნენ. თან პოლიციელი გოგოები დაგვხატეო, მთხოვდნენ. სხვა დროს. სხვა დროს-მეთქი. პოლიციის ერთი ოფიცერი მოვიდა და მიმანიშნა, სურათის მარჯვენა მხარეს, გრძელი შენობა და ანძები რომაა, სხვა დროს არ ჩახატო, გასაიდუმლოებული ადგილიაო. ამ სურათში კი არა უშავს, იყოსო. ნავსადგურის უფროსი აუცილებლად შეიძენს ამ სურათსო.

საღამოს დაღლილ-დაქანცულმა როგორც იქნა სასტუმრომდე მივაღწიე. სასტუმროს თანამშრომლები ფოიეში შემეგებნენ, ჰუსეინ ეფენდიც მეგობრული ღიმილით შემხვდა. მასთან რამდენიმე ბობოლა თურქიც იყო და სულ „იახში-იახში რესია“ იძახეს, მე კიდევ, – „თეშექიუ ედერრ“, – ვეუბნები (მადლობას ვიხდი). ამ სასტუმროში მხოლოდ მდიდრები ჩერდებიან მსოფლიოს ყველა კუთხიდან, ამჟამად გერმანელები ჭარბობენ. ჯერჯერობით აქ კარჩაკეტილ მუშაობას ვეწევი და მათთან კონტაქტს არ ვამყარებ. მერე ვნახოთ, თუ კმაყოფილი დავრჩი სურათების მხატვრული დონით, პოზიციას შევიცვლი... თავიდანვე რთულ მოტივებს შევეჭიდე, რამაც ფიზიკურად შემანჯღრია. მე ყოველთვის ასე ვიქცეოდი: ერთ დღეს რომ დიდ თემაზე ვმუშაობდი, მეორე დღეს შედარებით იოლ მოტივზე გადავდიოდი, რაც საშუალებას მაძლევდა შრომის ნორმალური ტემპი შემენარჩუნებინა. რა თქმა უნდა, ტრაპიზონშიც ასე უნდა ვიმუშაო.

ბატონი გია ამ საღამოს სოჭში წავიდოდა...

მე კი ისეთი განწყობილება შემექმნა, თითქოსდა მარტო დავრჩი ამ უცხო ქალაქში...



(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ახალი თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სცენები „ფაუსტიდან“

ქუჩა

ფაუსტი, გზადჩამოვლილი მარგერეტე

ფაუსტი

ჩემო ლამაზო ქალბატონო, მკლავზე დაყრდნობით
უნდა შინამდე მიგაცილოთ აუცილებლად.

მარგარეტე

არც ლამაზი ვარ, არც ქალბატონი,
გზასაც გავიგნებ გაუცილებლად.
(გვერდს აუქცევს და გადის.)

ფაუსტი

ეს რა ბავშვია, ღმერთო, მიხსენი!
შემკულა ქალის ყველა ღირსებით.
თან კდემით სავსე, სათნო და ზრდილი,
თან კვიმატურად ნაპერწკლის მყრელი.
ან რა თვალ-წარბი, რა ბაგე-კბილი!
ვერ დავივიწყებ ათასი წელი.
როგორ დახარა თვალები მორცხვად,
რა მოხდენილი პასუხი მომცა!
უცებ მომკვეთა, გასხლტა მალიად.
რა ლამაზია! რა ცინცხალია!
(შემოდის მეფისტოფელი)

ფაუსტი

ეს გოგო დღესვე ჩემი გახდეს!

მეფისტოფელი

რომელი გოგო?

ფაუსტი

ახლა რომ გვერდზე ჩამიარა.

მეფისტოფელი

მერედა, როგორ?
აღსარებიდან, საყდრიდან მოდის,
არ სცხია მწიკვლი მცირედი ცოდვის.
მერხს უკან ვედექ ყურდაცქვეტილი,
წამლად საჩემოს არაფერს მალავს,
გულმართალია და ზნეკეთილი,
არა, ასეთზე არა მაქვს ძალა.

ფაუსტი

ნუ ხუმრობ! თოთხმეტს გადაშორდა!

მეფისტოფელი

მუსუსი ნახე!
უმანკოების, სიწმინდის ყვავილს,
ერთი სული აქვს, წასწყვიტოს თავი,
არ მოუფრთხილდეს არავის სახელს!
სურს და, ინებეთ, მიერთვას უნდა.
რა ვქნათ, რომ ასე არ არის მუდამ.

ფაუსტი

კანონებს მირჩევ, დიდო მაგისტრო?
ნახე მაგაზე ლაპარაკის დრო?
გულშეძრულია! მაგდებს ნამუსზე!
ჩამოლვენთილა მწარე ფიქრებით!
ან გოგოს მომგვრი ამსაღამოსვე,
ან შუაღამით, მორჩა, ვიყრებით.

მეფისტოფელი

ასე ერთბაშად რას გავხდები, ხომ არ გაგიუდი!
მანდ რომ შემთხვევა გამოვყნოსო, მარტო მაგისთვის,
მეტიც არა ვთქვა, ორი კვირა მინდა მცირედი.

ფაუსტი

დიდი რამ საქმე მიამიტი გოგოს ცთუნება!
ორი საათით მომცემოდა მშვიდი გუნება,
ეშმაკის გარჯას არც არაფრად დავიჭირვებდი.

მეფისტოფელი

შენ რა ფრანგივით ლაპარაკობ! ვიცი, გაწყრები,

მაგრამ სიამეს ნუ წაიხდენ სულის წასწრებით!
დაგემოვნება სჭირდება ტრფობას,
ტარიტურები, ნელ-ნელი თრობა,
აღმა-ჩაღმანი, ალა-ბალა, ბადე-ფაცერი,
როგორც გვასწავლის რომანელთა ნათხრობ-ნაწერი.

ფაუსტი

უმაგისოდაც არ მაკლია, მე მგონი, მადა.

მეფისტოფელი

კარგი, გვეყოფა ეს უაზრო ესკაპადები,
აქ არ გამოვა, გიმეორებ ნათლად და ცხადად.
მონდავლება პირველივე ხელის დადებით.
სუფთა, უმანკო არსებაა, ჯერ თითქმის ბავშვი,
აქ საჭიროა შორით მოვლა, შეუშვი თავში.

ფაუსტი

მაშინ წამოდი, მიჩვენე ბინა,
მისი ოთახი, იქ სადაც სძინავს!
მომიღე რამე, მისგან ნაქონი,
ვთქვათ, წვივსაკრავი, გინდაც ზონარი...

მეფისტოფელი

მოკლედ, სურვილით ზედ დასაკონი,
მხურვალე გულის მოსაფონარი!
ნიშნად იმისა, რა ერთგულად გემსახურები,
დღესვე მიგიყვან, არ დაგტოვებ ბედთან მდურებით.

ფაუსტი

ვნახავ? ჩავიკრავ?

მეფისტოფელი

არც იფიქრო! შევალთ ცოტა ხნით.
შინ არ იგულო, ცარიელი გხვდება ოთახი,
სტუმრად იქნება გადასული მეზობლის ქალთან.
შეიწოვ სურნელს. არაფერი, იმედის გარდა.

ფაუსტი

წამიძეხ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

არა, ჯერ ადრეა, დრომდე მოითმენ.

ფაუსტი

არ დაგავიწყდეს: საჩუქარიც გვინდა დროითვე.
(გადის.)

მეფისტოფელი

ამფერ, სწავლულო! ესე ყოველი,
იცის, საჩუქრით გასაჩარხია!
ნაცნობ ადგილებს მივივლ-მოვივლი,
აქ სადღაც-სადღაც განძი მარხია.
(გადის.)

სალამო

პატარა, სუფთა ოთახი

მარგარეტე, *თმას იწნავს*

ვინ იყო, ნეტავ, ის უცხო კაცი?
უცნობი ვაჟი, საყდართან, დილით?
გვაროვანია, არ უნდა ცილი,
წარჩინებული ოჯახის შვილი,
სითამამეზე ეტყობა ყმაწვილს.
(გადის.)

შემოდიან ***ფაუსტი*** *და* ***მეფისტოფელი****.*

მეფისტოფელი

მომიყვანიხარ, აჰა, ბატონო!

ფაუსტი

გთხოვ, ცოტა ხანი მარტო დამტოვო.

მეფისტოფელი, *მიმოათვალიერებს იქაურობას*

როგორი სუფთა გოგოა, ხედავ?
(გადის.)

ფაუსტი

საამო ბინდო, მშვიდობა შენდა,
სამლოცველოთა მიმწუხრო ნელო!
და სიყვარულის ტკბილ-მწარე ელდა
იმედის კვალად ნათობს და ბნელობს.
სიმყუდროვეა რაღაც სხვარიგი,
სხვა სისუფთავე, სხვა სიფაქიზე!
თბები, იმსჭვალვი ამ სიღარიბით,
იმნაირია, გულს რომ აგივსებს.
(სავარძელში ჯდება.)
მიმიღე, ძველო სავარძელო, სევდით ფარულით,
შენს წუხილსა და სიხარულში შემიძღვე უნდა,
როცა სხვა იყავ, ტახტი იყავ მამამთავრული,
და გარეშემო პატარები გეხვივნენ გუნდად.
მათ შორის ალბათ ისიც იყო, ჩემი ძვირფასი,
ბავშვურად ლოყებგაფუნჩული, ღაბუა ჩიტი,
და მოხუც პაპას საშობაო საჩუქრისათვის
მადლობის ნიშნად დამჭკნარ ხელზე ჰკოცნიდა რიდით.
ო, როგორ ვიგრძენ, სანატრელო, შენი არსება!
შენი სულია ეს წესრიგი, სილბო, სავსება!
თუ ეს ფარდაგი! თუ ეს სუფრა მარმაშიანი!
თუ სოხანეზე მოპნეული სილის შრიალი!
ეს კი...
(გადასწევს საწოლის ფარდას.)
რა ტკბილი ჟრუანტელი შემომაგება!
მთელი საათი, შემიძლია, გავჩერდე კრძალვით.
ვით მსუბუქ სიზმარს, ანგელოზის ციურ სახეებას
აქ განსახავდნენ, აქ ძერწავდნენ ბუნების ძალნი!
აქ წოვდა ძუძუს, აქ იწვა ჩვილი,
განგებისაგან ღვთაებად ქმნილი.

რისთვის მოსულხარ? რას ეძებ, რა გსურს?
შეკრთი? სისველე ჩადგა მზერაში?
როგორ მარტივად მინებდი საცთურს,
საბრალო ფაუსტ, ვერ გცნობ ვერასგზით!
რა გჭირს? ჯადო გჭირს? გეცვალა მხარი?
სასიყვარულო სიზმარში ქრები?
ნუთუ რაც რა ვართ, შემთხვევის ნებით?
მივალთ, საითაც დაგვბერავს ქარი?
ახლა რომ უცებ შემოვიდეს, რა პასუხს ეტყვი,
იმას, რომ სრულად ატანილხარ მდაბალი ჟინით?
შენდობა სთხოვე, საცოდავო, გაწექ მის ფერხთით!
კაცო გულდიდო, რა მცირე ხარ, რაოდენ კნინი!

მეფისტოფელი

ჩქარა! საცაა გამოჩნდება, დროზე გავასწროთ!

ფაუსტი

შორს, შორს აქედან! აღარ მოვალ უკან არასდროს!

მეფისტოფელი

ესეც ზარდახშა! რა მძიმეა, შეავლე ხელი!
ნამრუდალია, საგანძური მოვჩხრიკე ძველი.
ნახოს და თვალი ვერ მოსწყვიტოს! აიღე-მეთქი,
დრო აღარ ითმენს, კარადაში სასწრაფოდ შედგი.
ახალ საუნჯეს გაპოვნინებს, არ გასტანს დიდხანს,
სათამაშოზე, ზიზილებზე ხარბია ბავშვი.

ფაუსტი

არ ვიცი, მიღირს ეგ ამბავი?

მეფისტოფელი

კიდევაც მკითხავს!
აი სეირი! გამოვიდა, ამაოდ დავშვრი!
სხვა დროისათვის, წმინდა სულო, კაცო მართალო,
გირჩევ, დამინდო, ასე ფუჭად არ მასხმარტალო.
ან იქნებ განძი არ გეთმობა, შენთვის მოგინდა?
მღელვარე სულში მეთავისე ამობოგინდა?
ღონეს არ ვზოგავ, დავწრიალებ, მივძვრებ-მოვძვრები —
(ზარდახშას კარადაში შედგამს და კარადის კარს კლიტეზე კეტავს.)
დროა, ნავიდეთ! — შუბლზე კოპი, ხელზე კოჟრები...
გოგო მოსურდა, სათნო და ნორჩი,
ვიქქქე მტვერში, ვიხოხე შმორში,
არადა, თურმე ჯავრი რისი გაქვს!
მოძღვრის პოზაში დგას დაბღვერილი,
ჰგავს თუ, შესჭმუნავს თავალერილი
თავის ფიზიკა-მეტაფიზიკას.
ნავიდეთ, დროა!
(გადიან.)

მარგერეტე

რამ ჩამოხუთა აქ ეს ჰაერი,
(ფანჯარას გამოაღებს.)
გარეთ სიგრილე დგას იმნაირი...
ისე ვარ, თითქოს... რა მომდის ნეტა?
ოღონდ კი მალე დაბრუნდეს დედა.
მიკრთის, რაღაცას მანიშნებს თვალი.
რა ვქნა, რატომ ვარ ასეთი მფრთხალი?

(ტანსაცმელს იცვლის და მღერის.)

იყო მეფე თულეს ქვეყნად,
გულის სწორზე მგლოვარი,
ოქროს თასი ხელად ეპყრა,
მისგან დანატოვარი.

ხელად ეპყრა, დაიღებდა,
აივსებდა, დაცლიდა,
მწარე ფიქრი წაიღებდა,
ცრემლებს ჩამომარცვლიდა.

მიეწურნენ როცა დრონი,
ხანი ესაკლისა რა,
გასცა ყოვლნი სამკვიდრონი,
ერთადერთი — ის არა.

ლხინად უხმო თავის რჩეულთ,
უკანასკნელ სერობად,
დარბაზს დაჯდა პაპისეულს.
ზღვას რომ გადასცქეროდა.

ინადიმა ძველი რიგით,
ზეწამოდგა ღვაწლილი,
ზღვად ისროლა თასი იგი,
სამუდამოდ დაცლილი.

ის იყო და ფერი სცვლია,
ჟამი გაულევია,
აღარც ცრემლი უმარცვლია,
აღარც დაულევია.

(კარადას გამოაღებს ტანსაცმლის დასაკიდებლად და ზარდახშას დაინახავს.)

საიდან გაჩნდა ეს ზარდახშა? პირველად ვხედავ.
კარს კლიტე ედო, არც კარადა მქონია ღია.
უცნაურია! ვალი გასცა, ეტყობა, დედამ?
და ეს გირაოდ დაუტოვეს? ლამაზი კია!
შიგ, ნეტა, რა დევს? გასაღებიც თანვე ხლებია.
რა მოხდა, გავხსნი, ვნახოთ ერთი, რა ნივთებია.
ვაიმე, ღმერთო! სამკაული რაგინდ-რაგვარი!
ჩემს დღეში რამე თუ მენახოს მაგის მაგვანი!
მე კი არა და აღტაცებულს ვის არ დატოვებს!
დამშვენდებოდათ მეჯლისებზე დიდ ქალბატონებს.
ნეტა ვისია? ვერ ვამსგავსებ გარს ვერავისას.
რა დაშავება, ერთი წუთით, მოდი, ავისხამ.
(მოირთვება და სარკეში იხედება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ეს საყურე ჩემი იყოს, არა მინდა რა!
სარკეში თავი ვერ მიცვნია, მშვენის იმდარად!
იყავ ლამაზი, იყავ ნორჩი, — მცირე ფასი გაქვს,
უნდა გეკიდოს ოქროები, ალმას-ლალები!
ათასში ერთხელ თუ მოხდება, ვინმე ყასიდად
ქებასაც გეტყვის, სანახევროდ, ჩანს, ებრალები.
ოქროთი იზომ-იწონება კაციც და ქალიც.
ოქრო და ოქრო ყველაფერში! ახ, ჩვენი ბრალი!

ხეივანი

ფაუსტი ჩაფიქრებული ბოლთავს. შემოდის მეფისტოფელი.

მეფისტოფელი

წყევლა და კრულვა! გარესკნელის დელგმა და სეტყვა!
გონს ვერ მოვსულვარ! სანყევარი არ მყოფნის სიტყვა!

ფაუსტი

გინდა, მეც დამცე, ვგონებ, თავრეტი,
რა ამბავია, რა ხმაზე ყვირი?

მეფისტოფელი

ჩემს თავს ეშმაკთან გავამგზავრებდი,
თავად არ ვიყო ეშმათა ძირის!

ფაუსტი

თქვი, რამ დაგჭმახა? ძგიდეს გასდე, შეგერყა სხვენი?
არაფერია, მე თუ მკითხავ, კიდევაც გშვენის.

მეფისტოფელი

მართლა რომ თავი გამტეხოდა, ვფიცავ, მერჩია!
ის განძი, ჩემგან მოკრებილი, ხუცის ხელშია!
რა ძრწოლა მოსდის, შენ არ იცნობ გრეტხენის დედას,
როცა ნივთს რასმე თავის ახლოს პირველად ხედავს.
ასეთ ამბებში, ვერას იტყვი, მართლა აქვს ყნოსვა,
თავგადაკლული დღედაღამე ჩასცქერის ლოცვანს.
ავეჯს დასუნთქავს, სად რა არის — გამოწევს უჯრებს,
წმინდა არის თუ უწმინდური, ყნოსავს და უჭვრეტს.
ჰოდა, იმ განძის დანახვაზე, ჩემგან ნამრუდლის,
უმალვე მიხვდა, რომ საკმევლის სუნიც არ უდის.

„შვილო, ქონება უწმინდური, — ეტყვის, — ნუ გინდა,
რადგან ეშმაკის მახეა და სულის დილეგი.
უნდა ღვთისმშობელს შევწიროთ და უფლის უბიდან
თავზე მანანა დაგვაცვივა აუცილებლივ".
გოგომ დიდადაც ვერ იამა დედის საუბრით,
ნაჩუქარ ცხენსო, ანდაზისკენ ფიქრი გაურბის.
ასე გულუხვად ვინც მოართვა ძღვენი მეფური,
როგორ იქნება, უღვთო იყოს და უკეთური!
დედამ ხუცესი მოიყვანა. დახედა ხუცმა
და, რა დახედა, გუნებაზე მოვიდა უცბად.
მაინც დინჯია, არ უწყდება მსჯელობის ძაფი,
ვინც მოითმენსო, მოიგებსო, უნონებს ნაფიქრს.
„მძლავრი კუჭი აქვს ეკლესიას, ასულნო ჩემნო,
ქვეყნებს მთელ-მთელად მიირთმევს და თუ რამე ევნოს!
ყველაფერს ირგებს, მაგ საქმეში სხვა ვერვინ ტოლობს.
ამგვარი განძის მონელებაც მას ძალუძს მხოლოს".

ფაუსტი

რატომ, სხვაც ვიცი სტომაქები ყოვლის მტეველი,
ვთქვათ და ხელმწიფე ან, თუ გნებავს, იუდეველი.

მეფისტოფელი

მიჩხრიკ-მოჩხრიკა გულქანდები, საყურ-ბეჭდები,
თითქოს არც რამე, ფერად-ფერად კენჭებს ეწვდები.
კი, მადლი ბრძანა, ოღონდ ისე, ძალისძალათი,
ვითომ კაკალი გაეტნიოთ წნული კალათით.
ალუთქვა სრული შემწეობა ცად მოხვედრაში,
რითაც ძალიან გაუმხნევა გული დედა-შვილს.

ფაუსტი

გრეტხენმა რაო?

მეფისტოფელი

რა უნდა ქნას, ზის და განიცდის,
მდუმარე გახდა, გარინდული, გაუცინარი,
დღისით და ღამით სულ იმ განძზე ფიქრობს თავისთვის,
და მაინც უფრო გამომგზავნზე — „ნეტა, ვინ არი"?

ფაუსტი

ახალს მიიტან, ეს პირველი ბევრიც არ იყო.
სამალავები სხვაც გექნება სათადარიგო.

მეფისტოფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ენაღვლება თქვენს მოწყალებას!
არაფრად უღირს ჩემი წვალება.

ფაუსტი

აჩქარდი, ეშმავ! არ იქნება, მე მგონი, ცუდი,
დროზე მეზობლის იმ ქალთანაც გადასკვნა კუდი.
ჯერ ოღონდ განძი მომიძიე დაუხანებლად.

მეფისტოფელი

არის, ბატონო! შესრულდება თქვენი ბრძანება.
(ფაუსტი გადის.)
იძრა ჯეელი! ვარსკვლავეთი აქვს გასატოპი!
სატრფოსთვის უნდა მზეც, მთვარეც და ყველა მნათობი!

გერმანულიდან თარგმნა **დავით წერედიანმა**.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ახალი თარგმანები

ბერნარდ შლინკი

ქალი ბენზინგასამართი სადგურიდან

1

უკვე აღარ იცოდა, მართლა ესიზმრა ოდესღაც, თუ იმთავითვე მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი იყო. ისიც არ იცოდა, რომელმა სურათმა, ამბავმა ან ფილმმა შთააგონა იგი. თხუთმეტი, თექვსმეტი წლისა უნდა ყოფილიყო მაშინ. იმ ხნიდან მოყოლებული სდევდა თან ეს ზმანება. ადრე, მოსაწყენ გაკვეთილებზე ან მშობლებთან გატარებული არდადეგების დღეს წარმოესახებოდა ხოლმე, შემდეგ სხდომებზე ან მატარებლით მგზავრობისას, როცა, დაღლილი, საქმიან ქაღალდებს გვერდზე გადადებდა, თავს კედელს მიაყრდნობდა და თვალებს მილულავდა.

სიზმარი ორ მეგობარს უამბო, კიდევ ერთ ქალბატონს, ყოფილ საყვარელს, განშორების მრავალი წლის შემდეგ შემთხვევით რომ შეხვდა უცხო ქალაქში და მთელი დღე მასთან სეირნობასა და საუბარში გაატარა. არა, სიზმრის საიდუმლოდ შენახვა არ სურდა, უბრალოდ, მისი ხშირად მოყოლის საბაბი არ ეძლეოდა. გარდა ამისა, ვერ ხვდებოდა, რატომ არ სცილდებოდა ეს ზმანება. იცოდა, იგი რაღაცას მოითხოვდა მისგან, მაგრამ რას, ვერ გაეგო და წარმოდგენა იმისა, რომ სხვას შეეძლო ამის ამოცნობა, სულაც არ სიამოვნებდა.

2

სიზმარსა თუ ოცნებაში ფართო, უკაცრიელ სიბრტყეზე მიქრის. ქუჩა სწორია, მხოლოდ ხანდახან იკარგება ტაფობში ან ბორცვს უკან, თუმცა ყოველთვის შეუძლია თვალი გააყოლოს მას მთების მიმართულებით, ჰორიზონტთან. მზე ზენიტში დგას და ასფალტს ბუღი ასდის.

კარგა ხანს არცერთი მანქანა არ შეხვედრია, თვითონაც არავის დასწევია. უახლოესი დასახლებული პუნქტი, აბრისა და რუკის თანახმად, სამოც მილს იქით უნდა იყოს, სადღაც მთებში ან მათ მიღმა. მარცხნივ და მარჯვნივ, სადაც თვალი მისწვდება, სახლის ჭაჭანება არ ჩანს. შემდეგ ქუჩაში, მარცხნივ, ბენზინგასამართი სადგური გამოჩნდა: მოზრდილი ქვიშიანი მოედანი, ორი ბენზინჩამოსასხმელი სვეტი შუაში, უკან ხის ორსართულიანი სახლი გადახურული ვერანდით. მანქანას ამუხრუჭებს, მოედნისკენ შეუხვევს და ბენზინგასამართთან ჩერდება. ქვიშა, მანქანამ რომ ააქოჩრა, ძველ ადგილს უბრუნდება.

იცდის. ზუსტად მაშინ, როცა მანქანიდან გადმოსვლას და კარზე დაკაკუნებას აპირებს, სახლიდან ქალი გამოდის. თავდაპირველ წარმოსახვაში ის გოგონაა, წლების განმავლობაში იქცევა ქალად. ოცდაათ-ორმოცს რომ მიაღწევს, ასაკი აღარ ემატება. ახალგაზრდად რჩება, მაშინ, როცა თავად ორმოცდაათს გადააბიჯებს. ქალს,



უმეტეს შემთხვევაში, ჯინსის შარვალი და კუბოკრული პერანგი აცვია, ზოგჯერ – გახეხილი ჯინსის ან გახუნებული ცისფერი ყვავილებით მოჩითული, კოჭებამდე გრძელი, სრული კაბა. საშუალო ტანისაა, ძლიერი აღნაგობის, მაგრამ ზომიერი სისქის. სახე და მკლავები ჭორფლით დაჰფარვია. მუქი ქერა თმა, მორუხო-მოცისფრო თვალები და ბარაქიანი პირი აქვს. თავდაჯერებულად მოაბიჯებს, მარცხენა ხელის ძლიერი მოძრაობით დასწვდება ჩამოსასხმელ მილს, მარჯვენათი მრუდმხარას მოაბრუნებს და მანქანის ავზს სანვავით ავსებს.

შემდეგ სურათი იცვლება, ხედავს, როგორ ესალმებიან, შესცქერიან, გამოელაპარაკებიან ერთმანეთს. ქალი მას ფინჯან ყავასა თუ ლუდზე ეპატიჟება. ან თავად სთხოვს ქალს დარჩენის უფლებას. არასდროს წარმოსახვია, როგორ მიდის საქმე ლოგინამდე. ის მხოლოდ არეულ საწოლს ხედავს მას შემდეგ, რაც უკვე იყვნენ ერთად. ხედავს მოცისფრო-მომწვანოდ შეღებილ კედლებს, იატაკს, კარადას, კომოდს, რკინის საწოლს. ხედავს, ჟალუზებიდან შემოღწეული მზის სხივი როგორ ეცემა ასევე მოცისფრო-მომწვანოდ შეღებილ კედლის მოსაპირკეთებელ ხის ფირფიტებს, იატაკს, ავეჯს. მხოლოდ ფერი, შუქ-ჩრდილები, ზეწრის სიქათქათე და მათი სხეულების ფორმები. ზმანება საღამოს კვლავ იძენს მოქმედებას.

პატარა, ღია სატვირთო მანქანის გვერდით ჩერდება. სახლის უკან კიდევ ერთი გადახურული ვერანდაა. შემდეგ რამდენიმე კვალი, პომიდვრებითა და საზამთროებით, და სათბური, რომელიც დიასახლისს ქვიშისგან დასაცავად აუგია და რომელშიც ათასგვარი კენკრა ხარობს. იქით ხრიოკია, მეჩხერი ბუჩქნარით და ამომშრალი ნაკადულის ფსკერით. ზამთარში მომდინარე წყალს ათეული წლებისა და საუკუნეების მანძილზე სამი-ოთხი მეტრის სიღრმეზე ამოუჭამია ქვიშიანი გრუნტი. ყველაფერი ეს მაშინ იხილა, როცა ქალმა იმ ტუმბოსკენ წაიყვანა, რომლითაც ღრმა ჭიდან წყალს ექაჩება. ახლა ვერანდაზე ზის და შესცქერის, როგორ ბნელდება ცა. სამზადიდან ქალის ფუსფუსი მოესმის. თუ ბენზინგასამართთან მანქანა გაჩერდება, წამოდგება, სახლიდან გავა და ბენზინის ჩამოსასხმელ სვეტს მიაშურებს. მაშინაც წამოდგება, როცა დიასახლისი სამზადში შუქს აანთებს და სინათლე ღია კარებიდან ვერანდის იატაკს დაეცემა, წამოდგება, რათა ლამპიონი აანთოს, ორ ბენზინგასამართ სვეტს შორის რომ აღმართულა და მოედანს ანათებს. ნეტავ შუქი მთელი ღამე უნდა ენთოს და საძინებელში იჭყიტებოდეს ამ ღამით და ყველა ღამეს, რომელიც ჯერ კიდევ წინ აქვთ?

3

ხშირად თანამდევი ოცნება კონტრასტია ჩვენი ცხოვრების წესისა, ავანტიურისტი სახლში დაბრუნებაზე ოცნებობს, შინ მყოფი კი მოგზაურობაზე, შორეულ ქვეყნებსა და დიდ საქმეებზე.

ამ ოცნების პატრონი მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს არ იყო ობივატელური ან მოსაწყენი ყოფა, ფლობდა ინგლისურს და ფრანგულს, იქმნიდა კარიერას შინ და გარეთ, რჩებოდა თავისი მრწამსის ერთგული, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, გაუძლო კრიზისებს



და კონფლიქტებს და ორმოცდაათი წლის ასაკში სიცოცხლით სავსე, წარმატებული და დაფასებული იყო. ცოტაოდენ დაძაბულობას ყოველთვის გრძნობდა, სამუშაოზე იქნებოდა ეს, სახლში თუ შვებულებისას. რასაც აკეთებდა, ფაციფუცით და ნერვიულად როდი აკეთებდა, მაგრამ იმ სიმშვიდის მიღმა, რომლითაც ყურს გიგდებდა, გიპასუხებდა ან საქმიანობდა, დაძაბულობა ვიბრირებდა. ეს დავალებაზე მთელი ყურადღების კონცენტრაციით და მოუთმენლობით იყო გამოწვეული, რადგან სინამდვილეში საქმის მოგვარება ვერასდროს უწყობს ნაბიჯს წარმოდგენაში საქმის მოგვარებას. დაძაბულობა ზოგჯერ მას ტკივილს აყენებდა, მაგრამ ზოგჯერ ენერგიას მატებდა, ფრთებს ასხამდა.

მომხიბლაობა ნამდვილად არ აკლდა. ადამიანებთან და საგნებთან ურთიერთობისას შეეძლო რაღაც საყვარლად დაბნეული და მოუხერხებელი ყოფილიყო. მაგრამ რადგან ფიქრობდა, რომ მისი მოუხერხებლობა და დაბნეულობა შესაძლოა სათანადოდ ვერ დაეფასებინათ, ღიმილს მოიშველიებდა ხოლმე, ღიმილით მოიბოდიშებდა: პირს ტკივილით დამანჭავდა და თვალებს სევდიან გამომეტყველებას მისცემდა. ვინაიდან ეს მობოდიშება გამოსწორების დაპირებას კი არა, მხოლოდ უუნარობის აღიარებას წარმოადგენდა, მისი ღიმილი იყო მორცხვი და თვითირონიული. სულ უფრო და უფრო ხშირად ეკითხებოდა ცოლი თავის თავს – რამდენად ბუნებრივი იყო ეს მომხიბლაობა. ხომ არ კეკლუცობდა ქმარი დაბნეულობითა და მოუხერხებლობით, ხომ არ მოირგებდა ღიმილს, ხომ არ იცოდა, რომ მისი ტკივილი და სევდა სხვებში თანაგრძნობის სურვილს გააღვიძებდა? ქალს ვერ გაერკვია. ფაქტი ის იყო, რომ მისი ქმარი ამით ექიმების, პოლიციელების, გამყიდველების, ბავშვებისა და ძაღლების სიმპათიას იმსახურებდა, ისე, რომ თითქოს თავად არად დაგიდევდათ ამას.

ქალზე მისი მომხიბლაობა აღარ მოქმედებდა. ჯერ ეგონა, ქმარს იგი შემოაცვდა, როგორც ტანსაცმელი, რომელსაც დიდხანს ატარებ. მაგრამ ერთ დღეს მიხვდა, რომ ყელში ამოსვლოდა მისი მომხიბლაობა. რომში ატარებდნენ შვებულებას. პიაცა ჰავოიაზე ისხდნენ. კაცი მაწანწალა, უპატრონო ძაღლს ისეთივე საყვარლად დაბნეული ჟესტით ეფერებოდა, როგორც მას ხანდახან, — ისეთივე საყვარლად მორცხვი ღიმილი ეფინა სახეზე. მისი მომხიბლაობა მხოლოდ საკუთარი თავიდან გაქცევის, თავის დაღწევის ხერხი იყო. ეს იყო რიტუალი, რომლითაც ქმარი მოწყენილობის და გულარძნილობის დაფარვას ცდილობდა.

ესაყვედურებინა მისთვის? ის ამ საყვედურს ვერ გაიგებდა. მათი ქორწინება რიტუალებზე იყო დაფუძნებული და სწორედ ეს იყო მისი წარმატების საწინდარი. განა ყველა კარგი ქორწინება რიტუალებით არ სულდგმულობს?

ქალი ექიმი იყო. სამი შვილის დედას არასდროს დაუნებებია მუშაობისთვის თავი. როცა ბავშვები წამოიზარდნენ, მეცნიერულმა კვლევამ გაიტაცა და პროფესორი გახდა. სამსახურებრივი მოღვაწეობა არ ჩამდგარა მათ შორის. მიუხედავად მოუცლელობისა, დროს ბავშვებისთვისაც პოულობდნენ და თავისთვისაც. ყოველ წელინადს შვებულების ორი კვირა მათ ეკუთვნოდა, ბავშვებს გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იას უტოვებდნენ და მიემგზავრებოდნენ. ყველაფერი ეს დროსთან დისციპლინირებულ, რიტუალურ ურთიერთობას მოითხოვდა და გამორიცხავდა სპონტანურობას. ისინი ამას კარგად ხედავდნენ, მაგრამ იმასაც ხედავდნენ, რომ მათი მეგობრების გრძნობასა და სიყვარულს სრულიადაც არ უშლიდა ხელს სპონტანურობა. არა, მათ რიტუალებით მეტად გონივრულად და დამაკმაყოფილებლად ანწყვეს ცხოვრება.

მხოლოდ სარეცლის გაზიარების რიტუალი დაკარგულიყო. ქმარმა არ იცოდა, როდის და რატომ. ახსენდებოდა ის დილა, როცა გაიღვიძა და საწოლში გვერდით ცოლის შეშუპებული სახე დაინახა, ოფლის მძიმე სუნი იგრძნო და სტვენისმაგვარი ხვრინვა მოესმა. ისიც ახსენდებოდა, რა თავზარი დასცა ამან. როგორ შეიძლებოდა ზიზღი ეგრძნო ყველაფერ ამისადმი, როცა ადრე ცოლის შეშუპებული სახე ასე გულში ჩასახუტებელი, მძაფრი ოფლის სუნი ასე ამაღელვებელი, ხოლო სტვენა ასე მხიარული ეჩვენებოდა. სტვენას მელოდიად აღიქვამდა, მელოდიად, რომლითაც ცოლი აღვიძებდა. იმ დილით არა, მაგრამ ერთხელ, ასე ერთი წლის შემდეგ, ერთად წოლის სურვილი დაიშრიტა. შემდეგ უკვე არცერთი მათგანი არ დგამდა პირველ ნაბიჯს, თუმცა ალბათ ორივე მათგანს ჰქონდა სურვილი, მეორის პირველ ნაბიჯს აჰყოლოდა, პატარა სურვილი, ზუსტად იმდენი, მეორე ნაბიჯისთვის რომ იკმარებდა, მაგრამ პირველისთვის არ კმაროდა.

თუმცა საერთო საძინებლიდან არცერთი მათგანი არ გადასულა. ცოლს შეეძლო კაბინეტში დაეძინა, ქმარს – ბავშვების ყოფილ ოთახში. მაგრამ ერთად გახდის, დაძინების, გაღვიძების, ადგომის რიტუალის დარღვევისთვის არცერთი არ იყო მზად. არც ცოლი, რომელიც ქმარზე ძლიერი, მკაცრი და მობილიზებული იყო. მასაც რაღაც აფრთხობდა. მასაც სურდა, ისიც არ გამქრალიყო, რაც რიტუალებიდან დარჩა. ერთობლივი ცხოვრების დაკარგვა არ სურდა.

და მაინც, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მოგვარდა. ვერცხლის ქორწილისთვის ემზადებოდნენ, ადგენდნენ სტუმრების სიას, არჩევდნენ სასტუმროს, მენიუს, გემით ექსკურსიის მარშრუტს, უყურებდნენ ერთმანეთს და ხვდებოდნენ, რომ ეს სიყალბე იყო. არაფერი ჰქონდათ საზეიმო. ქორწინების თხუთმეტი წლისთავი შეეძლოთ აღენიშნათ, ალბათ ოციც, მაგრამ ამის შემდეგ მათი სიყვარული სადღაც გამქრალიყო, აორთქლებულიყო. და თუ ერთობლივი ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო სიცრუე, ზეიმი ნამდვილად სიცრუე იქნებოდა.

ქალმა აღიარა ეს და ქმარიც მაშინვე დაეთანხმა. ჯობდა უარი ეთქვათ ზეიმზე. გადაწყვიტეს თუ არა ეს, გულზე მოეშვათ, შამპანური გახსნეს და იმდენი ილაპარაკეს, რამდენიც კარგა ხანია არ ელაპარაკათ.

4

შეიძლება ერთი და იმავე ადამიანის ორჯერ შეყვარება? შეყვარება განა იმას არ გულისხმობს, რომ მას ჯერ არ იცნობ, რომ მას ჯერ თეთრი ლაქები აქვს, რომელზედაც საკუთარი სურვილების პროეცირება შეგიძლია? თუ პროექციის ძალა სათანადო მოთხოვ-



ნილებისას ისე ძლიერია, რომ იგი სასურველ სურათებს არამარტო მის თვალ ლაქებზე, არამედ საკუთარ მზა ჭრელ რუკაზეც ისვრის? თუ არსებობს სიყვარული პროექციის გარეშე? – კითხვებს უსვამდა კაცი საკუთარ თავს, რომლებიც მას უფრო ართობდნენ, ვიდრე აბნევდნენ.

რაც მომდევნო კვირებში ხდებოდა, გინდ პროექციად, გინდ გამოცდილებად მოენათლათ, მშვენიერი იყო და ისიც ტკბებოდა ამით. ტკბებოდა საკუთარ ცოლთან საუბრებით, პაემნებით, კონცერტებზე და კინოში სიარულით, საღამოს სეირნობებით, რომლებიც განაახლეს. გაზაფხული იდგა. ხანდახან ინსტიტუტში აკითხავდა ცოლს, მაგრამ შესასვლელთან კი არ ელოდა, არამედ ორმოცდაათი მეტრის მოშორებით, ქუჩის კუთხეში. უნდოდა ეცქირა, როგორ მოდიოდა მისკენ. ქალი ფართო ნაბიჯებით მოიჩქაროდა, რადგან ქმრის დაჟინებული მზერა აფრთხობდა. მორცხვად გადაისვამდა მარცხენა ხელს თმაზე ყურის ძირთან და რიდით, ალმაცერად იღიმებოდა. ეს იმ ახალგაზრდა გოგონას დამორცხვება იყო, რომელიც ერთდროს ასე უყვარდა. ტანის გამართულად დაჭერის მანერა და სიარულიც ძველებური ჰქონდა და, როგორც მაშინ, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას, ახლაც უხტოდა მკერდი პულოვერის შიგნით. რატომ ვერ ხედავდა ყველაფერ ამას, რატომ დაკარგა ამდენი წელი? – ეკითხებოდა თავის თავს – რა კარგია, რომ თვალი აეხილა, და რომ კვლავ ასე მშვენიერია მისი ცოლი.

ერთად ისევ არ იწვნენ. მათ სხეულებს ჯერ კიდევ ვერ დაეძლიათ გაუცხოება. შემდეგ, როცა ერთმანეთს კვლავ შეეჩვივნენ, სიახლოვე ამოიწურებოდა ნაზი შეხებით გაღვიძებისას, სეირნობისას, ტრაპეზის დროს, კინოში. ზოგჯერ ეგონა, რომ სარეცლის გაზიარების ჟამი მალე დადგებოდა და ეს მშვენიერი იქნებოდა, ზოგჯერ კითხვები არ ასვენებდა: მართლა დადგებოდა ეს დრო და ნამდვილად მშვენიერი იქნებოდა? ჭეშმარიტად სურდათ ეს? იქნებ მას უკვე უნარი დაკარგვოდა? იმ წლებში, როცა მათი ქორწინება დაფერფლილიყო, ორჯერ გაატარა ღამე ქალთან – ერთი თარჯიმანი იყო, მეორე კოლეგა –, ორჯერვე გვარიანად ნასვამმა. გამოფხიზლებულს ორივეჯერ არაფერი უგრძვნია, გაუცხოებისა და უხერხულობის გარდა. უსიხარულო თვითდაკმაყოფილების მომენტებიც იყო, ძირითადად მოგზაურობებისას, სასტუმროებში. დაკარგა სიყვარულთან ბუნებრივი კავშირი, ქალთან წოლის სურვილი? იმპოტენტად იქცა? ერთხელ, როცა საკუთარი პოტენციის დასამტკიცებლად თვითდაკმაყოფილება მოინდომა, ვერ მოახერხა.

ან იქნებ რაღაც დრო სჭირდებოდათ? სიჩქარის საფუძველი არ გვაქვს. ისეთივე წარმატებით დავწვები მასთან ერთი წლის შემდეგ, როგორც ერთი თვის, ერთი კვირის ან ერთი დღის შემდეგ დაწვებოდიო, – იმშვიდებდა თავს, თუმც სხვაგვარად ფიქრობდა. მას სურდა ერთად წოლის საქმე მოეგვარებინა და აქაც მოუთმენელი იყო, რადგან სინამდვილეში მოგვარება ვერასდროს უწყობს ფეხს წარმოდგენაში მოგვარებას. საერთოდ, მისი მოუთმენლობა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ემატებოდა ხანი. ყველაფერი მოსაგვარებელი აშფოთებდა, მაშინაც კი, თუ მისი მოგვარება არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ყველაფერი, რასაც აპირებდა, მოუგვარებლად და



შემაშფოთებლად ეჩვენებოდა, ერთი კვირის შემდეგ უნდა გაეკეთებინა ეს თუ ერთი წლის შემდეგ, ახალი ავტომობილის შეძენა იქნებოდა თუ ბავშვების სტუმრობა სააღდგომოდ ან თუგინდ მოგზაურობა ამერიკაში.

ეს მისი ცოლის იდეა იყო – მეორე საქორწინო მოგზაურობა. განა რაც მათ თავს გადახდათ, მეორე ქორწინება არ იყო? ახალგაზრდობაში ხშირად უოცნებიათ კანადაში მატარებლით მოგზაურობაზე: კვებეკიდან ვანკუვერამდე და იქიდან სიეტლამდე, შემდეგ მანქანით სანაპიროს დაყოლებით ლოს-ანჯელესამდე ან სან-დიეგომდე. თავდაპირველად მოგზაურობას მატერიალურად ვერ გასწვდებოდნენ, შემდეგ შვებულების ის ნაწილი, რომელსაც ბავშვების გარეშე ატარებდნენ, არ იკმარებდა, ბავშვები კი ასეთ ხანგრძლივ მგზავრობას მატარებლით და მანქანით ვერ გაუძლებდნენ. ახლა შვებულება მხოლოდ მათ ეკუთვნოდათ. შეეძლოთ ოთხ-, სულაც ხუთ- ან ექვსკვირიანი აეღოთ და თავის თავისთვის საძინებელი ვაგონის და ტევადი ავტომანქანის უფლება მიეცათ. განა დრო არ იყო ფრთები შეესხათ ამდენი ხნის ოცნებისათვის?

5

მაისში გაემგზავრნენ. კვებეკში აპრილის ამინდი იდგა. ხშირად წამოუშენდა ხანმოკლე წვიმა. შიგადაშიგ ღრუბლები იფანტებოდა და სველი სახურავები მზეზე კიაფობდა. ონტარიოს დაბლობზე მატარებელი გზას მიიკვლევდა ამწვანებულ მინდვრებში, რომლებიც მხოლოდ იქ თავდებოდნენ, სადაც ცა და დედამიწა, სიმწვანისა და სილაჟვარდის სამყარო ერთმანეთს ეხებოდა. როკის მთებში ქარბუქისას მატარებელი ნამქერში ჩარჩა და ერთი ღამე დასჭირდა თოვლსაწმენდის მოღწევას.

იმ ღამეს დაწვნენ ერთად. მატარებლის რწევამ და რყევამ ისე იმოქმედა მათ სხეულებზე, როგორც მცხუნვარე მზემ ან თბილმა აბაზანამ. ღია ტრასაზე დგომისას გათბობა სუსტად მუშაობდა. ქარიშხალი ყმუოდა ვაგონის ირგვლივ, ფანჯრიდან და იატაკიდან კუპეში სიცივე იჭრებოდა. ერთ საწოლში შეძვრნენ, იცინოდნენ, კანკალებდნენ, ეხვეოდნენ და ეხუტებოდნენ ერთმანეთს, სანამ სითბოს ერთიან პარკში არ გაეხვივნენ. კაცს უეცრად სურვილი დაეუფლა და შიშმა, ისევ არ ჩამიქრესო, დაიფეთიანა. როცა ეს მართლაც ასე იყო, შვებით ამოისუნთქა. შუაღამისას ცოლმა გააღვიძა და ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით მოხდა. დილით სტვენამ გამოაღვიძა, რომლითაც ლოკომოტივი მოახლოებულ თოვლსაწმენდს ესალმებოდა. გასცქეროდა ფანჯრიდან თოვლს და ცას, თეთრსა და ლაჟვარდოვან სამყაროს და ბედნიერი იყო.

რამდენიმე დღე სიეტლში დარჩნენ. სახლი Queen Anne Hill-ზე, სადაც საწოლით და საუზმით იყვნენ უზრუნველყოფილნი, ფერდობზე იდგა და ქალაქს და ყურეს გადასცქეროდა. მაღალ სახლებს შორის გაკვალული გზატკეცილი მოჩანდა, რომელზედაც იშვიათად თუ წყდებოდა ავტომანქანების ჯაჭვი, დღისით ჭრელი, ღამღამობით წინა და უკანა ფარებით განათებული. თითქოს მდინარეა, რომელიც ერთი მხრიდან ზემოთ, მეორე მხრიდან ქვემოთ მიედი-



ნებაო, – ფიქრობდა. დროდადრო მაღლა სირენის ხმა აღწევდა, რომლითაც პოლიციის ან სასწრაფო დახმარების მანქანა სხვა მანქანებს აფრთხობდა. პირველ ღამეს ვერაფრით შეძლო დაძინება. რამდენჯერმე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, რომ დაენახა, როგორ მიიკვლევდნენ მანქანები გზას, სახურავზე წითლად ან ცისფრად მოციმციმე შუქით. ზოგჯერ საყვირის ხმაც მოისმოდა, რომლითაც გემი ნავსადგურს შემოსვლას ან გასვლას ატყობინებდა. ეს პირამდე სავსე სატვირთო გემები იყო, დიდი და პატარა აფრიანი ნავებით გარშემორტყმული, გაბერილი, ჭრელი აფრიანი ნავებით. გამუდმებით უბერავდა ძლიერი ქარი. როცა ვერ იძინებდა, მძინარე ცოლს დასჩერებოდა. ხედავდა მის ასაკს, ნაოჭებს, ჩამოკიდებულ კანს ნიკაპის, ყურებისა და თვალების ქვეშ. მისი შეშუპებული სახე, მკვეთრი სუნი, სტვენისმაგვარი სუნთქვა აღარ აღიზიანებდა. უკანასკნელ დილას მატარებელში სტვენით გააღვიძა ცოლი. ხელები შემოაჭდო სახეზე, მისი სიახლოვე უნდოდა ეგრძნო. ერთად ყოფნის შემდეგ სიამოვნებით დაყნოსა სიყვარულისა და ოფლის სუნი საბნის ქვეშ. რა კარგია, რომ მას მისი ძველებურად გაღვიძება შეუძლია, რომ კიდევ ფლობს ცოლს და ტკბება სიყვარულის რიტუალით, რომ ქალსაც არაფერი დავიწყნია, რომ მათი სამყარო კვლავ ნათელია!

იგი მიხვდა, რომ მათმა სიყვარულმა შექმნა სამყარო, იმ გრძნობაზე დიდი, რომელიც ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ, და, როცა გრძნობა დაიკარგა, სამყარო დარჩა, გაფერმკრთალებული – შავი და რუხი ფერებით, მაგრამ მაინც მათი სამყარო. ისინი მისი წესრიგით ცხოვრობდნენ. ახლა იგი კვლავ აფერადდა.

გემში დასახეს. ესეც ქალის იდეა იყო. სახლი ხომ არ გადაეკეთონ? ბავშვის სამი ოთახის ნაცვლად ერთი არ იქნებოდა საკმარისი შვილებისათვის, რომელნიც სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩამოდიოდნენ მათ მოსანახულებლად? განა იგი ყოველთვის არ ოცნებობდა დიდ ოთახზე, სადაც წიგნის დაწერას შეძლებდა, რომელიც მრავალი წლის წინ ჩაიფიქრა და რომლისთვისაც მასალას დროდადრო აგროვებდა? მართალია, დიდი ჩოგბურთელები ვეღარ გახდებოდნენ, მაგრამ მაინც ხომ არ ესწავლათ ჩოგბურთი? ერთი წლის წინ, ბრიუსელში მივლინება რომ შესთავაზეს, დღესაც ძალაშია? ხომ არ აეღო შვებულება ექვსი თვით და ბრიუსელისკენ გაეწიათ? კაცს ახარებდა ცოლის იდეები და გულმოდგინება. თავადაც იღებდა დაგეგმვაში მონაწილეობას, თუმცა არაფრის შეცვლა არ სურდა, აღიარება ამისი კი უჭირდა.

არ შეეძლო ეთქვა, როგორ აშინებდა მოუგვარებლობა. არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს შიში, საიდან მოდიოდა და რატომ ეზრდებოდა ასაკთან ერთად. ამიტომ იყო ცვლილებების წინააღმდეგი. გრძნობდა, ყოველი ცვლილება როგორ უმძიმებდა მოუგვარებლობის ტვირთს. მაგრამ რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ დრო ფასობს და სულ უფრო და უფრო სწრაფად მიქრის, მიექანება? რატომ მიქრის იგი უფრო სწრაფად? აქტუალურად განცდილი დრო ფარდობითი ხომ არ არის ჯერ კიდევ შენს განკარგულებაში მყოფი დროის მიმართ? ასაკის მატებასთან ერთად იმიტომ ხომ არ მიექანება იგი უფრო ჩქარა, რომ სიცოცხლის დარჩენილი დრო მცირდება, ისევე, როგორც შვებულების მეორე ნახევარი პირველთან შედარებით? იქნებ მიზნებში ძევს



მიზეზი? ახალგაზრდობაში იმიტომ ხომ არ გადის ნელა დრო, რომ მოუთმენლად ელი როდის მიაღწევ ბოლოს და ბოლოს წარმატებას, დატკბები შენი ავტორიტეტით და სახელით, სიმდიდრეს მოიპოვებ, სიბერეში კი უმოწყალოდ მიქრის, რადგან აღარაფერს ელი? ან იქნებ ასაკის მატებასთან ერთად იმიტომ გარბიან დღეები სწრაფად, რომ უკვე იცნობ მათ მსვლელობას, ისევე, როგორც უფრო სწრაფად გადიხარ იმ გზას, რომელიც ხშირად გაგივლია? მაგრამ მაშინ ცვლილებები არ უნდა გაშინებდეს. მაშასადამე, მეტად შეგმცირებია სიცოცხლის დრო, ცვლილებისთვის რომ არ გიღირდეს მისი დაკარგვა. მაგრამ ასე მოხუციც ხომ არ იყო!

ქალი ვერ ამჩნევდა, რომ ქმრის არგუმენტების უკან საერთო უარი იდგა. და როცა იგი განსაკუთრებულ სულელურ არგუმენტს განსაკუთრებული დაჟინებით ჩაეჭიდებოდა ხოლმე, წყენანარევი ღიმილით ეკითხებოდა, მაინც რა სურდა, ისე გაეგრძელებინათ ცხოვრება, როგორც ბოლო წლებში ცხოვრობდნენ?

6

დიდი კაბრიოლეტი დაიქირავეს, კონდიციონერიანი, კომპაქტდისკის დასაკრავიანი, სხვადასხვა ელექტრომოწყობილობით აღჭურვილი, და კომპაქტდისკების დიდი შეკვრა იყიდეს – ნაწილზე საყვარელი მელოდიები იყო ჩაწერილი, ნაწილი კი ისე, ალალბედზე შეარჩიეს. როცა კონცხს მიაღწიეს, საიდანაც პირველად გამოჩნდა წყნარი ოკეანე, ქალმა შუბერტის სიმფონია ჩართო. თვითონ ამერიკის რადიო ერჩივნა, რომელიც მის სტუდენტობისდროინდელ მუსიკას გადმოსცემდა. მანქანაში ჯდომასაც ამჯობინებდა წვიმაში უაზროდ დგომას, მაგრამ სიმფონია უხდებოდა წვიმას, ლეგა ცას და მღვრიე, აქოჩრილ ტალღებს, და ხვდებოდა, რომ უფლება არ ჰქონდა ცოლის ინსცენირებისათვის ხელი შეეშალა. ქალმა გზა განაგრძო და პატარა ქუჩა იპოვა, რომელიც სანაპიროსკენ მიემართებოდა, თან ფიქრობდა, საბარგულში ცისფერი მუშამბა გვიდევს და ის შეგვიძლია წამოვიფაროთო. იდგნენ ნაპირთან, გრძნობდნენ ზღვის სურნელებას, უსმენდნენ შუბერტს, თოლიების კრიახს, წვიმის ხმას მუშამბაზე და გასცქეროდნენ დასავლეთით საავდრო ღრუბლების მიღმა ცის ერთ პატარა ნათელ ნაგლეჯს. ჰაერი თუმც გრილი იყო, მაგრამ მძიმე და ნესტიანი.

ცოტა ხნის შემდეგ კაცმა მუშამბის ქვეშ ველარ გაძლო, წვიმაში გამოვიდა, ერთი წუთით ასე იდგა, შემდეგ ქვიშა გადაიარა და წყალში შევიდა. წყალი ცივი იყო, სველი ფეხსაცმელები – მძიმე, შარვალი ფეხებსა და მუცელზე მიკვროდა – არაფერი იგრძნობოდა იმ სიმსუბუქისა, სხეულს რომ აქვს წყალში, და მაინც სიმჩატე იგრძნო, ხელები მოიქნია და ტალღებში შევარდა. როცა საღამოს ლოგინში იწვნენ, ქალი აღფრთოვანებული ლაპარაკობდა მის სპონტანურობაზე, იგი კი დამფრთხალი და დამორცხვებული ჩანდა.

იპოვეს მოგზაურობის რიტმი, რომელსაც ისინი ყოველდღე ასი მილით სამხრეთისაკენ მიჰყავდა. დილაობით ნებივრობდნენ, ხშირად ჩერდებოდნენ, ათვალიერებდნენ ნაციონალურ პარკებს, ბაღ-ვენახებს და საათობით დარბოდნენ პლაჟზე. ღამღამობით იქ ჩერდე-



ბოდნენ, სადაც საამისო რამეს წააწყდებოდნენ, – ეს იყო იაფფასიანი მოტელები ტრასაზე, დიდი ოთახებით, რომელიც დეზინფექციის საშუალებების სუნით გაჟღენთილიყო და რომელშიც ტელევიზორები თავის სიმაღლეზე იყო მიხრახნილი, ან კიდევ – სახლი რომელიმე დასახლებაში, სადაც დასაწოლსა და საუზმეს სთავაზობდნენ. ადრე საღამოთი ორივე დაღლილი იყო. ყოველ შემთხვევაში, თავს ირწმუნებდნენ, ასეაო, როცა წიგნით ან ერთი ბოთლი ღვინით ლოგინს მიაშურებდნენ. კაცს მაშინვე ეხუჭებოდა თვალები და მაგიდის ნათურას აქრობდა. როცა ერთხელ შუაღამისას გაიღვიძა, ქალი ისევ კითხულობდა.

უყვარდა მისკენ მომავალი ცოლის ცქერა. ამიტომ რესტორანთან ჩამოასმევინებდა ხოლმე თავს და შესასვლელთან ელოდა, სანამ ქალი მანქანას ავტოსადგომზე დააყენებდა და ქუჩას გადმოჭრიდა. ან პირველი გაიჭრებოდა პლაჟზე, შემოტრიალდებოდა და მისკენ მიმავალ ცოლს უჭვრეტდა. მშვენიერი იყო მისი ტანისა და სიარულის ცქერა. თუმც, ამავე დროს, სევდისმომგვრელი.

7

ორეგონში სანაპირო და ქუჩები ნისლში გახვეულიყო. დილით ეგონათ, რომ შუადღისთვის გამოიდარებდა, საღამოზე მეორე დღისთვის ამყარებდნენ იმედს, მაგრამ ამაოდ. კვლავ ნისლი ეფინა ქუჩებს, ტყეებსა და ფერმებს. რუკაზე რომ არ ყოფილიყო აღნიშნული, მრავალი მეჩხერად დასახლებული საცხოვრებელი პუნქტი გამორჩებოდათ. ზოგჯერ ერთი-ორი საათი ტყეში უხდებოდათ სვლა. გზაში არცერთი სახლი, არცერთი მანქანა არ ხვდებოდათ, თვითონაც არავის დაეწეოდნენ ხოლმე. ერთხელ მანქანიდან გადმოვიდნენ. მოტორის ხმაური დაბურული ხეებით დაფარული ქუჩის ორივე მხარეს გაიჭრა, მაგრამ არ დაიკარგა, იქვე დარჩა, ნისლში ოდნავ შესუსტებული. მოტორი გამორთეს და სიჩუმე ჩამოწვა, არავითარი ტკაცუნი ბუჩქნარში, არავითარი ჩიტის, მანქანის, ზღვის ხმა.

როცა უკანასკნელი საცხოვრებელი პუნქტი უკან მოიტოვეს, უახლოესი კი მხოლოდ ოცდაათი მილის მოშორებით მდებარეობდა, აბრა ბენზინგასამართი სადგურის არსებობას იუწყებოდა. შემდეგ ისიც გამოჩნდა. დიდი, მოხრეშილი მოედანი, ორი ბენზინის ჩამოსასხმელი სვეტი, ლამპიონი და უკან ბუნდოვნად – სახლი. კაცმა მანქანა დაამუხრუჭა, მოედანზე შეუხვია და ბენზინის ჩამოსასხმელ სვეტთან გაჩერდა. კარგა ხანს მოუხდა ლოდინი. როცა მანქანიდან დასაკაკუნებლად გადმოვიდა, კარი გაიღო და იქიდან ქალი გამოვიდა, მოედანი გადმოჭრა, მგზავრებს მიესალმა, ხელი წაავლო ჩამოსასხმელ მილს, მოატრიალა მრუდმხარა და ბენზინის ავზში ჩაუშვა. მანქანას არ მოსცილებია. მარჯვენათი ჩამოსასხმელი მილი ეჭირა, მარცხენათი თეძოს დაყრდნობოდა. შეამჩნია, რომ კაცი თვალს არ აშორებდა. მილი წესრიგში არ არის და ამიტომ ვერ ვუშვებ ხელს, შუშებსაც ახლავე გაგიწმენდთო, – თქვა.

„აქ ეულად არ გრძნობთ თავს?“

ქალმა გაკვირვებითა და სიფრთხილით შეხედა კაცს. ახალგაზრდა არ იყო და მისი სიფრთხილე იმ ქალის სიფრთხილეს ჰგავდა,



რომელსაც ბევრჯერ ჰყვარებია და ასევე ბევრჯერ მოსცარვია ხელი.

„წინა დასახლებული პუნქტი ოცი მილის დაშორებითაა აქედან და მომდევნო – ოცდაათის იქით. აქ არ არის... მე ვგულისხმობ, არ გრნნობთ აქ თავს ეულად? მარტო ცხოვრობთ?"

ქალმა კაცის გამოხედვაში სერიოზულობა, კონცენტრაცია, სინაზე დაინახა და დამცინავად გაიღიმა, რადგან სურდა მისი მზერის მომხიბლაობისგან თავი დაეცვა. კაცმა ღიმილი დაუბრუნა, ბედნიერმა და დამორცხვებულმა იმის გამო, რაც ახლა უნდა ეთქვა.

„ლამაზი ხართ".

ქალს ოდნავ შეუნითლდა სახე, რაც თითქმის არ შეიმჩნეოდა ურიცხვი ჭორფლის ქვეშ. აღარ იღიმებოდა. ახლა ისიც სერიოზულად იცქირებოდა. ლამაზი? მისი სილამაზე წარსულს ჩაბარდა. მან ეს იცის, მაშინაც კი, თუ ისევ მოსწონთ მამაკაცებს, ისევ სურთ, თუ ისევ შეუძლია მათი სიამაყის გაღვიძება ან მათი დაფრთხობა. გამომცდელად მიაჩერდა კაცს.

„დიახ, ეულად ვგრძნობ თავს, მაგრამ ამას უკვე მივეჩვიე. გარდა ამისა...", ერთხანს ყოყმანობდა, ბენზინის ჩამოსასხმელ მილს დასცქეროდა, შემდეგ თავი ასწია, მთლად გაწითლდა, გაიმართა და ჯიქურ აღიარა თავისი ნატვრა: „გარდა ამისა, ყოველთვის მარტო როდი ვიქნები". ერთი წამით ასე იდგა, გამართული, გაწითლებული, თვალი თვალში გაეყარა მისთვის. ამასობაში აეზი აივსო. ქალმა ის დაკეტა, მოსცილდა მანქანას, სვეტზე ჩამოკიდა მილი. შემდეგ დაიხარა, ღრუბელი ამოიღო კასრიდან, შუშის საწმენდი გადასწია და შუშის წმენდა დაიწყო. კაცმა შეამჩნია, როგორ აკვირდებოდა ქალი მუხლებზე გაშლილ რუკაში თავჩარგულ მის ცოლს, რომელმაც ერთი წუთით ამოიხედა, ქალს თავი დაუკრა და კითხვა განაგრძო.

ეუხერხულებოდა უსაქმოდ დგომა ქალის გვერდით, როცა ის შუშებს წმენდდა და, ამავე დროს, სიამოვნებით აკვირდებოდა მას: არც ჯინსი ეცვა, არც კუბოკრული პერანგი და არც გახუნებული ცისფერი კაბა, არამედ — ლურჯი ბრეტელებიანი შარვალი ბენზინის ფირმის ღერბით, შიგნით კი ბამბის თეთრი მოკლესახელოებიანი უსახელო ბლუზა. ძლიერი აღნაგობის იყო, მაგრამ მსუბუქად მოძრაობდა. რაღაც ეშხი იყო მის მოძრაობაში, თითქოს საკუთარი სხეულის სიძლიერით და სიმსუბუქით ტკბებაო. შარვლის ბრეტელები მხრებიდან ჩამოუცურდა, ქალმა თითით ისევ ზევით აიწია, ამან ისე იმოქმედა კაცზე, როგორც რაღაც საოცრად ინტიმურმა.

როცა წმენდა დაამთავრა და კაცმა ფული გადაუხადა, ფულის დასახურდავებლად სახლისკენ გაეშურა. კაცი უკან გაჰყვა. ხრაშუნა ხრეშზე ერთად გადადგმული რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ქალი მკლავზე შეეხო: „შიგნით არ შემომყვეთ, ხურდას გამოგიტანთ".

8

მოედანზე იდგა მანქანასა და სახლს შორის გაჩერებული. ქალი სახლში შევიდა და კარი მიიხურა.

რამდენი ხანი დამჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად? ერთი წუთი? ორი? რამდენი დრო დასჭირდება მას ფულის დასახურდავ-



ებლად? რამდენად მოწესრიგებულია ის? დახარისხებული აქვს ქაღალდისა და ხურდა ფული? ერთსაც აიღებს და მეორესაც? ჩქარობს თუ ხვდება, რომ მე ყოველი დაყოვნებული წუთი მახარებს?

მინაზე დაიხედა და დაინახა, რომ ქვიშა ნესტს დაესველებინა. ფეხის წვერით გადააბრუნა ქვა, აინტერესებდა, ქვემოდანაც სველი იყო თუ არა. ჰო, სველი იყო. თანამშრომლებს ასწავლიდა, ფიქრი და გადაწყვეტილება განსხვავდებიან ერთმანეთისგანო. ფიქრი სწორი კი არა, საერთოდ, ვერავითარი გადაწყვეტილების მომტანი ვერ იქნება, პირიქით, მას შეუძლია გაართულოს და დაამძიმოს გადაწყვეტილება, მისი პარალიზება გამოიწვიოს. ფიქრი დროს მოითხოვს, გადაწყვეტილება – სიმამაცესო. იცოდა, რომ ახლა ფიქრის დრო კი არა, გადაწყვეტილების მიღების სიმამაცე აკლდა. ისიც იცოდა, რომ ცხოვრება გადაწყვეტილებებს, რომელთაც არ მიიღებ, ისევე გიანგარიშებს, როგორც მათ, რომელთაც მიიღებ. თუ იგი ვერ გადაწყვეტს, რომ აქ დარჩეს, — უნდა გააგრძელოს გზა, ხოლო თუ ვერ გადაწყვეტს, რომ გზა გააგრძელოს, — აქ უნდა დარჩეს. რა უთხრას მას? ჰკითხოს, შეუძლია თუ არა, დარჩეს? რას უპასუხებს ის? უარს ეტყვის, მაშინ, როცა ჰოს თქმა სურს, რადგან პასუხისმგებლობის ეშინია, რომელსაც ჩემი შეკითხვა აკისრებს? მე აქ უნდა ვიდგე ჩანთით და ჩემოდნით, როცა ის სახლიდან გამოვა და მანქანა წასული დახვდება? მაგრამ მან რომ არ მოისურვოს ეს? ან იქნებ ახლა მოისურვოს, მაგრამ შემდეგ აღარ? ან იქნებ მე აღარ მოვინდომო დარჩენა? არა, ეს არ მოხდება, თუ ჩვენ ახლა გვსურს ერთმანეთი, სამარადისოდ გვესურვება.

მანქანისკენ გაეშურა. სურდა ცოლისთვის ეთქვა, რომ ცდებოდნენ, რომ მათი ცოლ-ქმრობის გამოკეთება აღარ შეიძლებოდა, რაც არ უნდა დიდი სურვილი ჰქონოდათ ამის, რომ ბოლო კვირების განმავლობაში მის სიხარულში ყოველთვის იყო დიდი სევდა და ნაღველი, რომ მას აღარ სურს ამ ნაღველით ცხოვრება. იცის, რომ შეშლილია, იმ ქალის გამო, რომელსაც არცკი იცნობს, მზად არის, ყველაფერი გაწიროს; რომ მას ურჩევნია შეშლილი იყოს, ვიდრე სრულ ჭკუაზე და სევდით გულგამოღრღნილი.

როცა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მანქანისკენ, ცოლისკენ გაიხედა. ცოლმა მზერა შეაგება, მძღოლის ადგილისკენ გადაიხარა, ფანჯარა ჩამოსწია და რაღაც დაუძახა. ვერ გაიგო. ქალმა გაუმეორა – იპოვა დიდი დიუნი რუკაზე. საუზმისას დიდი დიუნები გაახსენდა, სურათში რომ ენახათ ერთხელ. ბევრი ეძებს რუკაზე, მაგრამ ამაოდ. ახლა კი უპოვია ცოლს. შორს აღარ უნდა იყოს, საღამომდე მიაღწევენ. სახე უბრწყინავდა.

წვრილმანებით აღფრთოვანება – რა ხშირად განუცვიფრებია ცოლს ამით. ნდობა, რომლითაც იგი სიხარულს გიზიარებდა, იყო ბავშვური ნდობა სავსე მოლოდინით, რომ ადამიანები კეთილნი არიან, ახარებთ შენი სიკეთე და სიკეთით პასუხობენ მას. დიდი ხანია ცოლი ასეთი აღარ უნახავს. მხოლოდ ბოლო კვირებში დაუბრუნდა სიხარული. ცოლი მოეხვია. მზად არის? შეუძლიათ უკვე გაემგზავრონ? მან თავი დაუქნია, ნაბიჯს აუჩქარა, რაც შეიძლება სწრაფად სურდა გასცლოდა აქაურობას, მანქანაში ჩაჯდა, მოტორი ჩართო და მოედანს მოწყდა ისე, რომ უკან აღარ მოუხედავს.



9

ცოლი ლაპარაკობდა. ჰყვებოდა, როგორ იპოვა რუკაზე დიუნები, რატომ ვერ ნახა ისინი დილით, როდის ჩავიდოდნენ ადგილზე და სად გაჩერდებოდნენ, რა მანძილს გაივლიდნენ მეორე დღეს, რა სიმაღლის არის დიუნები.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა შეამჩნია, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. ქმარს ნელა მიჰყავდა მანქანა, დაფიქრებული გასცქეროდა ნისლს და ცოლის ნათქვამს დროდადრო გაურკვეველი ბუტბუტით ეთანხმებოდა. ხმას რომ არ იღებდა, ამაში არაფერი იყო უჩვეულო, ცოლი მისმა მოკუმულმა ტუჩებმა და დაჭიმულმა ლოყებმა გააკვირვა. რა არის? მოხდა რამე? მოტორი დაზიანდა? საბურავი დაეშვა? ნაკვალევი ხომ არ შენიშნა? მაშ რა? ჯერ ისე, უბრალოდ ეკითხებოდა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, შეშფოთდა. კარგად ვერ გრძნობს თავს? ხომ არ სტკივა რამე? კაცი მარჯვნივ, ბალახის ზოლზე გადავიდა და მანქანა შეაჩერა. ხელები საჭეზე ედო და გაშტერებული სადღაც წინ იცქირებოდა. გული ან წნევა ხომ არ ანუხებს?

„თავი დამანებე“, თქვა მან და გზის გაგრძელება დააპირა, „მხოლოდ ერთი წუთი მჭირდება“. ხმის ამოღებამ მოუხსნა დაძაბულობა, რომელმაც პირი მოუკუმა, ლოყები დაუკრუნჩხა და ცრემლი შეუკავა. ათეული წლები იყო, აღარ ეტირა. უნდოდა სლუკუნი დაეხშო, მაგრამ იგი კვნესაში გადაიზარდა, კვნესა – ყმუილში. ხელებით რაღაც მოძრაობებს აკეთებდა, რომლითაც მობოდიშება და იმის ახსნა სურდა, რომ რაღაც დაემართა, ტირილი არ უნდა, მაგრამ თავს ვერ იკავებს. შემდეგ მობოდიშებისა და ახსნის მოთხოვნილებაც გაუქრა, იჯდა კალთაში ხელებჩაწყობილი, თავჩაქინდრული, სხეულის ზემოთა ნაწილი უთრთოდა და ყმუოდა. ქალმა მკლავებში მოიქცია, მაგრამ მან თავი გაითავისუფლა და ისევე დაჯდა, როგორც იჯდა. კვლავ ტიროდა. ქალმა გადაწყვიტა, უახლოეს დასახლებულ პუნქტში სასტუმრო და ექიმი მოეძებნა. უნდოდა ქმარი გაეწი და მძღოლის ადგილას დამჯდარიყო, მაგრამ კაცი თვითონ გადაჯდა გვერდზე.

მანქანას ქალი მართავდა. კაცი ტირილს განაგრძობდა, დასტიროდა თავის ოცნებებს, მას, რაც ცხოვრებამ შესთავაზა, მან კი უარი თქვა, თავი აარიდა; რისი დაბრუნებაც და შეცვლაც უკვე აღარ შეიძლებოდა. ვეღარაფერს დაიბრუნებდა, ვეღარაფერს აინაზღაურებდა; დასტიროდა იმას, რომ, რაც სურდა, უფრო ძლიერად არ სურდა და რომ ხშირად არ იცოდა, რა სურდა; დასტიროდა მას, რაც მის ცხოვრებაში მძიმე და ცუდი იყო და მასაც, რაც კარგი იყო; დასტიროდა იმედგაცრუებებს, ბედმა რომ არგუნა, ბოლო კვირების იმედებსა და მოლოდინს. სევდიანი, ტკივილიანი იყო ისიც, რომ ყველაფერი ბედნიერი და მშვენიერი, რაც ახსენდებოდა: სიყვარული, ცოლ-ქმრობის ტკბილი დღეები, ბავშვებთან გატარებული წლები, პროფესიით გამოწვეული სიხარული, წიგნებითა და მუსიკით აღფრთოვანება, წარსულის საკუთრება გამხდარიყო. მოგონებები ერთმანეთს ენაცვლებოდა, მაგრამ სანამ რომელიმე სურათის რიგიანად დათვალიერებას დაიწყებდა, ბეჭდით იდაღებოდა იგი, ფართო მინდორზე კი მსხვილი ასოებით ეწერა: წარსულს ჩაბარდა.

წარსულს ჩაბარდა? უბრალოდ კი არ ჩაბარებია წარსულს, არამედ მის ზურგს უკან და მისი ჩარევის გარეშე. მან თვითონ დაანგრია სამყარო, მათმა ურთიერთსიყვარულმა რომ შექმნა. ფერადოვანი სურათები შავთეთრით კი არ შეიცვალა, არსებობა შეწყვიტა, საერთოდ გაქრა.

ცრემლი ამოუშრა. ქანცგაწყვეტილი და დაცლილი იყო. მიხვდა, რომ თავის ქორწინებას დასტიროდა, თითქოს წარსულში გადასულიყო იგი, თავის თანამეცხედრეს დასტიროდა, თითქოს დაეკარგა ის.

ქალმა გახედა ქმარს და გაულიმა. მათ ჩაუარეს აბრას, რომელიც დასახლებული პუნქტის სახელს, მოსახლეობის რაოდენობასა და ზღვის დონიდან სიმაღლეს იუწყებოდა. რამდენიმე ასეული ადამიანი და – უკვე ერთი პატარა ქალაქი. მხოლოდ რამდენიმე მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. ნისლში არ ჩანს, მაგრამ ახლოს უნდა იყოს, ფიქრობდა კაცი.

„შეჩერდი, თუ შეიძლება“, – სთხოვა ცოლს.

ქალმა მანქანა გვერდზე მიაყენა და გააჩერა. ახლა, ფიქრობდა კაცი, ახლა. „მე აქ ჩამოვალ, მეტს აღარ წამოგყვები. ვიცი, აუტანლად ვიქცევი, მე ეს უკეთ უნდა მცოდნოდა, მაგრამ არ ვიცი, როგორ შეიძლება ეს უკეთ მცოდნოდა. ჩვენ ვცდილობთ, ნანგრევებში ავანყოთ ჩვენი ცხოვრება. მე არ მსურს ნანგრევებში ყოფნა. მე მსურს უბრალოდ ერთხელ კიდევ ვცადო“.

„რა, რა გსურს სცადო?“

„ცხოვრება, სიყვარული, ახალი დასაწყისი, ყველაფერი, ჰო, ასეა“. კაცმა დაინახა, რა განცვიფრებული და შეურაცხყოფილი მიაჩერდა ცოლი და თვითონაც ბავშვურად მოეჩვენა თავისი ნათქვამი. ქალს რომ ეკითხა, რა გინდა აქ, რას გააკეთებ, რით ირჩენ თავს, რას უპირებ შენს ცხოვრებას იქ, შინო – ვერაფერს უპასუხებდა.

„მოდი, დიუნებამდე მივიდეთ, გაქცევას ყოველთვის მოასწრებ. მე არ დაგაკავებ. ვილაპარაკოთ, იქნებ ჯერ კიდევ არის საშველი. იქნებ მართალი ხარ და რაც ჩვენ შორის იყო ან უკვე აღარ იყო, სწორად ვერ შევაფასეთ. მაშინ გავაკეთოთ ეს. ქალმა მუხლზე დაადო ხელი, კარგი? მართალს ამბობდა. განა არ შეეძლოთ დიუნებამდე მისვლა და ყველაფერზე იქ საუბარი? იქნებ ის მაინც ეთქვა ცოლისთვის – მარტო გააგრძელე გზა, გამიშვი რამდენიმე დღე მჭირდება მხოლოდ საკუთარ თავთან დავრჩე, შემდეგ დაგეწევი, გაფრენისას მაინცო? იქნებ სიზმარი უნდა მოეყოლა? ბენზინგასამართის ქალზე ეთქვა რამე? განა ეს უფრო პატიოსანი საქციელი არ იქნებოდა?

„მე მხოლოდ ახლა შემიძლია გაქცევა“. მანქანიდან გადმოვიდა. „გამიღე, თუ შეიძლება, საბარგული“.

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

მაშინ მანქანას მოუარა, მძღოლის მხარეს კარი გააღო და კარსა და სკამს შორის პატარა მრუდმხარა გადასნია. საბარგულის თავსახური ახტა. კაცმა ჩემოდანი და ჩანთა ამოიღო, საბარგული დაკეტა და კარს მიუახლოვდა. იგი ჯერ კიდევ ღია იყო. ცოლი მისკენ იცქირებოდა. ფრთხილად დახურა კარი, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, სახეში ვთხლიშეო. როცა ჩანთა და ჩემოდანი აიღო და ნაბიჯი გადადგა, ცოლი ისევ მისჩერებოდა. არ იცოდა, შეძლებდა თუ არა

მეორე ნაბიჯის გადადგმას. მან ეს მოახერხა, მეორეს მესამე მიჰყვა და ასე შემდეგ. თუ შეჩერდებოდა, უნდა მოტრიალებულიყო, დაბრუნებულიყო და მანქანაში ჩამჯდარიყო. თუ ახლავე არ დაძრავს ქალი მანქანას, ვეღარ შეძლებს გზის გაგრძელებას. წადი, სთხოვა ცოლს, წადი.

ქალმა ძრავა ჩართო და მანქანა დაძრა. კაცი მხოლოდ მაშინ შემოტრიალდა, როცა მანქანის ხმა აღარ ისმოდა. შემდეგ ისიც ნისლში შთაინთქა.

10

იაფფასიანი მოტელი იპოვა და მთელი თვით დაიქირავა ოთახი. რესტორანსაც მიაგნო, რომელიც დიდი დახლით, პლასტიკატის საკამებითა და მუსიკალური ყუთით იყო აღჭურვილი. ბევრს სვამდა, ხან აბსურდულად მხიარული იყო, ხან ტირილი უნდოდა, მაგრამ საკმარისად ეტირა დღეისათვის. ეს ერთადერთი რესტორანი იყო ამ დასახლებულ პუნქტში. მთელი საღამო ელოდა, მანქანა ჩამოივლის, იქიდან ვიღაცა გადმოვა და მასში ცოლის მიხვრა-მოხვრას შევიცნობო. მთელი სულითა და გულით ელოდა ამას.

მეორე დილით ზღვაზე გავიდა. სანაპიროს კვლავ ნისლი ეფინა, რუხი იყო ცა, რუხი იყო ზღვა, ჰაერი თბილი, ნესტიანი და დახუთული. უსასრულოდ ბევრი დრო მაქვსო, ეჩვენებოდა.

გერმანულიდან თარგმნა **ბელა სურგულაძემ.**

რეცენზია



ნუგზარ შატაიძეს ბოლოს შარშან გაზაფხულზე შევხვდი, ჩვენი საერთო მეგობრის გასვენებაში. „ქართული მწერლობის“ დაარსება მომილოცა. მოთხრობა ვთხოვე გამოსაქვეყნებლად. დამპირდა, ტელეფონის ნომერიც ჩავაწერინე, მაგრამ არ შემხმიანებია – ცოტა ხანში შეუძლოდ იგრძნო თავი და ალბათ ამის გამო.

ნუგზარის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მოგვაწოდა ქალბატონმა ლეილამ ეს წერილი, დიდი სიყვარულით დაწერილი ჩვენგან უდროოდ წასული ჩინებული მწერლის, სიტყვის დიდოსტატის, შემოქმედებაზე, რომელიც მარადიული თანამდგომი იქნება ქართველი მკითხველისთვის ჭირშიც და ლხინშიც – ამის თავდები ნუგზარ შატაიძის გამორჩეული ნიჭიერებაა.

ლ. ბ.

ლეილა მესხი

შენი სტუმარი ვარ, ნუგზარ!

ამ წიგნს „ნოემბრის წვიმა“ ჰქვია... ოცი თვალის პირველი შევლებისთანავე გხიბლავს, თავისი სახელწოდებით, ყდის ფერით, გამოცემის ხარისხით... (ნუგზარ შატაიძე, „ნოემბრის წვიმა“, ნოველები, მინიატურები, მოთხრობები, რადიო-პიესები. 2004 წ.).

მწერლის შემოქმედებასთან მიახლოების თავდაპირველი განცდა ნოემბრის წვიმას მოაქვს, ჯერაც თბილს, ალაგ-ალაგ თქმულად დაშვებულს – დასაცვენად გამზადებული ფოთლების ბოლო გაჟრჟოლება რომ მოჰყვება თან... წიგნის ყდის ფერი კი, მთის ფერდობზე დაცვენილ, მოყვითალო ფოთლებში კროლა-კროლად ჩაბნეულ, ჯერაც დაუმჭკნარ, წაბლის მწიფე ნაყოფს მაგონებს.

შემთხვევით არ მწვევია ეს ხილვები... მშობლიური მაღლიან გაჯერებული ქართველი მწერლის შემოქმედებაა მათი გამომწვევი. მისი საწყისი და ბოლო. ამ ხილვებში ქართლის სანახებიც მოჩანს, სოფლები, მთები, ჭალები... ადამიანებიც... თითქოს გვსალმებიან ისინი, ხელს გართმევენ. თონეებსაც ვხედავ, ფიჩხის ალით სახეგანათებულ ქალებსაც, ბებრებსა და ახალგაზრდებს. ახლად გამომცხვარი პურის სურნელიც მწვდება, მელამუნება...

შენი სტუმარი ვარ, ნუგზარ!

* * *

ნუგზარ შატაიძე ჩემი კოლეგა, მეგობარი და ძველი თანამშრომელია; წლების წინ გამომცემლობა „მერანში“ წიგნის გამოცემის საინტერესო საქმეს ვეწეოდით. დრო გავიდა... ახლა კანტიკუნტად ვხვდებით ერთმანეთს, თუმცა ნუგზარ შატაიძის მოთხრობას, ჟურნალში წავაწყდები თუ გაზეთში, წაუკითხავს არასდროს ვტოვებ...

წიგნს ვშლი.

მხატვარი კარლო ფაჩულია – საკუთარი ხელწერის მქონე, ვრაფიკის დიდოსტატი.

წიგნს წინასიტყვაობა ახლავს: ავტორი – მწერალი ზაალ სამადაშვილი.

„ჩემი მწერალი“ ჰქვია წერილს. „ლიტერატურამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე და ხშირად ვიმეორებ ხოლმე, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ორმოცს რომ გადავაბიჯე, მერე – კარგმა წიგნებმა გადამარჩინეს, კარგ



მწერლებთან, ძველებთან და ახლებთან, ქართველებთან და უცხოელებთან ვალში ვარ-მეთქი... ნუგზარ შატაიძე ერთ-ერთი მათგანია...''

წიგნში მრავალი ნაცნობი ნოველა, მრავალჯერ წაკითხული, მახსოვრობის სივრცეებში ჩარჩენილნი, ახლებიც გვხვდება. უპირველესი, რაც მათში გზიბლავს – ქართული მადლის მოჭარბებაა, მშობლიური ჭალა-ველის სურნელია... თავად მწერალიც ჩანს, კაცურკაცობით, ღირსებით სავსე, ოდნავ უკანდახეული (ასე სჩვევია), ხმაც ისეთი აქვს (ეშხ-ლაზათით სავსე), საამოდ რომ ჩაგესმის...

მერე რატომღაც მიწაში ღრმად ჩაფლულ, სიგრილეში ჩაძირულ ღვინით სავსე ქვევრს ვხედავ, მამაკაცებსაც... მოწიწებით რომ უახლოვდებიან, მუხლს იყრიან, ღვთიური ნექტარით ავსებულ სასმისს, როგორც მლოცველნი, ისე ეწაფებიან (ნუგზარიც მათ შორისაა)... ჯერაც ვერ ვხვდები, რას ნიშნავს ეს უცნაური გადასახლება...

* * *

ზოგი მისი მინიატურა ერთი ბეწოა, მაგრამ რამოდენა განცდაა, რამხელა ტკივილია!

ამ მინიატურას „პოეტი'' ჰქვია.

„ყველა ჩვენგანის მახსოვრობაში ღრმად ჩაბეჭდილა ერთი ასეთი სურათი: თეთრი ვარდებით მორთულ ეტლში, რომელშიც მშვიდად მომღიმარი პოეტი ზის, ულამაზესი ქალები შებმულან და ის ეტლი ციმციმ მიაქვთ საქართველოს ღორღიან გზაზე'', – წერს მწერალი.

ორი სამყარო, ორი დრო შემთხვევით არ დაუკავშირებია მწერალს: „თანდათანობით იცრიცება ვარდები, ქალების გაცისკროვნებული სახეები, ფერმკრთალდება მგოსნის მშვიდი ღიმილიც და მის ადგილს იჭერს დანგრეულ რუსთაველზე მიმავალი ჩემი ნაცნობი პოეტი, შიშშილითა და უიმედობისგან ფერმიხდილს, ცელოფნის პარკით, ხუთიოდე კარტოფილი და ერთი კონა მწვანილი რომ მიაქვს შინ''. სულის შემძვრელი სურათია! მინიატურის უმცირეს გაელვებაში სრულყოფილად რომ იხატება. შეგვიძლია მხოლოდ ორი წინადადება ამოვიღოთ, „საქართველოს ღორღიან გზაზე'', და „უიმედობისგან ფერმიხდილს ცელოფნის პარკით, ხუთიოდე კარტოფილი და ერთი კონა მწვანილი მიაქვს შინ''. ორივე პასაჟი სათქმელის ზუსტი მინიშნებაა, ერთგვარი ირონიაც ერევა შიგ – „ულამაზესი ქალები შებმულან ეტლში და ის ეტლი საქართველოს ღორღიან გზაზე მიაქვთ''... ქალების ეტლში შებმა, რაც არ უნდა თაყვანისცემად და სიყვარულად ჩავთვალოდ, მაინც მტკივნეულია ისეთი პოეტისათვის, როგორიც აკაკია, მითუმეტეს, თუ ღორღიან გზაზე ულამაზესი ქალები მიათრევენ ამ ეტლს (გაუთავებლად ვალებში და ცრუ დაპირებებში, რომ უწევდა ცხოვრება ამ ეტლში მჯდომს). ასე რომ, მისი ბედი არაფერით განსხვავდება დღევანდელობით შეჭირვებული პოეტის ბედისგან... საქართველო არასდროს მფარველობდა თავის საპატიო შვილებს! (თავად, ნუგზარ შატაიძესაც ეხება ეს).

კრებულის პირველსავე ნოველაში („თეთრი ცხენი'') შეფიცულებს ფეხდაფეხ ადევნებული თეთრი ცხენი მოჩანს, მითიურ პერსონაჟს რომ წააგავს და სინამდვილეში თავად საქართველოა, ყელგამოღადრული, სისხლიანი და უძალო, ფეხდაფეხ რომ ასდევნებია თავის ბედკრულ შვილებს. სამომავლოდ განწირულებს, გზადაკარგულებს. მაინც ნადგებს, საძმო ფიცით შეკრულებს. მათ ბოლო ნაბიჯებს მიყურადებით ან შორიშორ თვალთვალით კი არ აღწერს მწერალი, არამედ ფეხდაფეხ ადევნებით, მათ ახლოს ყოფნით.

პირველსავე სტრიქონიდან გბოჭავს, გითრევს ნოველა, ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს. „მიდიოდნენ უგზოდ, უკვალოდ. ერიდებოდ-



ნენ სოფლებს, გზაშარას, მწყემსთა სადგომებს, მიდიოდნენ ღამით. რაც უფრო უმთვარო და ბნელი იყო ის ღამე, მით უფრო, მშვიდად ჰქონდათ გული", – წერს მწერალი. ღამის თავად ეჰყოლია მათ, ასდენებია. „დიდზანს ეძინათ, კარგად დაისვენეს, ცოტა ხნით დაივიწყეს თავიანთი დუხჭირი ხვედრი, მაგრამ მოვიდა საღამოს პირზე ის თეთრი ცხენი და ისევ აეშალათ ნაველი და მწარე ფიქრები". არადა, მათი გაქცევა, მარტო თავის გადარჩენას კი არ ნიშნავდა, არამედ საშობლოდან გადაკარგვასაც (თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ეს). „მიდიოდნენ. ყარაიაზისკენ ეჭირათ გეზი, წინ აჯიხალილას ბორჩალოელი თათრები მიუძღოდნენ".

არც ბორჩალოელი თათრები შემოუყვანია შემთხვევით მწერალს, თითქოს წინასწარ არის განსაზღვრული, სად ელით ღალატი და სად ერთგულება...

მოპირდაპირე ძალებთან შესახვედრად თეთრი ბაირაღები სჭირდებათ მებრძოლებს. ულამაზეს პასაჟს ხატავს მწერალი: „ქაქუცა ერთხანს ჩუმად იწვა, მერე წამოჯდა, ქამარი შეიხსნა, ხალათი გაიხადა და თოვლივით თეთრი, ქათქათა პერანგი გამოუჩნდა"...

დაბვეწილი არისტოკრატი, ბრწყინვალე გვარის შვილი, ქართველი პრინცი, თავისი მანერებით, უზადო ქცევებით, ერთხელ კიდევ გაიელვებს ჩვენ თვალწინ... მის თეთრ, ქათქათა პერანგსაც ვხედავთ... „და ისე გაიძრო, თითქოს სული ამოირთვაო" – წერს მწერალი. ამით ყველაფერი თქვა, მეტი აღარ არის საჭირო...

* * *

რაც ყველაზე მეტად გაოცებს ნუგზარ შატაძის შემოქმედებაში, ეს არის გასაოცარი ხილვა, სულიერი შეცნობა არამარტო ადამიანების, თვით მტაცებლისაც, ამ შემთხვევაში მგლის... ხილვა იმისა, რაც თვალის ერთი შევლებით არ ჩანს, რაც თავად ბუნებაში, სულიერის არსშია ჩაბუდებული. „ბებერი მგელი თოვლის ნამღვლევზე გადავიდა, ფერდობი ძუნძულით აიარა, დიდ, ღონიერ ტყეში ავიდა და ხევისკენ გადმოყანთრულ წიფელთან შეფიქრიანებული გაჩერდა". უბრალოდ იწყებს... თუმცა, თოვლი, სიცივე, ბებერი მგელი, მისი უთავბოლო წანწალი, მოუსვენრობა, ისევე ჩვეულებრივი და ადვილად მისაღები გეჩვენება, როგორც სარეველამოძალებულ, ნახევრად ჩაშჭკნარ ყანაში თოხიანი ბერიკაცის გამოჩენა. არც ყანას ეშველება რამე, არც ბერიკაცს და აღარც მგელს... ყოველ მათგანს, უბედობასთან ერთად, უძალობა შეჰყრია... „უეცრად, თოვლის შრიალი შემოესმა, ყურები ცქვიტა, გაიხედა და დაინახა დიდი, თეთრი კურდღელი, რომელიც თოვლში გარბოდა". ამ შემთხვევაში კურდღელი ბედისწერაა, მის გამოსაფხიზლებლად თუ გონზე მოსაყვანად გამიზნული. რა ექნა მგელს, „ცარიელი სტომაქიც უბუყბუყებდა და ამ უსიამოვნებებს რომ გასცლოდა, თვალები დაბუჭა, დაძინება სცადა". ვერ მოისვენა... ხერხემლის ტკივილი და შიმშილი, ახალგაზრდა ხვადის ყვითელი თვალები, „თოვლში ჩაწოლილი ძუანა და წრეზე დადარაჯებული თანამომძენი". ყველაფერი აწუხებს მას. და მეჩვენება, ეს თვით ცხოვრებაა, ღღევანდელობაა... ეს მგლებიც ჩვენ ვართ!..

არ მინდა საგალობელი ვუმღერო მწერალს ან შედარებები მოვიყვანო ჯეკ ლონდონის თუ სხვა მწერლების ნაწარმოებებიდან, მაგრამ ნუგზარ შატაიძის ბებერი მგელი ისე ნაღდი და შთამბეჭდავია, ისე დამთრგუნველია, გეჩვენება, თითქოს თავად მოისხი მისი გაქუცული ბეწვი და წელათრეული მიფოფხავ თოვლში... „ზოგჯერ გაჩერდებოდა, შეისვენებდა და მერე ხელახლა შეებღოტებოდა აღმართს. სველი ბალანი გაეყინა, აებურძგლა. შიმშილი რომ მოეკლა, ერთი-ორჯერ

თოვლი შეჭამა, მაგრამ ამან არ უშველა. ყველაფერი სტკიოდა".

სიკვდილის მოახლოებაც იმგვარი სიმართლით აღწერა მწერალმა, იმგვარი განცდით, თითქოს თითოეულ ჩვენგანს მოუკვდა იგი (ახლობლობის განცდა გიჩნდება!), ბებერი, ბეხრეკი მგელი. „ბოლოს, ნეტარებისმომგვრელმა, უცხო ბურუსმა ჩამოიარა, უკანასკნელად ასწია თავი, წამოიწია და გაოცებულმა დაინახა, როგორ მიჰქროდა ვარდისფერ ნისლში მისი ბებერი, უსიცოცხლო სხეული შორეულ ქვეყნებისკენ". ადამიანებიც ხომ ასე სურვილაუხდენელნი კვდებიან, დიდ სოფელში მიდიან...

ადამიანური სითბო, სინაზე, სიღრმისეული შრეების მოძიება, წვდომა. ტრაგიკული ბედი და უკანასკნელი ძალების მოკრება, ამგვარი დატვირთვა აქვს ნოველას „ელიკო". „გუშინწინაც ეგრე ისროდნენ – დიდხანს, თითქმის ნახევარ საათს, მერე კოლას სახლი ცეცხლს მისცეს და წავიდნენ. სახლი სულ დაიწვა, რადგან სროლის შიშით ახლოს ვერავინ მიეკარა". სულ ახლახან ჩავლილ დღეებს, საქართველოს ძნელბედობას (გადაგვავიწყდა კიდეც!) ხელახლა გვახსენებს მწერალი. ეს მცირე მინიატურა განსაკუთრებული შთამბეჭდავია. იმჟამინდელი ხმებიც გესმის, უნდობლობაც გზარავს. „კაკალთან კვნესა და ტირილი შემოესმა. გულგახეთქილი გაიქცა, წალმის ღობე ფეხით ჩაქელა, ჩაამტვრია, ზედ გადავიდა და მეტრეველიანთ სახლს რომ შემოუარა, დაინახა მათი უსინათლო დედაბერი, რომელიც ეზოში ხელების ცეცებით დაბორიალობდა, ხან იქ მიაწყდებოდა, ხან – აქ". თითქოს დაცარიელებულა სამყარო, მშველელი არავინ ჩანს... „ირგვლივ წივილით დაქროდნენ ტყვიები". ყველაზე შესაზარი ახლობელთა ურთიერდაპირისპირებაა, ამიტომაც შიშით შესცქერის ქალი სივრცეს, ადამიანებს... თოფსაც, უკვე მოკლულ გოგიასაც. „მის თავთან, თოვლში, სისხლის დიდი წითელი გუბე იდვა", – აღწერს მწერალი. ფინალი შეგძრავს: „შიში არ მოსულა, დღეს პირველად არ მოსულა შიში. გუშინ, გუშინწინ, იმის წინ, სულ მოდიოდა, დღეს კი არ მოსულა და ელიკო მიხვდა, რომ დამთავრდა, აღარ მოვიდოდა, აღარასოდეს მოვიდოდა". შიშის „არმოსვლა" დასასრულის ნიშანია.



ასეთივე სულიერ სიცარიელეს, გულისწყვეტასა და უმძიმეს ტკივილს მიუძღვნა მწერალმა ნოველა „ჩვეულებრივი ყვავი, ჩვეულებრივი კაჭკაჭი, ჩვეულებრივი ძაღლები". თუმცა დიდ ტკივილთან ერთად იგი იმედსაც გვიტოვებს, იუმორითაც გვხვდება...

„ეს ის დროა, როცა ჯერ ორმოციც არა გვაქვს გადახდილი და ღამღამობით ხშირად მესიზმრება. ძილშიც უწვეროდ მეჩხვენება. გამხდარია, ფერმკრთალი, ნაღვლიანი. ვიცი, რომ შველა უნდა, მაგრამ არ ვიცი, რითი ვუშველო და ამისგან შეწუხებულს მეღვიძება". მკაცრი უბრალოებით თუ საგანგაშო ტკივილით აღწერს უმცროსი ძმის გარდაცვალებას. უხმო, მამაკაცური ცრემლებით გაეტირება მას. „აი, მისი სიგარეტის კოლოფი, სანთებელა, საფერფლე... იქვე ალაგია წიგნები, „ცისკრისა" და „მნათობის" ძველი ნომრები... უანგარიშოდ ვადებ ზედ ხელს და ერთხანს ვუქლეს, მაგრამ წამომივა მალე ცრემლი, რომელიც სახეს მისველებს". რკინასავით მკვეთრი სიტყვებია, ნაჯახივით პირბლაგვი... იგი მარტოდმარტოა თავის ტკივილთან, თავის მოგონებებთან... თავის მწუხარებასთან.

ღმერთო! ადამიანებს უერთმანეთოდ ნუ გაგვაძლებინოს!.. ფეხის ხმა ისმის, მიშა შემოდის... „კომბოსტოს ორი ფოთოლი მოაქვს ჯამებივით – ერთი პამიდვრით არის სავსე, მეორე – ვენახის ატმით". კედლის სამალავიდან ნახევარლიტრიან ბოთლსაც გამოაძვრენს, ჭიქასაც იპოვის... სამ-სამი ჭიქა გამოსდით, სამივე შესანდობარი და



ბოთლიც იცლება... – სულ ეგ იყო? – ეკითხება და სახეში შესცქერის"...

და იწყება ნუგზარ შატაიძისეული მადლის მოძიება. „თან წვიმს, უნამუსოდ ცრის". ალაგ-ალაგ ფერებს უმატებს: „ჩვენ რომ ახლა ამ ოხერ არაყს კი არა, წარაფების რქაწიოულს ვსვამდეთ და ზედაც ვენახის ატმის ნაცვლად ბატკნის ცერიან მწვადს ვაყოლებდეთ, სიკვდილი მოგვინდებოდა?" – კითხულობს ის. თავადვე პასუხობს – „არა!". თან ვეცინება, თან ვეტირება... ორივე ერთად. თავისი მიხვედრებით თუ მივნებებით, თითქოს გაბერთავევს მწერალი, ხან იქით გადაგისვრის, ხან აქეთ... „ამიტომ ამბობენ, სული ტკბილიაო", – დაასკვნის ბოლოს. გრძელდება ნოველა.

„სასომხეთის დედაქალაქ ერევანშიც წვიმს". საავადმყოფოს სველი ეზოც მოჩანს და რომ გვეგონა, შიშმა და სევდამ შეიპყრო მწერალი, გამოთხოვების კაეშანსაც ძნელად იტანს, შენც არ მომიკვდე! კოწახურის ბუჩქებთან „ორი ძაღლი კაჭკაჭს უყეფს. ის კაჭკაჭი, ძაღლებს ზედ დასტრიალებს და როგორც კი დროს მოიხელთებს, ხან ერთს ჩაუნისკარტებს თავში, ხანაც – მეორეს"...

სად კაჭკაჭი და სად საავადმყოფოს ცივი ოთახი. შიშის მომგვრელი ერთფეროვნება და „ბულის ყაფაზიდან გამომავალი სადრენაჟო მილი"... შემძვრელია!

„– ნახე, – გაღიზიანებული ვეუბნები არმაზს, – ნახე როგორ იყეფებიან ეს დამპლები...

– რა გინდა, იყეფებიან, რა!

– არ გახსოვს ქართული ძაღლები (ხმას ვიბოხებ) – ავ, ავ, ავ!!!

ესენი კიდევ (ვუწვრილებ) – ვაი, ვაი, ვაი!.."

თითქოს ქრება ტკივილი, ყოველგვარი წყენა, შიში... ამას იუმორი ნაკლებად ეთქმის... მისტიკური გადართვაა, შინაგანი რწმენა და მიხვედრა რომ სჭირდება...

* * *

მოდის და მოდის, ეტიუდების, ნოველების, მოთხრობების წყებათა-წყება: „მოლხინო", „გეგათ ოღა", „ნაცარი", „შეშა", „ბაბო", „გიგილები", „სისუა", „ყარაულები და ქურდები"... ჩახატულ-ჩაჩუქურთმებული სურათები, პასაჟები, მადლიანები, ნამდვილები, მიწის ბარაქით დაპურებულები, გაპოხიერებულები, ცის უსასრულობაში აცურებულები და ცოტა „კრამიტდაცურებულებიც".

ვაგრძელებ კითხვას.

მეჩვენება, საღამოს, ჩანაცრებული ფერების ფონზე სულ სხვაგვარად იკითხება მისი ნოველები (უფრო მწუხარე და სევდიანი ჩანან!), ხოლო დილით, მზის პირველ სხივებზე, თითქოს განელდნენ, ახლობელი ფერებით შეიმოსნენ... თითქოს მეწამულნი ხდებიან... თუ უფრო დაბინდული ქლიავისფერი, ჩვენი სამშობლოს მთების ფერი (დიდ ჰოეტს დავესესხები), და მოდის სიყვარულის გასაოცარი განცდა. ქალის სურნელი თუ საერთოდ მდედრი, აშდენ ხანს რომ არ ჩანს მის ნოველებში. ახლა მზის ჩაზხახა შუქმა თუ ახლად გაღვიძებული ბუნების პირველმა ჟრიამულმა უპირველესად ქალის, დედის, ასულის უჩვეულო გარდასახვა მაგრძნობინა... ტკივილიც (მწერალი ამ წიგნს, თავისი გარდაცვლილი ასულის ხსოვნას უძღვნის). მერე ამ განცდას თითქოს ანაწილებს ყოველი მხრივ, ყოველი კუთხით. სიათუოით, სულის ბერვით შევყავართ იმ სამყოფელში, რომელსაც დედების, ქალების, ასულების, ნაოცნებარი თუ ნანატრი სამყარო ჰქვია...

და ახლა ნუგზარ შატაიძის ერთერთ გამორჩეულ ნოველაზე ვიწყებ საუბარს – მას „ლამაზი ქალი" ჰქვია.

უცნობი ქალისადმი ლტოლვამ, მისმა სილამაზემ, თავდავიწყებამ, ნოველის გმირი გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააგდო... და იწყება სიყვარულის, აღმოჩენის, გაქცევის თუ განელების ჰარმონია. მუხლამდე თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლში გადაშვების, ორი სადგურით აღრე ჩამოსვლის, მოღწევის და ვერ მოღწევის, საკუთარი თავის უარყოფის, ცდუნების, აღფრთოვანების გასაოცარი ჰუსიკა...

თითქოს ჩვეულებრივი ამბავია... დიდედის გადმოცემული, ჩვენამდე მოტანილი, მოღწეული...

უმჯობესია, ფეხდაფეხ მივყვეთ ნოველას. „ქალაქიდან ამბავი მოიტანეს ჩემი დის, ნინას მამამთილი მომკვდარაო... რაღა გაეწყობოდა, გამოვუცხე ორ-ორი თონე სულ გამტკიცული ლავაში და ნეკნის პური, დაკლა ერთი კარგი, მსუქანი ჭედილა, გაავსო ორვედრიანი ტიკი ღვინით, შეაბა ურემი, წაიყოლა ჩვენებიანთ შალიკო და ჩაზიდეს ყველაფერი ეს მეტეხის რკინიგზის სადგურში". ქალი შინ დარჩა, ოჯახს უვლის, ფუსფუსებს. არადა, ამოვარდა ქარბუქი, ორი იღლია თივიდან, ნახევარი ქარმა წაართვა. ღილა გათენდა და თოვს... „საღამომდე ეგრე ითოვა. იმ ღამითაც და მეორე დილით, სწორედ დასაფლავების დღეს გადაიღო, მაგრამ ისეთი თოვლი დევს, ისეთი, რომ გარეთ ვერ გავდივარ". თავგვითან შინ გამოემწყვდა ქალი. „მერე მოვიდა, მომეშველა ისევ ეს ჩვენი შალიკო, თავისი ეზოდან წამოღებული გზა ჩვენი სახლის დერეფნამდე გამოიტანა და გამომიშვა გარეთ". ემზადება ქალი ქმრის დასახვედრად, თვალი გზისკენ უჭირავს, ვერ ისვენებს... „დაკაფე ქვაბში გუშინწინ დაკლული ჭედილას ჯიგარი, დავაჭური ბლომად ხახვი და გამოვდგი ცეცხლზე (იწყება ნუგზარ შატაიძისეული სუფრის მადლი! – ლ. მ.). კარგად რომ ჩააშუშა, გადავუწურე წვენი, მოვხრაკე მშრალად, დავბრაწე, მერე შევუყენე ის თავისივე წვენი, შევაგებე წიწაკით, ხმელი ქონდრით და მარილით, ცეცხლთან გადმოდგმის წინ მოვაკურე ნახევარი ჭიქა ღვინო და გამოვიდა სწორედ ისეთი ყაურმა, პაპაშენს რომ უყვარდა". მოდი და გაუძელ ამ ცდუნებას, თავად სტრიქონები აფრქვევენ გემოს და მადლს, ლამის თავად შეისუნთქო მაცდუნებელი ოხშივარი... ეს ყველაფერი კარგი... მალიმალ გაცქერის ქალი გზას, აყურადებს; არ ჩანს კაცი, წუხს, წრიალებს. გადის და გამოდის. „რაღას არ მეუბნება ეს ოხერი გული: ხან, ვითომ, მატარებლიდან ჩამოსულს, სადგურზე მარხილი არ დაუხვდა, წამოვიდა მთვრალი ფეხით და თოვლში ჩაიჩუმქრა; ხან კი ვიღაც სხვა მთვრალები აუხირდნენ, გზაში სადმე მოკლეს, გდია ახლა უპატრონოდ და დასდის თოვლი"... ის ღამე ქმრის მოლოდინში გაათენა ქალმა... თუმცა, ეს ყველაფერი, ჩვეულებრივ ამბად გვეჩვენება, იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა...

„მამალმა რომ პირველად იყივლა, ვნახოთ, შემოაჯახუნა კარები და შემოვიდა, მაგრამ, ვაი, იმ შემოსვლას! თავფეხიანად თოვლშია ამოვანგლული, სახე აღარ უჩანს, ულვაშზე ყინულის ლოლუები ჰკიდია. დგას და ვედარ ინძრევა, ვედარც ლაპარაკობს, მაგრამ რახან მე ის ცოცხალი დავინახე, რაღასა ვჩივი!" განა ეშვება ქალი, კაცის მოვლა-პატრონობას იწყებს. „მოვხადე გალიბანდი, გავაძრე სულმთლად ლორთხი შინელი, შიგნიდანაც ყველაფერი სველები აცვია, დავუხადე ისინიც, გადავანელე წყალი, ჩავსვი ჩვენს დიდ ვარცლში, დავბანე, გავლრიჭე, გავამშრალე, ჩავაცვი სუფთა საცვლები და ჩავაწვინე ლოგინში". უტრიალებს ქალი, ერთგულად, მუხლჩაუდგომლად. რაც არის, ეს არის... მთლად ალალი, მიმნდობი. მცირედი წყენა არსად ჩანს. რაც არიან, ესეთები არიან!..

და დაიწყო კაცმა ჭამა. სამი დღის შშიერი გეგონება. დალია არაყი, ერთი ჭიქა, მეორე... „მესამეც რომ დალია მაშინდა ამოიღო ხმა. – რო იცოდე, დედაკაცო, რა დამემართაო"...

სული განაბა ცოლმა: „მივჩერებივარ პირაკანული, ვიცი, რამე რომ ვკითხო, სულ გაჩუმდება, აღარაფერს იტყვის",



— ამბობს ქალი. იცის ქმრის ხასიათი, მისი ბუნება... სიჩუმეს ამჯობინებს... „მირიანის სადგურიდან ფეზით ამოვედი, სულ, აი, ჭკერდით მოვარღვევედი თოვლსო“... გაოცდა ქალი, მირიანის სადგურში რაღა უნდოდა, ასე ადრიანად რად ჩამოვიდა მატარებლიდანო, მაგრამ ვერ ეკითხება. ისევ ჭიქა არაყს უვსებს, ცეცხლს უმატებს, მწნილის თეფშსაც ახლოს უდგამს... პურსაც უტეხს. იმაბები სიტუაცია... „ვიღაც ოზერი გადამეკიდა მატარებელში“, თანდათან ინასკვება კვანძი, ექსპრესია მატულობს. მწერალი შეუდარებლად ძერწავს სახეებს, ვმირებს, სამოქმედო არეს. რაც მთავარია, იმ უცნობ ქალს, ერთი რომ გაიელვა და შუქი დატოვა...

„— განა არა, ვიფიქრე, მთვრალი არავინ აუხირდეს გზაში-მეთქი“, — ამბობს ცოლი. „— რა მთვრალი, დედაკაცო, ქალი იყოო“... „— ვინ ქალი-მეთქი?! — მაგრამ ხმას არ იღებს, ასუფთავებს ისევ იმ ოზერ ჯამს პურის ნატეხითა, აპრიალებს. გამოვტაცე ხელიდან, ამოვუღე ზედ ცხელი ყაურმა, მივუტანე და დავუხეთქე წინ. ამომხედა, გაეცინა და მეუბნება — ბეწვზე ხარ გადარჩენილი, შე საწყალოო!“

გულზე ცეცხლი შემოენთო ქალს, განაწყენდა, გაავდა. ეჭვმა ლამის გაგუდოს, ისევ გონს მოდის — „აბა ერთი, დალაგებით მითხარ, რა როგორ იყო“. და იწყებს კაცი, ალალად, დაუფარავად, როგორც მეგობარი ეტყვის მეგობარს, ძმაკაცი — ძმაკაცს, ოღონდ ამოთქვას, ამოღერღოს... გასამხელი გაამხილოს. „რა ვიცი, კაცო, დამისკუპდა წინაო... ახლა, ლამაზია, ლამაზი, რომ ეკლესიის თეთრ კედელზე დახატულსა ჰგავს. მიყურებს, ლამის თვალებით შემჭამოსო... გადავჯექი. გავიხედოთ, გადმოჯდა ისიც. კიდევ გადავჯექი, კიდევ გადმოჯდა! ავდექი და, როგორც კი მატარებელი გაჩერდა, ჩამოვედიო“.

ერთხანს ჩვენც გაოცებული ვართ და ცოლიც... რა არის ეს?! სიმორცხვე, უკანდახეულობა, უღალატობა, პირადულის დაორგუნვა, გრძნობების ერთბაშად აფეთქება თუ საკუთარი თავისგან გაქცევის სურვილი. ერთბაშად მოვარდნილი ცეცხლის, ალმურის გაგრილება, ქალისაგან გაცლა, გაქცევა... ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკე!

მწერალი აგვირგვინებს სათქმელს. „მარტო იყავით?“ — ეკითხება ცოლი. „რას ამბობ, შე ოჯახქორო, მარტო როგორ ვიქნებოდით, სავსე იყო ვაგონი ხალხითაო“...

და წასკდა ცოლს სიცილი...

იწყინა კაცმა, „მიკრა ჯამზე ხელი, გადაბრუნდა, შემომექცია ზურგი და წაიფარა თავზე საბანი“.

ნოველის დასასრულს, დღევანდელ ახალგაზრდებს გადაჰკრავს მოზუცი წკეპლას. „ეხლა, ეს ამბავი რომ მაგონდება ხოლმე, მიკვირს ქა, ეს ჩვენი კაკო რატომ არ დაემსგავსა იმას?! აი, ხო ნახე, რა ქნა, დაყარა ოქროსავით ცოლ-შვილი, ამოიკრა აბრაგანი და დასდევს ვიღაცა ქვეყნის ნათრევ ქალს უკან, ხან აღმაა და ხან კიდევ — დაღმა, მოუკვდეს იმას ბებო“.

ნოველა საგალობელია ქალისა და კაცის ურთიერთობისა, მათი თავნკარა სიყვარულისა.

თუმცა ყრუ გუმანით ვხედები, ის ღირსეული კაცი (პაპა), რაც არ უნდა გაქცეოდა საკუთარ თავს, უცნობი ქალის სილამაზეს თუ ეშხს, ქარბუქსა და სიცივეს შებრძოლებოდა, არაფიც ეზუხა, ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩენილ ქალის ხიბლს მაინც ძნელად დაიღწევდა თავს... ბოლო ამოსუნთქვამდე ემახსოვრებოდა... ხომ არსებობენ წუთები, რომელსაც დავიწყება არ უწერიაო!..

* * *

ნუგზარ შატაიძე ქართული სუფრის, ლხინის მეზობტე და დიდოსტატია. შეუძლია პირდაპირ ფუცელზე დაანთოს ცეცხლი. იმგვარი სილაღით ხატავს, გეჩვენება მასთან ერთად უხ-



იხარ სუფრას, სადღეგრძელოებსაც წარმოთქვამ; მისი გმირები გულღია, მხიარული ცოტა დარდიანი მამაკაცები არიან, მათ ხსოვნაში, სიყმაწვილის ტკივილიანი დღეები ჩალექილა. ისინი სამყაროს მარილი და გემო არიან. განსაკუთრებით, როცა სუფრას ჩაუსხდებიან და იწყება თავდავიწყება! სადღეგრძელოები, ჩუმი ღიღინი, მხარზე ხელის გადადება...

გეჩვენება, საუკუნეების წინათაც ასე უსხდნენ სუფრებს, ასე ულოცავდნენ ერთმანეთს ფუძეს, კერას, შთამომავლობას... ღვინოს აკურებდნენ მიწას, სანთლებს ანთებდნენ. იგივე მეორდება. გვარებიც იგივეა, სახელებიც. სადღეგრძელოებიც...

...სულ ახლახან, მეჩვიდმეტე საუკუნის აღწერებს ვათვალიერებდი. იგივე სახელები: გოგია, გაბო, მიხო, გიორგი; გვარებიც... თითქოს წინა საუკუნეებიდან გადმოვიდნენ, არაფერი შეცვლილა... ბეგარამ გამაოცა, „ერთი ურემი ღომი, შვიდი მთელი ღვინო, ორი საკლავი, სამი თეთრი საბატკობო, ერთი თეთრი საყველიერო“... თუ არ ეშოვებოდათ, ვერც შესწირავდნენ!.. ნუგზარ შატაიძის გმირები მახსენდება, ბოღოჭა და გოგია, ნიკა და გივი, ყარამანა და თათე... ერთი საერთო ნიშანი აქვთ: ყველანი მადლიანი ქართველები არიან...

* * *

ნოველას „ვვირაბი“ ჰქვია. რა სიუჟეტი არ შემხვედრია. თემის განვითარება, ფაბულა, კომპოზიცია... ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თემის ასე ერთბაშად ამობრუნება, ამოტრიალება, სათქმელის თავდაყირა დაყენება თუ შეიძლებოდა, არ მეგონა.

ცივ, უსიამო გვირაბში, სიბნელესა და გაურკვევლობაში, საქართველოს უიღბლობით, უშუქობით, მძიმედ გადასატანი წლებით სულშეძერულ ადამიანებს მოუყარა მწერალმა თავი. როგორც საიდუმლო სერობის მონაწილენი, ისე შეკრიბა. შეთქმულების წინა ღამეც შეიძლება იყოს, ბოლო თავყრილობაც. სინამდვილეში შუქი გამოირთო, ადამიანებს გაუნელდათ სიბნელეში გაჩხერილ მეტროს ვაგონში უაზრო ყოფნა. ფეხით დაადგნენ გზას, ლინდაგს გაჰყვნენ. დაიღალნენ, ჩამოსხდნენ. დაასვენეს მუხლები, გული. აღმოაჩინეს, რომ საქართველოს ყოველი კუთხის შვილებს მოეყარათ თავი... კვლავ საიდუმლო სერობას მაგონებს ეს თავყრილობა, ოღონდ ვის წინააღმდეგ შეიკრიბნენ, ჯერაც ვერ გამირკვევია. მეგრელები, იმერლები, კახელები, აჭარლები, სვანები, გურულები, ოსები, ხევსურები.... ყველანი უკლებლად. „სიბნელეში ანთებული სიგარეტები ციმციმებს – ხან ერთი, ხან კი რამდენიმე. ვსხედვართ, ვისვენებთ“, – ვკითხულობთ ნოველაში.

„ტყუილი ყოფილა, თვალი სიბნელეს ეჩვევაო, ასეთ სიბნელეს თვალს ვერ მიაჩვევ. დიდი მანძილი გამოვიარეთ, დავიღალეთ, დავიქანცეთ. ისე ვარ გასავთუბული, რომ ამათი არ ვიცი და მე ნამდვილად ვეღარ ვივლი... იქნებ იქით, გვირაბის მეორე ბოლოსკენ უნდა წავსულიყავით?.. იქნებ იქით უფრო ახლოს არის გასასვლელი?.. არ ვიცი, არაფერი არ ვიცი“. თავის ხასიათსაც ამყღავნებს მწერალი, „მირჩევნია ვიღაცას წავყვე, ვიდრე ვიღაცებს გავუძღვე“ (მრავლისმთქმელი ფრაზაა!).

არადა, მეტროს გვირაბში არც შუქია, არც მატარებელი მოძრაობს და საერთოდ... ქვესკნელში ჩაძირულა სამყარო. სადღაც „გრუნტის“ წყალი ჩხრიალებს... მოშივდათ.

არავითარი ხატვა, ფერების შერჩევა, სახეების გამოძერწვა... ერთმანეთის გაცნობა... მხოლოდ დიალოგი... მადლიანი ქართული სიტყვა... ქართული კერძების ჩამოთვლა... ღვინოების... ერთი-მეორის მიმდევრობით, ერთმანეთთან შეწყობა-შეთანხმებით, თითქოს უხილავი ორკესტრი იყოს,



დირიჟორის ხელის აქნევაღა სჭირდება...

"– ახლა ერთი კარგი ცხელი ხინკალი? – სხვათაშორის იწყებს ერთი.

– ზედაც ცივ-ცივი ლუდი?

– თუ ნატვრაა, ბარემ ხაშლამა ინატრეთ.

– ხაჭაპური, ბატონო, ღომი, სულუგუნი და ბაჟეს წვენი?

– წიწილი არ დაგავიწყდეთ, შემწვარი წიწილი!

– კაი ლობიო, შიგ ჩაბუჟბუჟებული პურითა და კომბოსტოს მწნილი.

– ლობიო კარგია ღომთან...

– ბიჭო, კარგ მსუქან დედალსა, ცივად მოხარშულსა, ნივრითა, სჯობიან რამეი?

– კუბდარი თუ გიჭამით ვინმეს?"

მაშ ასე, სუფრა უკვე გაშლილია, ღვინოც ჩამოსხმულია... სიმღერასაც მღერიან, თუმცა მშივრები არიან, დაღლილებიც... მთავარია, ყველანი ერთად არიან... ქართულმა სუფრამ, მხოლოდ ხილვით, გახსენებით, წარმოსახვით, შორეული მოლანდებით დანაყრა ისინი... დააპურა. „ცოტა ხანში, ყველა სადღეგრძელოს რომ ჩამოვთავებთ, ყველა სიმღერას რომ ვიტყვით, წამოვიშლებით და მივყვებით ისევ ამ ჩვენს გურულს კუდში, მივაშლაპუნებთ გრუნტის წყალში დამბალ ფეხსაცმელებს, დაღლილობა სადღაც გამქრალა". მიდიან, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთმანეთის მხარდამხარ. „მივდივართ, მივბარგანაობთ (ნახეთ, როგორ ამბობს! – ლ. მ.) სიბნელეში... იქნებ ახლოს იყოს გასასვლელი? არ ვიცი"... არადა, ყველაფერი იცის მწერალმა, გაურკვევლობა უბრალოდ შიშის ფანდია, მომავლის შეუცნობლობის ეჭვია. იგი მხატვრული სიტყვის, ნოველის ნამდვილი მაგიაა... ყველაფერი წინასწარ იცის.

ნუგზარ შატაიძე ქართული ლხინის, ადათ-წესების კაცია!

* * *

ამ თემას რომდენიმეჯერ მიუბრუნდა მწერალი. ნოველას „პური" ჰქვია, ხოლო მოთხრობას – „პურის მოთხრობა". ორთავეს სხვადასხვა დატვირთვას აძლევს. ერთში ბრძოლაა პურის მოპოვებისთვის. ადამიანების უნდობლობაც მოჩანს, სიხარბე, თავის გატანის ჟინი, გადარჩენის სურვილი. მეორე ჰიმნია, ხორბლის ჯიშების, თავთავის, ძნის, კალოსი... დათესვა, მომკა, დაბინავება.

პირველსავე სტრიქონში ხვდები, სადაც მიჰყავხარ მწერალს, რომელ სამყოფელში გამყოფებს. „დაცხა, ფშატის ყვავილების ნაზი სურნელი დამძიმდა და მინდორში ჩაგუბდა". პალოზე გრძელი ოოკით დაბმული ცხენიც მოჩანს, წრეში რომ ტრიალებს (თითქოს ცხენი კი არა, თავად სიცოცხლეა წრეში მოტრიალე). მოეხოხნა და მოესუფთავებინა ბალახი (ტყუილუბრალოდ არ დაუბამთ ცხენი, მას მარტო ურემში შესაბმელად არ იყენებენ, ბოროტი საქმის მოსაგვარებლადაც სჭირდებათ). მზე უკვე გადავიდა სადღეიდან. დასავლეთისაკენ დაეღირა, სიცხეც დადრკა... სოფელმა სული მოიოქმა: „ისმოდა ძაღლების ყეფა, ერთმანეთში დარეული ცხვარ-ბატკნის ყრიამული, ცურებდაბერილი ძროხების ზმუილი და ფურკამეჩის ალერსიანი ყოყინი.

საღამოვდება. ეზოებში უკვე იბუდებენ ქათმები, „თხილებსა და თუთის ხეებს შეხიზნულნი, მოუსვენრად ფრთხიალებდნენ". იხატება სოფელი, ადამიანები... გოგია და იაკოფა, თედო გინტური, „ვიღაც ქალაქურად ჩაცმულ, მხრებში ჩახრილ კაცთან ერთად". სიწუმე დგას სოფელში. „ზემოთ, ტყისპირში ნამდვილი ჭოტი კიოდა". ჭოტის კივილი, თანაც „ნამდვილის", უდავოდ ავის მომასწავებელია, ავის მინიშნებაა...

თხრობა გრძელდება, ახალი გმირები შემოდიან... მედუქნე არუთინასთან აღზრდილი მიხაც მოჩანს –

„ფულებით უბეგამოტენილი, კარგ ბადაურზე გადამჯდარი“ სოფელში ბრუნდება. იგი ცხოვრებანანახი კაცია, არუთინას დუქანში მრავალ ჭეშმარიტებას ეზიარა, „რომელიც ამ ვლეხუჭებმა ყურმოკვრითაც კი არ იცოდნენ, რადგან ცხვირი არ გაეყოთ ამ კაკლის ნაჭუჭისოდენა სოფლიდან, სადაც ჯერ ისევ ძველი კანონები მოქმედებდა, ძველებურად იყო ცხოვრება აწყობილი და დედამიწაც ისევ ძველებურად ბრუნავდა“, – თითქოს გულარხეინად ჰყვება მწერალი.

პურის დროულად შესაფიდვა იყო მიხას მთავარი მიზანი. „საკვირველი ფხა გამოიჩინა: ქალაქელი ვაჭრისაგან განსხვავებით, ვლეხებს წინასწარ ურიგებდა ფულს, ბეს აძლევდა, მკათათვეში კი ზედ კალოზე მიუყენებდა ურმებს, იქიდანვე მიჰქონდა ხორბალი“. ხორბლის მაზანდა კი ყოველდღე იწევდა, ერთი ხუთად იზრდებოდა. მიხას საიმედო მუშტრის შოვნა და ხორბლის სარფიანად გაყიდვა სურდა. ვერ მოასწრო...

პატრონსა და მოძალადეებს შორის ურთიერთობა თითქოს არ გართულებულა. მიხო ღიმილით ეგებება სტუმრებს... იცის რისთვისაც მოვიდნენ, ხორბლით დატენილი ტომრებიც გაზიდეს, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასაც მიუსხდნენ, კვლავ იცინის მიხა... ვითომ მხიარულად არის...

ვფიქრობდი, გრძელი ბაწრით დაბმული ცხენი რად დასჭირდა-მეთქი მწერალს (ნოველის დასაწყისში პალოზე გამობმული). თურმე ტყუილუბრალოდ არ ტკეპნიდა იგი მიწას, ურემში შეაბეს და ნაძარცვი ხორბალი აზიდვინეს. აქ მარტო პურისთვის, არსებობისთვის ბრძოლა არ არის, ბოროტისა და კეთილის შეპირისპირებაცაა. სტუმარიც მოკეთე რომ გგონია, ზშირად მტერი აღმოჩნდება...

ხოლო „პურის მოთხრობა“ უფრო შეგონება, სწავლებაა იმისა, რაც კარგა ხანია დაივიწყა ხალხმა... რისი შეხსენებაც უეჭველად გვმართებს. პურის დანით გაჭრა არ შეიძლება! ხელით უნდა გატეხო, გვაფრთხილებდნენ წინაპრები. ჭამის დროს პურის ნატეხი ძირს არ უნდა დააგდო! პურის ნავდაღმა დადება ცოდვად ითვლება! ამგვარი აკრძალვებითა და გაფრთხილებებით შევყავართ მწერალს საოცარ სამყაროში, ხორბლის მოყვანა, დათესვა, მომკა და დაბინავება, რომ ჰქვია. „კიდობანში ჩათაკრული მახობლიანი პურები“, ამბობს ის. როგორ ჟღერენ სიტყვები (თითქოს უხილავი მადლის გასაღებია!).



აღწერს, ხატავს, ასურათებს მწერალი პურის ცხობის საზეიმო ცერემონიალს. ალაგ-ალაგ სევდა ერევა: „განელებულიყო ფქვილის ამბრისა და პურის კიდობნის სურნელი, დავიწყებას მისცემოდა უამრავი სიტყვაც და, მართალია, მიწა ისევ იმოსებოდა მწვანე ბალახით, ისევ ჭიკჭიკებდნენ და უსტვენდნენ ჭრელი ჩიტები, მაგრამ ახლა იმათ სახელები აღარ ჰქონდათ, – უსახელოდ ყეოდნენ, უსახელოდ ჭიკჭიკებდნენ“. დავიწყებულის შეხსენება, გამოღვიძება და გაცოცხლება სურს მწერალს. „თუსებოდა მობნევით, მარცხნიდან – მარჯვნივ“. დაწვრილებით აღწერს თითქოს ეშინია არაფერი გამორჩეს, არ დავიწყდეს. „პურის ნამგლით მოჭრას „მკა“ ჰქვია, „ძნა“ ერთად შეკრული ორი-ხუთი ხელეურია“. ჭირნახულის შესანახად იხმარება გოდრები, კოდები, ბეღლები, ხაროები. მეწისქვილეებსაც ახსენებს... გუთნის დედებსაც.

კვლავ ეპარება სევდა... „სათონეები დაინგრა, თონეები ჩაიხვეწა და ქათმის საბუდრად იქცა“. „ძველ ნაკალოვრებს ბალახმა გადაუარა“. „პაპაჩემი დაბრმავდა“... ასე ამთავრებს პურის საგალობელს...

...წამით ფიქრი მიპყრობს, რომელმა გუთნისდედამ, მეწისქვილემ თუ პურისმცხობელმა შეგვახსენა თავი, რომელი მათგანი ამეტყველდა მწერლის ენით?



* * *

ყოველი ახალი მოთხრობა, ახალი ტკივილი და ახალი თავგადასავალია. „ნოემბრის წვიმა“ – კრებულში შეტანილ სხვა მოთხრობებთან შედარებით საკმაოდ ვრცელი ნაწარმოებია. მთავარი გმირი, ძველი პედაგოგი, ბატონი ალექსანდრე, ცხოვრებისაგან ნაგვემნატანჯი კაცი, მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში ბოლო გაკვეთილს ატარებს...

უმძიმესი წლებია, შიშს დიდი თვალები აქვს, ადამიანებს იჭერენ, ტანჯავენ, ასახლებენ... საღამოს სკოლაში, მერხზე მოწიფული მამაკაცები სხედან, ერთი მთგანი ჩეკისტია... სწორედ მასთან უწევს შეხლა-შემოხლა მოხუცს. ერის სასიქადულო შვილებზე მსჯელობენ, –„ვინ არის, ბიჭო, კლასობრივი მტერი?! – სახეზე შეცბუნებულმა ღიმილმა გადაურბინა მოხუცს“, მიუახლოდა, ყურში წასწვდა და „თავი ღონივრად შეუქანჯალა“, ამასაკა არ დასჯერდა, „მოკაკვული თითი ოდნავ შემელოტებულ კინკრიხოში ჩასცხო“.

კონფლიქტმა დაძაბა ურთიერთობა. შიშმა მოიცვა სკოლა, პედაგოგები. საყვედურობს დირექტორი, სკოლაში ნუ მოხვალო, სთხოვს.

მძაფრდება სიუჟეტი. ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა.

მღელვარე, აჩქარებულ ეპოქას, თავადაც აღგზნებული განწყობით ხატავს წერალი.

„– გტკივა რამე, საშა?!“ – მალიმალ ჩაეკითხება ელენე (მეუღლე). ავი მოლოდინისაგან იზაფრება კაცი. არ ეძინება, ყოველ წუთს ნაგვიანებ ნაბიჯებს, კაკუნს ელის. იგონებს წარსულს, უკვე მომზდარს. ახლობელ ადამიანებსაც იგონებს – ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, ნიკოს და ნუნუს. მათ დაპატიმრებასაც იხსენებს. უპატრონოდ დატოვებულ მათ შვილსაც (ცოლმა რომ შეიყვანა ოთახში), თანდათან იკარგება ფიქრებში და... მოდის შემძვრელი წუთები! „დაინახა, როგორ გამოიყვანეს საწოლი ოთახიდან ტყავისქურთუკიანმა კაცებმა პალტოჩაცმული, ბალღატტებული ელენე“... სიზმარი და ცხადი თითქოს ერთმანეთში ირევა. შიშიც ქრება... ქუჩას გახედა, აღარსად ჩანს ავტომობილი... არც ადამიანები. შემობრუნდა და... „ელდანაკემმა კინაღამ შეჰკივლა: მაღალზურგიან, გაქუცულ სავარძელში უძრავად იჯდა მისი გახევებული, უსულო გვამი, რომელსაც ღიად დარჩენილ, ჩამქრალ თვალებზე შემოდგომის მსხვილი, მწვანე ბუზები დააცოცავდნენ“.

შემზარავია მოთხრობის ფინალი... ერთი მინიშნებით იმაზე მეტია ნათქვამი, ვიდრე მრავალთამბასხანი გამოკვლევებით შეიძლება ითქვას.

* * *

ნუგზარ შატაიძე დღევანდელობის მწერალია, მისი ტკივილის, მარცხის მოზიარე, იგი წარსულსა და მომავალს ერთ საბურველში ხვევს, ერთ საფიქრალს და სადარდებელს უჩენს.

ამ მოთხრობას „მოგზაურობა აფრიკაში“ ჰქვია.

მწერალს პირველსავე სტრიქონიდან შეჰყავხარ იმ აუტანელ, ვაუსაძლის სამყაროში, სადაც უთვისტომო, ლტოლვილ ბიჭს უხდება ცხოვრება. „საახალწლოდ, თემქაზე, კორპუსებს ჩამოვუარე – ძველი ტანსაცმელი გექნებათ-მეთქი და მაშინ მომცეს ეს საპანი, თბილი ბუშლატიც. ბუშლატი დიდი მქონდა, მაგრამ სახელოები გადავუკეცე და მშვენივრად მომადგა. ყუთი კი ელიავას ბაზრობაზე დავითრიე“. „მუყაოს ყუთში ძილი სოხუმელმა ბიჭმა გოშკამ მასწავლა. კი რამეა, გარედან სიცივეს არ უშვებს, შიგნიდან – სითბოს. მაგრამ როცა ყინავს, მაშინ მაინც ცივა. ღამით გეღვიძება, კანკალებ. არც საპანი გშველის და აღარც ყუთი. ამ დროს უნდა ადგე და იობინო“.

ყმაწვილის უსახლკარობა, უთვისტომობა იმდენად შემძვრელია, თითქოს



გვაფხიზლებს მწერალი, სიმართლეს გვახლის: „როცა კაიფობ, აღარ გცივა, უფრო სწრაფად, სიცივეს ვეღარა გრძნობ. თანაც თითქოს ტელევიზორს უყურებო, ხედავ როგორ მოდიან სპილოები, ლომები, ჟირაფები“.

აგერ, ჩვენ თვალწინ იღუპება მოზარდი, შენი სისხლი და ხორცი. იმის ნაცვლად რომ განგაში შემოვკრათ... ვითომ ვერ ვამჩნევთ! „წუპაკა 23 დეკემბერს მოკვდა. მაშინ დიდი თოვლი მოვიდა, ღამით ყინავდა, პაკრიშკა აღარ გვშველოდა და რა გვექნა, წებოს ვსუნთქავდით. დილით გავიღვიძე და ვხედავ თოვლზე აგდია მოკრუნჩხული. ჯერ მეგონა ეძინა და ნაჯღრევა დავუწყე, არ გაცივდეს-მეთქი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ მომკვდარიყო“.

ძნელბედობის უფსკრულში ჩაძირული ბიჭებისა და გოგონების მფარველობა უწევს მწერალს. „ის ბიჭი – წუპაკა, უპატრონო მეგონა, თვითონვე ამბობდა, არავინ მყავსო, მაგრამ მისი სიკვდილის მერე ვიღაც გოგო მოვიდა, შენ ჩემი ძმის მეგობარი ყოფილხარო და თხუთმეტი ლარი მაჩუქა. შემრცხვა და არ ვართმევდი, მაგრამ ჯიბეში ძალით ჩამიდო. მერე გოშკამ მითხრა, რომ იმ გოგოს ლუიზა ერქვა და ცირკთან იდგა“. თითქოს უბრალოდ, გასაგებად ჰყვება, მაგრამ რარიგ თავზარდამცემია ყოველი ფრაზა... კიდევ უფრო მწვავედ სვამს საკითხს, პრობლემას. თითქოს მოუთმენლობა შეჰყრია!.. „ხალხის უმეტესობას ფული არა აქვს და ვერც ვერაფერს იძლევა, ფულიანები კი ქუჩაში ფეხით არ დადიან, ისინი მანქანებში სხედან“.

...ჩემდაუნებლიეთ, ერთი ეპიზოდი მახსენდება, სულ ახლახან ნანახი. ეკლესიასთან, სამათხოვროდ ხელგაწვდილი დედა-შვილი იდგა. ფართოთვალებიანი, გამხდარი ქალი და ფერმკრთალი (ნეკნებს რომ დაუთვლიდი) ბიჭუნა. ქალაქში ცნობილ სახეს, ყოფილ მერს (ერთ დროს ქუჩები ჯიზურებით რომ აავსო!) შეწყალებას სთხოვენ. საცოდავად უწვდიან ხელებს... საკუთარ ჯიბეში ლამის ჩაიკარგა კაცი, კარგა ხანს ეძება... როგორც იქნა ასლარიანებს შორის ხუთლარიანი იპოვა, გამოარჩია. ისე გაუწოდა, თითქოს ეუბნებოდა – „მეორედ თხოვნა არ გაბედოთო!“

აფხაზეთიდან წამოსვლის დღეს იგონებს ბიჭი: „მამა სოხუმის საავადმყოფოში იწვა, ინფარქტი ჰქონდა და ექიმები ამბობდნენ: მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებაო, ბებია თავზე ადგა. მაშინ მე ექვსი წლისა ვიყავი, მაგრამ დედ-მამის ლაპარაკი მაინც კარგად მახსოვს: მამა დაჟინებით მოითხოვდა, რომ მე და დედა ქალაქიდან წავსულიყავით, დედას კი მამის მიტოვება არ უნდოდა. ბოლოს მამაჩემი ისე გაბრაზდა, რომ ცუდად გახდა“.

მამა აფხაზეთში ჩარჩა, ჩაიკარგა. ახლა დაკარგული მშობლის მოსაძებნად მიდის ყმაწვილი. წინ დიდი და რთული გზა უდგევს... ამ გზას გაურკვევლობასთან ერთად შიშიც ახლავს. მამის ხილვის სურვილიც...

ენგურის ხიდს მიუახლოვდნენ. ჩამსვლელი ჩავიდა. მანქანაში ძირითადად ქალები და მოხუცები დარჩნენ. მეგრულად ლაპარაკობენ. ხიდი გაიარეს და რუსი სამხედროებიც გამოჩდნენ. მოხუცმა ქალმა – ჩემი შვილიშვილიაო და თან გაიყოლა. არაფერი შეუძლებელი არ ჩანს, ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება. მერე ის ქალი თავის ახლობელს გადააბარებს ყმაწვილს, სრულიად უცხო ადამიანები ეხმარებიან... კვებავენ, აძინებენ. სინათლის სხივი ნელ-ნელა შემოდის მოთხრობაში, ალბათ ყმაწვილის სულშიც...

როგორც იქნა მიაღწია... უფანჯრო კორპუსები, მიტოვებული ეზოები (ვეღარ ცნობს ტყვარჩელს). „თბილისში ვცხოვრობთ. მამაჩემის სანახავად ჩამოვედი“ – პასუხობს ბიჭი. განუწყვეტლივ თავისი ბინისაკენ იცქირება. „ცოცხალია, მამაშენი კარგადაა, ცოლი შეირთო და წავიდა აქედან“, – ეუბნება მეზობლის ქალი.

მცირე იმედიც მოესპო. საზღვარზე გადმოსვლა, ამდენი ხეტიალი არ გეგონოთ ტყუილ-უბრალოდ აღწერა მწერალმა. იგი სამომავლო გზებს გვიშლის, გვაიმედებს კიდეც, რაც მთავარია, ეს ქვეყანა, ეს მიწა, ეს ჰაერი, რაც არ უნდა გათიშო, გაიცალკევო, მაინც ერთია, მთლიანია... ყმაწვილს ხელმეორედ შეუძლია ეწვიოს მამის კერას. ბოლოს და ბოლოს იპოვის იგი, გულში ჩაეკრას ავადმყოფ კაცს. იმედად მოევლინოს! ოღონდ! მანამდე სიცივის ნაცვლად სითბო ვარგუნოთ! (ასე გვასწავლის მწერალი). ნურც მუყაოს ყუთში დავტოვებთ და ნურც ჩვეულებრივი წებოთი, აცეტონიანი „ბე-ეფით" გავგუდავთ. ეს ყველაფერი ჩვენ გვევალება და არა ვინმე სხვას, გადამთიელს!

ვგრძნობ, როგორ შეიკრა წრე. სივრცეც უფრო ხილვადი გახდა (ნუგზარ შატაიძისეული სივრცე). მთებიც მოჩანან, მწვერვალებიც – ლამის ცას შეტყორცნილები...

P.S. წერილის დასასრულს, ნუგზარ შატაიძეს, როგორც მწერალს და პიროვნებას, მინდა თბილ ადამიანურ დამოკიდებულებაში, თუნდაც სიყვარულში გამოვუტყდე... მისი ნოველების, მოთხრობების, მისი შემოქმედების სიყვარულში... „თეთრი ცხენი", „ბებერი მგელი", „ელიკო", გეგათ ოღა", „შაქრია და შალა", „ლამაზი ქალი", „სადღეგრძელო", „პური", „ნოემბრის წვიმა", „მოგზაურობა აფრიკაში"... აი ამათ სიყვარულში მინდა გამოვუტყდე. თითოეული მათგანის წაკითხვისას, როგორც ღველფი, ცეცხლის ბურთულა, რაღაც უხილავი განცდა გადამცდებოდა ყელში. კი არ მწვავდა და მშაშრავდა, არამედ სიცოცხლის ხალისს მიმატებდა, ადამიანურ ჭეშმარიტებებს მაზიარებდა და რაც მთავარია, თავისი მიგნებით, მიხვედრით მაოცებდა... და ვგრძნობდი, არამარტო მიყვარდნენ ისინი, როგორც მწერალს, მეამაყებოდნენ კიდეც...

გივი შეყილაძე

ორი ეპიზოდი რექტორის ცხოვრებიდან



როდესაც „ქართული მწერლობის“ მესვეურებმა შემომთავაზეს მომეთხრო გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან უნივერსიტეტის რექტორთა ურთიერთობაზე, დასაწყისისთვის ბატონ **დავით ჩხიკვიშვილზე** შევჩერდი.

ამბავს, რომელიც ახლა უნდა შემოგთავაზოთ, ასეთი წინაისტორია აქვს:

ტარიელ ხარხელაური 1977 წელს გამოჩნდა თბილისის უნივერსიტეტში. მთიდან ჩამოსულმა მეცხვარემ დედაქალაქში ისაგზალა ჭრაქის შუქზე ქაღალდის ფურცლებზე გადატანილი ლექსები. ბუნებრივია, მისი ლექსები უნივერსიტეტის გაზეთშიც დაბეჭდეთ.

ვახტანგ ხარჩილავა იმ წელს ამთავრებდა ფილოლოგიის ფაკულტეტს, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა და, კონკურსის პირობებისამებრ, მისი ლექსებიც დაიბეჭდა.

მოგვიანებით, 1978 წელს დაბეჭდეთ **მურმან ეხვაიას** (გავხსნი ფრჩხილებს: უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორის, **მურმან ტურავას**) ლექსები.

გთავაზობთ სამივე პოეტის თითო ლექსს. მათი გაცნობა აუცილებელია, რათა სწორად გავერკვეთ მოვლენათა შემდგომ განვითარებაში.

ტარიელ ხარხელაური

* * *

სახლის კუთხესთან გატეხილი უღელი გდია,
ცაცხვის ხესთან გაბზარული ქვევრი,
წიფლის ხის ბოძზე ცხენის თავის ქალა აგია
და ჩაყვითლებულ მსხვილ კბილებზე აყრია მტვერი.
იყო ოდესღაც ამ ეზოში მაღალი ცხენი
და იყო ქვევრი, სველი ქვევრი, დღეს კი დამშრალა,
სიძველისაგან დაძალული ჭრიალებს სხვენი,
და სხვენზე კვნესის ჟანგიანი ცხენის ავშარა,
წიფლის ხის ბოძზე ცხენის თავის ქალა აგია,
სურვილი წამძლევს მივიდე და ღობე ავშალო,
ცაცხვის ხის ჩრდილში გალაფული ღორი აბია
უუნაგიროდ, ულაგამოდ და უავშაროდ.

უჩა ჯაფარიძის ნახატების გამოფენის გახსნისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საბძლის კუთხესთან გატეხილი უღელი გდია,
ისევ ჭრიალებს დალეული ბებერი სხვენი,
ყვითელ კბილებზე გადაიმტვრევს საღამოს ნიავს
და მთელი ღამე უსასრულოდ იცინის ცხენი.

ვახტანგ ხარჩილავა

სადღაც მიდიან

სადღაც მიდიან,
გადაჯეგეს თავთუხის ყანა,
გადაუარეს აყვავებულ ველსა და მინდორს.
ბრბო მაშხალებით ისე მოჩანს ამ შუაღამეს,
ცა, ვარსკვლავებით დახუნძლული,
მოდისო თითქოს.

ხან სიმღერებით, ხან სიცილით, წყევლით და კვნესით,
აახმაურეს გალურსული სივრცე მგზავრებმა.
და ბილიკებზე, ხიდებზე, გზებზე
სიცილ-ტირილით მიზრიალებენ.

მოაქვთ დროშებად დაპირება კარგი დღეების,
მერე შენც დიდხანს გეძახიან,
გხმობენ და გხმობენ.
შენც ხელს ჩაიქნევ და მორჩილად აედევნები
სადღაც ყაყანით მიმავალ სოფელს.

მურმან ეხვაია

უკანასკნელ გზაზე

ი. ვ-ს.

შენი სხეული მიგვქონდა იმ დღეს,
კუბო კი არა.
ჩვენ გვემძიმება, დავდივართ ვიდრე,
შენი იარა.
შენი სხეული მიგვქონდა ძნელად,
(სიცოცხლე რად ღირს!),
ჩვენ შენი ნეკნი გვტკიოდა ყველა
და ყველა ძარღვი...
ვერ მოგევლინა ვერავინ მხსნელად,
გვტანჯავდა ფიქრი.
შენი სხეული მიგვქონდა ნელა
ამ ქვეყნის იქით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა სენატორ ედუარდ კენედისთან

აი ამ ლექსების გამოქვეყნების სახათაბალო ამბავმა გამოამჟღავნა ბატონი დავითის სიკეთე, მამულიშვილური და სულგრძელი დამოკიდებულება ახალგაზრდა კაცის მიმართ, რომელსაც შეიძლება მომავალი მოშხამვოდა.

პირველ ყოვლისა, მოგახსენებთ, თუ რა კავშირი აქვს ამ ლექსებს რედაქტორთან.

1980 წელს ორჯონიკიძის რაიონის პარტიული რაიკომის ბიუროზე განიხილეს თბილისის უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციის მუშაობის საკითხი და, როგორც სხდომის შემდეგ გაირკვა, დადგენილებაში რედაქტორის მოხსნის მუხლიც შეიტანეს. ბიურომ სულ ქოქოლა აყარა გაზეთის რედაქტორს ამ უიდეო, კომუნისტური სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საწინააღმდეგო ლექსების გამო.

ახლოვდებოდა კატასტროფა. ვერ მიშველა ვერც იმან, რომ ხარხელაურის ეს ლექსი უკვე მის პირველ წიგნში იყო შესული (რაიკომის მდივნის რეპლიკა: „იმას, რასაც იგუებს წიგნი, ვერ აიტანს გაზეთი!“), ვერც იმან, რომ ხარჩილავას ლექსი გამოცხადებული კონკურსის პირობების გამო დაიბეჭდა, თანაც ჩემი მეგობრის **ზაალ ჟვანიას** რედაქტორობის დროს, და ვერც იმან, რომ მურმან ეხვაიას სტრიქონები აკადემიკოს **ილია ვეკუას** ხსოვნას ეძღვნებოდა.

და როცა საბოლოო სიტყვა მომცეს (როგორც ბრალდებულს აძლევენ სასამართლოში), მოულოდნელად, თითქოს მაღალმა ღმერთმა მიკარნახაო, დაბეჯითებით წარმოვთქვი:

— ახლა ვხედები, როგორ ხდებიან ჩვეულებრივი მოკვდავები გმირებად!

— ეს კიდევ სხვა ლექსის ფრაზაა? — გაწიწმატებული მეკვეთა შეცბუნებული მდივანი.

— აქედან რომ გავალ, მე გმირად ვიქცევი და ხვალ დილით სტუდენტები ხელში აყვანილს შემიყვანენ უნივერსიტეტში, — ვთქვი და დავჯექი.

უეცრად შეეცვალათ სახეები. ეს-ესაა ჩაიარა 1978 წლის ამბებმა, ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების მცდელობას რომ მოჰყვა. გამარჯვების ეიფორია არ განელებულა ახალგაზრდებში. ამას გრძნობენ ფუნქციონერებიც და მათგან დაგეშილი მოთვალთვალენიც.

სახეშეცვლილი მდივანი კითხულობს დადგენილებას. როცა იმ პუნქტთან მივა, რომელშიც რედაქტორის მოხსნაზეა ლაპარაკი, წაილუღლუღებს: — შევარბილოთ... გამოიცხადოს სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით, უკანასკნელი გაფრთხილებით...

სხდომა გვიან ღამით დამთავრდა.

მეორე დილით, სისხამზე, უნივერსიტეტის პრორექტორს, ბატონ **სერგო ჯორბენაძეს**, ვუამბე წინადღით მომხდარი.

— შედი რექტორთან, სანამ სხვები ეტყვიან რამეს, ჯობს შენ თვითონ უთხრა, — მირჩია ბატონმა სერგომ.

ბატონმა დავითმა უჩემოდაც ყველაფერი იცოდა და მთხოვა ლექსების ბეჭდვისგან ცოტა ხნით თავი შემეკავებინა.

ერთი კვირის შემდეგ დიდი ზარზეიმით ტარდება აქტივის კრება ორჯონიკიძის რაიონის პარტიულ ცენტრში.

ბატონი დავითის გვერდით ვზივარ, სულ არა ვარ რაიმე ცუდის მოლოდინში, მაგრამ მოულოდნელად ბიუროს წევრი, ყოფილი სამხედრო (ვეტერანი) სიტყვას უნივერსიტეტის გაზეთის ლანძღვით იწყებს: მოჰყავს ციტატები ლექსებიდან და ყვირის: „რა კუბოები აუტყდათ!“

ბატონმა დავითმა მარჯვენა ჩემკენ წამოიღო და ხელი ხელზე მაგრად მომიჭირა. ეს იყო თანაგრძნობაც, მხარში ამოდგომაც და მოლაყბისადმი პროტესტიც.

— რას მეტყვი, ბიძია, მაგას, რომ მოკვდება, კუბოში არ ჩააწვენენ? — გადმომილაპარაკა მისთვის დამახასიათებელი დიქციით.

— ბოდიშს გიხდით, ბატონო დავით, — ესღა წავილუღლუღე.

ახლა მეორესა და მთავარზე უნდა მოგითხროთ.

70-იან წლებში ეროვნულ უნივერსიტეტებში გაშმაგებით დაიწყო რუსულ ენაზე სწავლების „დანერგვა“. თბილისის უნივერსიტეტსაც მოსთხოვეს ლექციების ნაწილის (შემდგომ უზურში ჰქონდათ უმთავრეს ლექციათა) რუსულ ენაზე წაკითხვა. ამ სიახლეს დიდი წინააღმდეგობა გაუწია უნივერსიტეტის პროფესურის ღირსეულმა ნაწილმა — **ვასილ ჩანტლაძემ, მზია ალავერდაშვილმა, მარიამ ლორთქიფანიძემ, გივი ჟორდანიამ, გიორგი ფუთურიძემ**... ბატონი დავით ჩხიკვიშვილი, როგორც რექტორი, ამაზე პირდაპირ უარს ვერ იტყოდა, მაგრამ „იატაკქვეშიდან“ მოქმედებდა.

რომან იაკობსონი სტუმრად რექტორთან

გარუსების მსურველებმა წადილი ვერ აისრულეს.

იმ წლებში ჩვენი რედაქცია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა უნივერსიტეტიდან იღებდა გაზეთებს, რომლებშიც ყველა თუ არა (განსაკუთრებით შუა აზიაში), მეტი წილი სტატიებისა რუსულად იბეჭდებოდა. ამ ფოსტას საგულდაგულოდ ვინახავდით.



შეხვედრა მარშალ ალექსანდრე გოლოვანოვთან. 1978 წ.

ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთი მთლიანად ქართული იყო.

უნივერსიტეტის მაშინდელ პარტკომს ცენტრალური კომიტეტიდან რამდენჯერმე შეეხმიანენ ყურადღებით ყოფილიყო. ბატონი **დავით ჯიქია** დამიძახებდა. ვეახლებოდი და ვეუბნებოდი, კონტაქტი მაქვს მომმე რედაქციებთან და ვიცი, რომ საუნივერსიტეტო გაზეთები ყველგან ეროვნულ ენებზე გამოდის-მეთქი. მაგრამ ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს! ერთხელაც დავით ჯიქია მიხმობს:

— რატომ არ ბეჭდავთ წერილებს რუსულად? — პირდაპირ მომახალა.

— ბატონო დავით, მე კონტაქტები მაქვს... — ვიწყებ ტრაფარეტულად, მაგრამ ვინ გაცლის!

— ეს არის ეროვნული? — კივის და უჯრიდან ყრის რამდენიმე უნივერსიტეტის გაზეთს, ეტყობა, ცეკას არხით გამოგზავნილს.

დარეტიანებული ვტოვებ კაბინეტს.

მეორე სართულიდან პირველზე რომ ჩამოვედი, უეცრად გადავწყვიტე რექტორთან შევსულიყავი და ყველაფერი მეთქვა.

რექტორმა მომისმინა და კარგა ხნით დადუმდა, განაჩენის მოლოდინში მყოფს თვალგაუტეხლად მიცქერდა.

— მოვიფიქრებთ რამეს, — მითხრა ბოლოს და კაბინეტიდან გასვლისას მოულოდნელად ხმამაღლა დამაწია:

— გადაეცი ჩემს მდივანს, სასწრაფოდ მონახოს წიბახაშვილი და ორივენი ერთად შემოდით.

აჰა! უკვე გადაწყვიტა ორენოვანი გაზეთის გამოცემა და ალბათ ბატონ გიორგი წიბახაშვილს, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, რუსული ტექსტების გამართვას დაავალებს, — გავიფიქრე უსიამოვნოდ.

რექტორის კაბინეტში სამნი ვსხედვართ.

— ბატონო გიორგი, რუსული ენის თვითმასწავლებელი რომ მაჩუქეთ, ხომ გახსოვთ?

— დიახ, ბატონო დავით.

— ამ ჩე...ებს ჩვენს გაზეთში რუსული შრიფტის დანახვა უნდათ. სასწრაფოდ შექმნით რუბრიკას ენების შემსწავლელთა დასახმარებლად: სახლი — Дом, დედა — Мама, და პერიოდულად დაბეჭდავთ გაზეთში. მოვიდნენ და იკითხონ: სახლი — Дом, დედა — Мама, — გაიმეორა ბატონმა დავითმა. — გასაგებია?

და გაზეთში გამოჩნდა „სახლი — Дом“...

რუბრიკას „13 помощь изучающим языки — ენების შემსწავლელთა დასახმარებლად“ (რუსულის პარალელურად ქართული ენის შემსწავ-

ლელთა დასახმარებლადაც) პროფესორები **გიორგი წიბახაშვილი** და **გიორგი გოლეთიანი** უძღვებოდნენ და, უნდა ითქვას, რომ ისინი ერთობ კეთილსინდისიერად ეკიდებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

რვა წელიწადს რექტორობდა თბილისის უნივერსიტეტს ბატონი დავითი და, თამამად ვამბობ, ქართული უნივერსიტეტი ყოველმხრივ აღმავლობის გზით მიჰყავდა.

დავით ჩხიკვიშვილი **ვაჟა ოკუჯავამ** შეცვალა.

უნივერსიტეტში მობრძანდა ედუარდ შევარდნაძე და დიდ საბჭოს ახალი რექტორის დაუსწრებლად (ვაჟა ოკუჯავა მოსკოვის საავადმყოფოში იწვა) წარუდგინა მისი კანდიდატურა. ბატონმა დავითმა საკმაოდ ვრცელი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც ცრემლმორეულმა ასე დაასრულა: ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წლები იყო და ასედაც დარჩებაო.

და ბოლოს გაახლებთ ბატონ დავით ჩხიკვიშვილის მოკლე ბიოგრაფიას:

დაიბადა 1921 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურში, 20 წლისა წავიდა ფრონტზე, ხუთი წლის განმავლობაში ჰაერიდან ებრძოდა მტერს, 1941 წლის ბოლოს დაჯილდოდა ლენინის ორდენით, იყო სახელგანთქმული ესკადრილიის — „შორი ბომბდამშენის" წევრი და მაშინ, როცა გერმანელები მოსკოვის მისადგომებს უტევდნენ, იგი ფაშისტებს ღრმა ზურგში ბომბავდა, ევროპის მთელ სივრცეზე, თვით ბერლინშიც კი. ერთ თვითმფრინავში ისხდნენ ის და შემდგომში ავიაციის მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი.

1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, საქართველოს კომპარტიის კალინინის და ორჯონიკიძის რაიკომების პირველ მდივნად, კულტურის მინისტრად, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად (1972-80 წლებში), საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა შორის იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ლენინის ორდენით დაჯილდოდა. თბილისის ავადსახსენებელი ძმათა ომის დროს (1992-93 წწ.), როცა ბატონი დავითი ცოცხალი აღარ იყო, მისი ბინის გატეხვა-გაპარტახებისას ბანდიტებმა ეს ორდენი „სახსოვრად" გაიყოლეს.

ფოტოები **გივი შეყილაძისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერიანი ეგზემპლარები

რამდენ საფიქრალს აღძრავს!..

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი წიგნია – საშუალო ასაკის პოეტის ლექსთა კრებული. ალბათ ასევე იყო ავტორისთვისაც, რომელიც მაშინ, და საერთოდ, სიცოცხლეში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხშიც და, განსაკუთრებით, კომპარტიულ ელიტაშიც, არ დაჰკლებია მისგან ყურადღება და პატივისცემა, ჩინი და მედლები. იყო გამორჩეული ნიჭის პოეტი, უაღრესად ალღოიანი, გონება- და ენამახვილი ადამიანი. ურთულეს სიტუაციაშიც სწრაფად ერკვეოდა და იღებდა საჭირო გადაწყვეტილებას, რომელიც ისე იყო შეკაზმული მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით, რომ ყველანი – მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც – აღტაცებულნი რჩებოდნენ.

ყველაფერი ეს კარგად ჩანს, თუნდაც, ამ პატარა ეპიზოდიდან:

1978 წლის მაისია. თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში გადაწყვიტეს ლიტერატურული საღამო მოეწყოთ პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის პატივსაცემად. კლასის დამრიგებელმა მთხოვა ლექსი შემერჩია არამარტო ჩემი მერვეკლასელი ქალიშვილისათვის, არამედ მეთხოვებინა მისთვის შემოქმედის ნაწარმოებთა კრებული. ჩემს ბიბლიოთეკაში ხელთ მომხვდა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1951 წელს გამოშვებული წიგნი, რომელიც მომდევნო წელს შემიძენია...

მშვენიერი შეხვედრა ყოფილა. ყვავილებში ჩაკარგული პოეტი თავს ბედნიერად გრძნობდა. მადლობას უხდიდა პედაგოგებს. კოცნიდა და ეფერებოდა ლექსის წამკითხველებს... და აი, შეხვედრის დასასრულს ჩემმა მეუღლემ – ნანა ლორიამ – რომელიც ამ შეხვედრის თაოსანი და სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ, ის კრებული პოეტს მორიდებით მიაწოდა:

– ბატონო ირაკლი, ძალიან გთხოვთ, ორიოდე სიტყვა წაგვიწეროთ ამ დღის აღსანიშნავად!

ბატონმა ირაკლიმ წიგნი ხელში შეათამაშა და სახეზე მაღვალაკურმა ღიმილმა გადაურბინა:

– იცით, რა ლექსებია შიგ?



ვინ არ იცოდა! ოდები კომპარტიაზე, ლენინზე, სტალინზე, უბედნიერეს ცხოვრებაზე! როგორც ჩანდა, განსაკუთრებით აწუხებდა ლავრენტი ბერიასადმი აღვლენილი უზომო ხოტბა-დიდება! ლექსების სათაურები სარჩევში კი იყო წაშლილი, მაგრამ კრებულში ხელუხლებლად მქონდა დატოვებული.

„იყავ დღეგრძელი, და როცა ქვეყნად
მოვა ოქტომბრის წელი სამოცი,
გვემღეროს შენთვის კვლავ ასე
ერთხმად
შაირი, ხოტბა და მისალოცი“.



„მდაა!“ – ჩაილაპარაკა. წიგნი დახურა, მერე ყდა ისევ გადაშალა და შიდა გვერდზე გაკრულად მიაწერა:

„ირ. აბაშიძე 1952 წ.“. თან დააყოლა:

– ვითომ მაშინ წაგიწერეთ!

არადა, გაქანებული 1978 წელიწადია... და მაინც, ვინ იცის... „ყოველ ჩვენს საქმეს – ასე გვგონია, შენ დაგვიხედავ, შენ შეგვიფასებ“.

არც ისე დიდი ხნის წინ იყო ოცდაჩვიდმეტი! ყველაფერს გათვლა, გათვალისწინება სჭირდება! ახლაც, თუნდაც, ამ ერთ წამში!.. რაო, ესენი ძალიან შორს კი არ დგანან თვიანთი „გენიალური მასწავლებლებისგან“. მათი გამოზრდილები არიან. აგერ, ახლახან, სულ ერთი თვის წინ არ იყო – საქართველოს სსრ კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული ენის ჩაწერის აკრძალვის გამო ბეწვზე ეკიდა ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე და, საერთოდ, ქვეყნის ბედი?!

...ძევს ახლა ეს წიგნი ჩემი პატარა ბიბლიოთეკის თაროზე ირაკლი აბაშიძის რამდენიმე სხვა კრებულის გვერდით, პოეტის ძუნწი წარწერით!

მაინც რაგვარ საფიქრალს აღძრავს ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ეპიზოდი... ვშიშობ კალამმა არ გამიტყუოს. ეს ხომ, ამჯერად ჩემი მიზანი არ არის!

მართლაც, „მდაა!“

მიხეილ კოპალეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები

„ინტელექტი“ გთავაზობთ

ზვიად კვარაცხელია

„ჰაე“

ამ წიგნის ავტორის მოკლე დახასიათება, საბუთებით განმტკიცებული



ამ წიგნის ავტორი მაძიებელი კაცია, ერთი მისი პერსონაჟივით, რომელიც კითხულობს:

„რატომ მახრჩობს და მასახიჩრებს სურვილი, გავიგო რა ხდებოდა დასაწყისის წინ, რა მოხდება დასასრულის მერე?!“

ამ წიგნის ავტორი ქვეყნისთვის გულშემატკივარი კაცია, რომელიც თავისი სხვა პერსონაჟის პირით ამბობს:

„ძნელია, არა, ფუნჯის და ტილოს გარეშე შედევრის შექმნა, უ-და-კაკშიროდ წიგნის დაწერა?! უფრო ძნელია უყურო ანმყოს და არ აქვითინდე“.

ამ წიგნის ავტორი ორიგინალურად მოაზროვნეა, ღრმად მოაზროვნეც, – აი თუ არა:

„ძნელია გიყვარდეს სიტყვა „ხსოვნა“, რომელიც ყოველგვარ ტოლერანტობასაა მოკლებული და სააქაოში დარჩენილთ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში სახავს, ვიდრე იმქვეყნად გაბიჯებულ ადამიანიშვილებს“.

(ვიცი, ამ ციტატის ფაქიზი ირონია არ დაგრჩებოდათ შეუმჩნეველი).

ამ წიგნის ავტორს შესწევს ძალა ორი სიტყვით გამოხატული ერთი დეტალით თავით ბოლომდე დაგვიხატოს სახასიათო პორტრეტი კაცისა:

„როცა გულის ერთი მხარე ღვთისკენ გეწევა, მეორე გეუბნება – არ მოიშალო *ბოროტის დოინჯი*“.

ამ წიგნის ავტორი სატირიკოსის ტალანტითაც გახლავთ დაჯილდოებული; ამაში დასარწმუნებლად იხ. *ცოდვის* განმარტება 151-ე გვერდზე და ცოდვილის მიერ ცოდვათა სიის ამოკითხვის ეპიზოდი (იქვე).

ამ წიგნის ავტორს ამბავთმთხზველობის ნიჭის გარდა სიტყვათმთხზველობის ნიჭიც გამოჰყოლია და გაცვეთილი გამოთქმების გამოყენებას ურჩევნია ახალი (ოღონდ მაინც გასაგები!) სიტყვების გამოსაგონებლად გაისარჯოს, — ამითაც გვამახსოვრებს თავს:

„მრავალთათვის ნაუბარს თათა ბებო ახლა მე *მიხელახლებს*“;

„უტეხობა *ებადრათ* სახეზე“;

„ახლა თავიდან დატრიალდება სიუჟეტი, *გაგისაკუთრდება* მოყმის ხვედრი“...

ამ ავტორის წიგნის წაკითხვა ღირს.

ლევან ბრეგაძე

ფრაგმენტი ჯანრი კაშიასთან ინტერვიუდან (2006 წ.)

...ნიჭიერები რომ არიან, უეჭველია. ერთ-ერთს დაგისახელებთ, ცხრამეტი წლის ზუგდიდელს, ზვიად კვარაცხელიას. მისი წიგნი – „მარჯვე ნა“, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი განაცხადია და თუ ასე გააგრძელა, ვფიქრობ, ქართული ლიტერატურისთვის დიდი შენაძენი იქნება. ასე რომ, ქართველები არა ვართ ცუდ დღეში.

ი 44/32

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამომცემლო ჯგუფი
ეთერ კვანჭიანი
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge

3-

F255
2008